

„აბაროტის" ალება თვენახევრის შემდეგ არ ხდება

A2



"თქვენი აფხაზეთი"

A8



ნარნიაში ირლანდიური ზამთარია

B4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 2006 წელი. №21 (1173) | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ხელისუფლება ირანული გაზის ღირებულებას არ ამხელს

ირანიდან ბუნებრივი აირის იმპორტის საზეიმოდ დაწყების მიუხედავად, ამ გაზის ღირებულება და მისი მიღების პირობები ჯერჯერობით კვლავ გაურკვეველი რჩება. თუმცა, ირანული საინფორმაციო სააგენტო "ირნას" ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებამ ათასი კუბური მეტრი ირანული ბუნებრივი აირი 233 აშშ დოლარად შეისყიდა.

A3

## სამართალი

### შალვა რამიშვილი ირმა სტეფნაძეს სასამართლო პროცესზე შეხვდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმის განხილვა განახლდა.

A4

## საზოგადოება

### ხელისუფლების საინფორმაციო ტაქტიკა და თვითცენზურა მედიას სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს

გასული კვირის დასაწყისში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც ჟურნალისტების მიმართ სიმპათიებით არც მანამდე გამოირჩეოდა, მეტად საყურადღებო ფრაზა წარმოთქვა: რაც ჟურნალისტებს გაინტერესებთ, მე არ მაინტერესებსო.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/02 | 2 /02 |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | 6 |
| ტყიბული | 3 | 10 |
| სოხუმი | 3 | 10 |
| დმანისი | -5 | 2 |
| გორი | 1 | 7 |
| ონი | -4 | 5 |
| ზუგდიდი | 5 | 11 |
| ახმეტა | 3 | 6 |
| გაგრა | 2 | 7 |
| სამტრედია | 6 | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| ტენდერი | B1- B3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# პუტინმა „შეფურთხება" ვერ აიტანა

## ახალი გამოწვევა - დემოკრატიული მსოფლიოს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 22 იანვარს რუსეთის ტერიტორიაზე, საქართველოში შემომავალ გაზსადენზე და ელექტროგადამცემ ხაზზე აფეთქებებზე საქართველოს ხელისუფლების რეაქციას "რუსეთისათვის შეფურთხება" უწოდა.

ეს განცხადება პუტინმა გუშინ, რუსი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა, რომელსაც ათასზე მეტი ჟურნალისტი ესწრებოდა. მისი თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცივება **"საქართველოში ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების მიერ ურთიერთობაში არსებული სიტუაციის ადეკვატურად აღქმის უნარს"** უკავშირდება.

გაგრძელება A3 გვერდზე



*რუსი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე.*

# პირველი "ჰაივეი" საქართველოში

## საავტომობილო გზების დეპარტამენტი ისტორიული ავტობანის მშენებლობისთვის ემზადება

დიანა ჩაჩუა

*წლების შემდეგ საქართველოს თანამედროვე სტანდარტების ავტობანი, ე.წ. "ჰაივეი" ექნება, რომელიც თბილისის გავლით, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან დააკავშირებს. იქამდე კი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის დამაკავშირებელი ავტობანის ერთ-ერთი მონაკვეთის მშენებლების შესარჩევად დიდი მზადება დაიწყო. დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა უწყების კონტრაქტორები შემოიკრიბა და მათ ტენდერის პირობებზე ესაუბრა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*მალე საქართველოში მსგავს ავტობანებზე ივლიან.*

# საგარეო საქმეთა მინისტრის ხედვა და დირექტივები

## პრიორიტეტები მზადაა, მიზნები და ამოცანებიც მალე ჩამოყალიბდება

*საქართველოს ხელისუფლება 2006-2009 წლებისთვის საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ვრცელ დოკუმენტს ამზადებს. საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით იგი, სავარაუდოდ, თებერვლის დასასრულისთვის იქნება მზად. მანამდე, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა საკუთარი ხედვა და დირექტივები გააცნო მასმედიას. როგორც მოსალოდნელი იყო, 2006 წელს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი კონფლიქტების მოგვარებისთვის აუცილებელ ღონისძიებებსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას უკავია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*საგარეო უწყების ხელმძღვანელმა საკუთარი ხედვა და დირექტივები გააცნო მასმედიას.*

# კობა ბექაური ახალ შარში გაეხვია

გიორგი ასანიშვილი

დეპუტატი კობა ბექაური მორიგ სკანდალში აღმოჩნდა გახვეული - დროებითი საგამოძიებო კომისიის გუშინდელ სხდომაზე ახსნა-განმარტებისთვის მისული, საბაჟო ტერმინალ "ლილო-1"-ის რეჟიმისა და რეგისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი ლეილა დაუშვილი პარლამენტარის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. მისი თქმით, კობა ბექაურმა ცილი დასწამა და ღირსება შეულახა, როდესაც "კრიმინალად" მოიხსენია და ამტკიცებდა, თითქოს ის სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის იყო დაპატიმრებული.

**"ჩემს წინააღმდეგ ძიება არასდროს უწარმოებიათ და დაპატიმრებული არ ვყოფილვარ. კობა ბექაური არის ცრუპენტელა, ვისთვისაც ღირსება არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ცრუ განცხადებების გაკეთებისთვის მაგას აუცილებლად მოუწევს სასამართლოში სირბილი. ამ საქმეს რომც შევეწირო, ბექაურის პასუხისმგებლობის საკითხს მაინც დავაყენებ,"** - დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ემოციებს ვერ იკავებდა "ლილო-1"-ის თანამშრომელი.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ლეილა დაუშვილმა კომისიის წევრებს რამდენიმე საგულისხმო ინფორმაცია მიაწოდა. მისი მტკიცებით, ხშირად ჰქონდა ადგილი მცდელობას, და ამას იმპორტიორებიც ადასტურებენ, რომ განსაბაჟებლად "ლილო-1"-ში შეტანილი ტვირთის "ოპიზაში" გადამისამართება მომხდარიყო. "ლილო-1"-ის რეჟიმისა და რეგისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი კონკრეტულ პიროვნებებსაც ადებს ხელს და აცხადებს, რომ იმპორტიორებზე ზეწოლას რეგიონული საბაჟო "აღმოსავლეთის" უფროსის მოადგილე ვატო თოხაძე ახდენდა. ლეილა დაუშვილი იმ ინდმეწარმეებსაც ასახელებს, ვისაც საბაჟოს ადმინისტრაციამ ტვირთების გადამისამართების თაობაზე განცხადებები დააწერინა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბოლნისში გზის გადაკეტვისთვის აპატიმრებენ

მაია მოსიაშვილი

ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთის მოსახლეობა ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გარეშეა დარჩენილი. 26 იანვარს 300-მდე კაზრეთელმა სს "მადნეულის" საავტომობილო გზა დილის 8 საათიდან გადაკეტა, ისინი ელექტროენერგიის და წყლის მიწოდებას ითხოვდნენ. საქმეში პოლიცია ჩაერთო. ბოლნისის პოლიციის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მაგდა კაპანაძის თქმით, ხალხს გზა მთელი დღის განმავლობაში ჰქონდა გადაკეტილი. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ჯგუფური მოქმედების ორგანიზების მუხლით. გუშინ კი აქციის ორგანიზატორობის ბრალდებით ორი მოქალაქე - დალი მამულაშვილი და გივი ქოროღლიშვილი დააკავეს. რატომ დააპატიმრეს გზის გადაკეტვისთვის ადამიანები, რომლებიც ამ გზით ყურადღების მიქცევას ცდილობდნენ და სავსებით საფუძვლიანი სოციალური მოთხოვნები ჰქონდათ?

ბოლნისის გამგებელმა გიორგი არევაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ აქციაზე თავადაც მივიდა და ხალხს დაშლა სთხოვა, რაზეც მათ "არაადეკვატური რეაქცია ჰქონდათ", ანუ არ დაიშალნენ.

"დაბას დენი გადაუხდელობის გამო აქვს გათიშული. ადგილი ჰქონდა გაურკვევლობას - ენერგოკომპანიამ პატარა შეცდომა დაუშვა და მათი ხაზი "მადნეულის" ტერიტორიაზე გადაჭრა, რაც შემდეგ გამოასწორეს, თუმცა ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების გადახდამდე მაინც არ აღდგება," - ამბობს არევაძე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სიღნაღის მთავარ გინეკოლოგს სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა

*გაზეთი "24 საათი" ორი კვირის წინ წერდა, რომ სიღნაღში ნარკოტიკული პრეპარატის "მორფიუმის" არალეგალურ ბიზნესში რამდენიმე პიროვნება იყო მხილებული. მართალია, იმ დროისთვის სამართალდამცველებისთვის ნარკორეალიზაციაში ეჭვმიტანილთა ვინაობა ცნობილი იყო, მაგრამ მათი დაკავება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა პირველი ინფორმაცია "24 საათმა" და კახეთის რეგიონულმა გაზეთმა "სპექტრმა" გაახმაურა. სხვათა შორის, სტატიის ავტორებმა - "24 საათისა" და "სპექტრის" ჟურნალისტებმა, ერთ-ერთი ეჭვმიტანილის - სიღნაღის მთავარი გინეკოლოგის ოჯახის წევრების სერიოზული მუქარა "დაიმსახურეს".*

სიღნაღის რაიონის სოფელ მაშნაარის მკვიდრის რევაზ ყორღანაშვილის სახელზე რაიონული პოლიკლინკის მიერ ნარკოტიკული პრეპარატის "მორფინის" არასწორად გაცემის ფაქტი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც პოლიკლინიკაში ახალი ხელმძღვანელი მივიდა. რაიონულმა პოლიციამ სწორედ მისი ინფორმაციის საფუძველზე დაკითხა ვითომდა ავადმყოფ ყორღანაშვილის მეუღლე ეთერ ყორღანაშვილი.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ ეთერ ყორღანაშვილმა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღიარა, რომ მისი ქმრის სახელზე გამოტანილ "მორფიუმს" გაჭირვების გამო სიღნაღის მთავარ გინეკოლოგს თამილა კახეთელიძეს აბარებდა გასაყიდად. თუმცა მოგვიანებით მან ეს ჩვენება შეცვალა, რის გამოც მთავარი გინეკოლოგის დანაშაულებრივი ქმედება ველარ მტკიცდებოდა.

მიუხედავად ამისა, საქმე არ დახურულა.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, თუ თავდაპირველად ეთერ ყორღანაშვილი ჩვენებაში წერდა, რომ გინეკოლოგი თამილა კახეთელიძე მას წინასწარ აძლევდა ნარკოტიკული პრეპარატის გასაყიდ თანხას, მოგვიანებით, მან განაცხადა, რომ კახეთელიძეს "მორფიუმის" თანხა გაყიდვის შემდეგ მიჰქონდა. პოლიცია აცხადებს, რომ რაიონის მთავარი გინეკოლოგის, როგორც ნარკოტიკების რეალიზატორის დაკავება სწორედ ეთერ ყორღანაშვილის ჩვენების საფუძველზე მოხდა.

რაიონულმა სასამართლომ თამილა კახეთელიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა, იგი ნარკოტიკების რეალიზაციაშია ბრალდებული. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ აღნიშნული ფაქტის გამო რაიონული პოლიკლინიკის თანამშრომლების და სხვა ექიმების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

## ბოლნისში გზის გადაკეტვისთვის აპატიმრებენ

პირველი გვერდიდან

ის ადასტურებს, რომ კაზრეთისთვის დენის ჩაჭრა ენერგოკრიზისს დაემთხვა, ამას დაემატა სასმელი წყლის მილის დაზიანებაც და დღემდე არა მარტო კაზრეთი, არამედ ბოლნისიც სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი, მოსახლეობას კი წყალს მანქანებით აწვდიან. ბოლნისის გამგებელი ამბობს, რომ არ იცის, ამ აქციის გამო, ვინ და რატომ დააკავა პოლიციამ, რადგან ეს მისი კომპეტენცია არ არის.

გზის გადაკეტვისთვის დაკავებულთა სასამართლო პროცესი დღეს უნდა გაიმართოს და არ არის გამორიცხული, რომ საპროტესტო აქცია კაზრეთელებმა ახლა ბოლნისის სასამართლოს წინ გამართონ.

### ენერგოკრიზისმა ქურდები ახეირა

ენერგოკრიზისის კვირაში ქვემო ქართლში ბინის ქურდობის რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მხარეში ერთი კვირის განმავლობაში მომხდარი 18 ქურდობიდან პოლიციამ მხოლოდ ერთი გახსნა. აქედან 12 გაუხსნელი საქმე რუსთავის პოლიციის აქტივში ჩაიწერა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გასულ კვირას რუსთავში სამართალდამცავების აქტივობამ საკმაოდ იკლო, ხოლო ქურდებისა პირდაპირპროპორციულად გაიზარდა.

ამჟამად რუსთავს ბუნებრივი აირით მომარაგება აღდგენილი აქვს და ელექტროენერგიაც მცირე ხარვეზებით მიეწოდება.

## ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ერთ თვეში ეყოლება

*საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვინაობა თებერვლის ბოლომდე გაირკვევა. კულუარულად კი აღნიშნულ თანამდებობაზე კვლავ ცესკო-ს მდივანი გურამ ჩალაგაშვილი მოიაზრება.*

ნანა ქადაგიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის ვადა ორი დღის წინათ ამოიწურა. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საკონკურსო კომისიამ (პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გიორგი არველაძის ხელმძღვანელობით) კონკურსში მონაწილეთაგან 2 კანდიდატურა 5 დღეში უნდა შეარჩიოს. ამ ორიდან თავმჯდომარის კანდიდატურას პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში შეარჩევს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს. პარლამენტი ამ საკითხს, სავარაუდოდ, პირველივე საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს და თებერვლის ბოლომდე დაამტკიცებს.

უახლოეს საგაზაფხულო სესიაზე, ალბათ, საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტიც (რაც ამომრჩეველთა სიების ფორმირებასა და საარჩევნო პროცედურების გამარტივებას გულისხმობს) დამტკიცდება. პარლამენტის იურიდიული კომიტეტისა და ცესკო-ს ხელმძღვანელობა ცვლილებების პროექტის ძირეულ პრინციპებზე უკვე შეთანხმდნენ. ამომრჩეველთა სიების ფორმირების ორი მეთოდიდან (არსებული სიების დახვეწა და ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაცია) პირველი - არსებული სიების ფორმირება შეირჩა. ანუ, არჩევნებამდე 40-45 დღით ადრე სიაში (რომელსაც ცესკო-ს იუსტიციის სამინისტრო გადასცემს) შეყვანილ ყველა ამომრჩეველს პირადი ბარათები უნდა დაურიგდეს. ამის პარალელურად უნდა დაიწყოს საინფორმაციო კამპანია, რათა ამომრჩეველმა, რომელიც აღნიშნულ ბარათს ვერ მიიღებს, საარჩევნო უბანში თავი აღიდგინოს. **“ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად რამდენიმე საშუალებას გამოვიყენებთ. 5 დღით ადრე ამომრჩეველს პირად ბარათებს დავურიგებთ. ამის გარდა, ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზას ორი კომპიუტერული პროგრამა გადაამოწმებს. საბჭოთა პასპორტების მფლობელი ამომრჩევლების რაოდენობაც დაზუსტდება,”** – აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ლონლაძე.

სიების დახვეწის პარალელურად, ცესკო საარჩევნო პროცედურების გამარტივებაზეც მუშაობს. მომავალ არჩევნებზე საუბნო კომისიებში, 15 წევრის ნაცვლად, 9 წევრი იმუშავებს. საარჩევნო პროცედურებიც 9 ადამიანის შესაძლებლობების შესაბამისად გამარტივდება. საარჩევნო ოლქების რაოდენობა კი ისევ 75 დარჩება. საუბარი იყო ოლქების 14-მდე შემცირებაზე, მაგრამ როგორც ლონლაძე აცხადებს, ადგილობრივი არჩევნებისთვის ოლქების რაოდენობა არ შეიცვლება.

ასე რომ, მომავალ ადგილობრივ არჩევნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალი თავმჯდომარითა და განახლებული საარჩევნო კოდექსით დახვდება. რაც შეეხება არჩევნების ჩატარების ვადას, ცესკო-ს ხელმძღვანელობამ ორი კვირის წინათ არჩევნების ოქტომბრისთვის გადატანა მოითხოვა, რათა ამომრჩეველთა სიების ფორმირება მოასწროს. ცესკო-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის პოზიცია ჯერ კიდევ უცნობია (თავმჯდომარეობის კანდიდატთა სია ქვეყნდება A5 გვერდზე).

## უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 92.0

### გადაცემის სტუმარია ნოდარ გრიგალაშვილი

***ალექსანდრე ელისაშვილი:*** მოგესალმებით, ბატონო ნოდარ. დიდი მადლობა გადაცემაში სტუმრობისათვის. პირველ რიგში, როგორ გადაიტანეთ ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისი?

***ნოდარ გრიგალაშვილი:*** ეს დღეები იყო თეზისის დადასტურება, რომ გაჭირვება ზნემაღალ საზოგადოებას ერთ მუშტად კრავს. ამ დღეებში დადასტურდა, რომ ქართული საზოგადოება სრულ მზადყოფნაშია იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს გამართული, ძლიერი, ცივილიზებული სახელმწიფო. ხალხმა არ დაიწყო ხელისუფლების კრიტიკა და თანადგომა გამოუცხადა მას, რადგან ჩვენს საზოგადოებას სურს დამოუკიდებლობა. ამას კი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სასტიკად ეწინააღმდეგება, თუნდაც ამგვარი სოციალური აქციებით. აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელმაც მისცა ტონი ამ მოვლენების ღირსეულად შემობრუნებისათვის. მან თავისი სახელი დაარქვა იმას, თუ რას აკეთებდა რუსი. მიიღო შესაბამისი ზომები, რომ შიგნით ცხოვრება არ აგვრეოდა, ერთი მხრივ; და მეორე მხრივ, მონახა ალტერნატიული გზები, რათა რუსეთისთვის გვეთქვა: ჩვენ არც ისე დამოკიდებული ვართ მათზე, როგორც ეს მათ ჰგონიათ.

***ალექსანდრე ელისაშვილი:*** სანამ უშუალოდ პოლიტიკურ თემებზე ვისაუბრებთ... სულ მაინტერესებდა, რა ხდებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახებში ამ დღეებში, თუნდაც თქვენს ოჯახში როგორ შეხვდით და გადალახეთ ეს კატასტროფა?

***ნოდარ გრიგალაშვილი:*** ამ მოვლენების მთავარი ხიბლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის იყო, რომ ერთნაირად შეეხო ჩვეულებრივ მოქალაქეს თუ სახელმწიფო მოხელეს. კონკრეტულ ოჯახებს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთ უბანში საერთოდ არ გათიშულა ან ძალიან ცოტა ხნით შეწყდა გაზის მიწოდება. და ეს იყო წმინდა ტექნიკური საკითხი. მე მარჯვენა სანაპიროზე ვცხოვრობ და თუ ჩემთან უკეთესად იყო გაზი თუ ელექტროენერგია, ეს ტექნიკური საკითხი იყო და არა იმის გამო, რომ კომიტეტის თავმჯდომარე ვარ.

***ალექსანდრე ელისაშვილი:*** როგორც “ნაციონალური მოძრაობის” წევრი, იღებდით თუ არა აქციებში მონაწილეობას, შეშის დარიგება იყო ეს თუ პურის?

***ნოდარ გრიგალაშვილი:*** მე ვარ ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი და, ერთი მხრივ, ვცდილობდი, რაიონში სიმშვიდე ყოფილიყო. მეორე მხრივ, ბორჯომი გვარიანად დაეხმარა დანარჩენ საქართველოს შეშით და მეც ამ კუთხით მივიღე მონაწილეობა. ამ აქციაში ჩვენ უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე გამოვიყენეთ, რაც ძალიან დაგვეხმარა.

**რადიომსმენელი:** ბატონო ნოდარ, ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს კრიზისი თანაბრად შეეხო მთავრობასა და უბრალო მოსახლეობას. თქვენ მაღალი ხელფასები გაქვთ და ნავთის ყიდვა არ გაგიჭირდებოდათ. მაგრამ რა ქნას იმ ადამიანმა, რომელიც ოცდარვა ლარზე ცხოვრობს? გარდა ამისა, რუსეთთან ამგვარი დამოკიდებულება ჩვენთვის ძალიან წამგებიანია. სულ სხვა ენერგომატარებლები რომ გამოვნახოთ, რუსეთი მაინც გვჭირდება, რადგან ჩვენი ექსპორტის ოთხმოცი პროცენტი რუსეთზეა დამოკიდებული, და თუ ის უარს იტყვის ჩვენს პროდუქციაზე, მაშინ ევროპა და ამერიკა ვერ გვიშველის. მინდა ვთხოვო ჩვენს ხელისუფლებას, შეცვალოს რუსეთთან ამგვარი პოლიტიკური დამოკიდებულება. ეს ჩვენვე მოგვიბრუნდება უარყოფითად.

**ნოდარ გრიგალაშვილი:** მინდა მოგახსენოთ, ჩვენ ვსაუბრობდით არა იმაზე, თუ ვის რამდენი აქვს შემოსავალი საქართველოში, არამედ იმაზე, რომ გაზი თუ შუქი თანაბრად შეუწყდა როგორც უბრალო მოქალაქეებს, ისე მაღალი თანამდებობის მოხელეებს. ხოლო რაც შეეხება ხელფასებს, თუ დღეს თანამდებობის პირს მაღალი ხელფასი აქვს, სამაგიეროდ, ის ვერ გაბედავს ქრთამის აღებას თუ სხვა კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობას. ადრე, მართალია, თანამდებობის პირის ხელფასი სამოცდაათი ლარი იყო, მაგრამ მას ვერაფერი უშლიდა ხელს კორუფციაში. პენსიების თაობაზეც მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ორი წლის მანძილზე ორჯერ გავზარდეთ პენსია. დამერწმუნეთ, ეს არ იყო ადვილი იმ ფონზე, როცა საქართველო თხუთმეტი წლის მანძილზე ინგრეოდა და ნადგურდებოდა. ჩვენ ერთი თეთრი არ დაგვხვედრია ბიუჯეტში, წელს კი საქართველოს ბიუჯეტმა სამ მილიარდს გადააჭარბა. რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას, მათთვის ჩვენს დამოკიდებულებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მათ აქვთ კონკრეტული მიზანი: ხელში ჩაიგდონ არა მხოლოდ სამაჩაბლო და აფხაზეთი, რაც უკვე შეძლეს, არამედ მთელი საქართველო. და, ცხადია, იმის ხათრით, რომ ენერგობლოკადაში არ მოგვაქციოს, ჩვენ მას ქვეყანას ვერ დავუთმობთ. ასე, ჩვენს წინაპარსაც აღარ მოუწევდა იმდენი ბრძოლა, რომ გათათრებულიყო. აქ არჩევანი იმაზეა, გავრუსდეთ თუ შევინარჩუნოთ ის პოზიცია, რომელიც დღეს გვიჭირავს. ალტერნატივა კი ნამდვილად არსებობს - დღეს საქართველო სამი ქვეყნიდან იღებს გაზს.

## კობა ბექაური ახალ შარში გაეხვია

პირველი გვერდიდან

“ლილო-1”-ის თანამშრომლის გუშინდელ ჩვენებაში კობა ბექაურის გვარიც ფიგურირებდა.

**“ბექაური ხშირად სტუმრობდა “ლილო-1”-ში იმ დროს, როდესაც საბაჟო ადმინისტრაციისა და გაფორმების ჯგუფის “ოპიზაში” გადასვლა უნდა მომხდარიყო. ჩვენი თანამშრომლები დაადასტურებენ, რომ კობა ბექაური, “ლილო-1”-ის საწინააღმდეგოდ, “ოპიზას” გაძლიერებას ლობირებდა,”** - აღნიშნა დაუშვილმა.

სწორედ ამ განცხადებამ გააღიზიანა ბექაური, რომელმაც დროებით კომისიას დაუშვილის გამოსვლის შემდეგ მისცა ჩვენება.

**“ლეილა დაუშვილს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მეგობრებისგან ვიცი, რომ იგი ფიქრია ჩიხრაძის დაქალია და კომისიის სხდომაზე მისი თხოვნით მოვიდა. ფიქრიას და, საერთოდ, მის პოლიტიკურ პარტიას კარგად გამოსდის კრიმინალებთან თანამშრომლობა - 2003 წელს დაუშვილი სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის დააპატიმრეს,”** - განუცხადა კოლეგებს კობა ბექაურმა, და სწორედ ამ სიტყვებს მოჰყვა ზემოთ ნახსენები სკანდალი.

გუშინდელ სხდომაზე ბექაური საკმაოდ “გაორებული” ჩანდა: ოპოზიციონერი დეპუტატების დასმულ კითხვებს ირონიულად და გამომწვევად პასუხობდა, უმრავლესობის წევრებს კი ხაზგასმული თავაზიანობით ექცეოდა. თუმცა, ასეთმა ტაქტიკამ არ გაამართლა: სახელისუფლებო ფრაქციის წევრებმა ბექაურისთვის არცთუ სასიამოვნო შეფასებები გააკეთეს.

**“მოწმეთა ჩვენებაში ნამდვილად იკვეთება საეჭვო გარემოებები “ოპიზას” საქმიანობაში თქვენი მონაწილეობის თაობაზე,”** - აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

**“ძალიან საეჭვოდ ჩანს ის, რომ “ოპიზას” თითქმის ყველა მეწილე თქვენთან ძალიან ახლო ურთიერთობაში იმყოფება,”** - დასძინა ნინო კალანდაძემ. მისივე თქმით, ლეილა დაუშვილმა “ლილო-1”-ში შექმნილი ვითარების შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს განცხადებით ჯერ კიდევ მაშინ მიმართა, ვიდრე “ოპიზას” ირგვლივ სკანდალი აგორდებოდა და, ამდენად, ძნელია იმის დაჯერება, თითქოს, “ლილო-1”-ის რეჟიმისა და რეგისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი ოპოზიციამ თავის იარაღად გამოიყენა.



*დროებითი საგამოძიებო კომისია “განსაცდელში” ჩავარდა.*

თანაფრაქციელების ასეთმა პოზიციამ კობა ბექაურს ნირი წაუხდინა და ის თავდაჯერება დააკარგვინა, რომელიც მას თავდაპირველად გააჩნდა. მან დაადასტურა ის ფაქტი, რომ საბაჟო ტერმინალ “ოპიზაში" მისი მეუღლე თამარ გაგნიძე მართლაც ფლობს წილს. ასევე დაადასტურა, რომ “ოპიზას" რამდენიმე ხელმძღვანელთან და მეწილესთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

**“თუმცა, მე მათთან არანაირი საქმიანი ურთიერთობა არ მაქვს და “ოპიზას" შესახებ ამბავს სახლში ვგებულობ ხოლმე, როდესაც მე და ჩემი მეუღლე ამ თემაზე ვსაუბრობთ,"** - ამტკიცებდა ბექაური. იგი დაჟინებით იმეორებდა, რომ “ოპიზას” თავისი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელსაც მისი მითითებები და დირექტივები არ სჭირდება...

გუშინდელი ხმაურიანი სხდომის შემდეგ, დროებითი საგამოძიებო კომისია “განსაცდელში” ჩავარდა - მას უჭირს იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართოს მომავალში თავისი მუშაობა. კომისიის წევრები, ახალი “სტრატეგიული კურსის” შესამუშავებლად, უახლოეს დღეებში შეიკრიბებიან.

## „აბაროტის” აღება თვენახევრის შემდეგ არ ხდება

### აცხადებს საკრებულოს უმრავლესობა

თამარ დვალი

*გუშინ თბილისის საკრებულოში, სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, საპრეზიდენტო უმრავლესობის წევრ გიორგი ტაბიძესა და “ლეიბორისტ” პაატა ჯიბლაძეს შორის დაწყებული ჩხუბი საერთო კონფლიქტში გადაიზარდა. უმრავლესობის განმარტებით, გუშინ მომხდარი ფაქტის პროვოცირება "ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მოახდინა. “ლეიბორისტები” კი უმრავლესობისგან თავის დასაცავად მოსახლეობას დახმარებას სთხოვენ.*

თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა, ჩხუბის სიხშირით, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებსაც კი გაუსწრეს. გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში მომხდარი ინციდენტი გასული წლის 2 დეკემბერს მომხდარი კონფლიქტის გაგრძელება იყო.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, “ლეიბორისტმა” პაატა ჯიბლაძემ უმრავლესობის წევრ გიორგი ტაბიძეს სახეში გაარტყა, რასაც დეპუტატებს შორის ჩხუბი მოჰყვა. ინციდენტის შემდეგ უმრავლესობის წევრებმა საქმის გასარჩევად ქუჩაში გადაინაცვლეს, თუმცა “ლეიბორისტული” პარტიის წევრებს ვერსად მიაკვლიეს. ჩხუბის შემდეგ სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს ფრაქცია “ახლებისა” და “დემოკრატიული ფრონტის” წარმომადგენლებმა.

"ახლების" ლიდერის გიორგი მოსიძის განცხადებით, ის, რაც საკრებულოს სხდომათა დარბაზში ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცილდება და აუცილებლად შეფასებას საჭიროებს.

**“ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. საკრებულო ისედაც ფუნქციადაკარგული ორგანო იყო და, თუ ასე გაგრძელდა, მისი დროზე ადრე დათხოვნის საკითხი უნდა დაისვას. თავდაპირველად იმის შეფასება უნდა მოხდეს, რაც საკრებულოში 2 დეკემბერს მოხდა, და შემდეგ - დღევანდელი ფაქტის. უპრიანი იქნება, თუკი სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლებისგან შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც საკრებულოში მომხდარი ჩხუბების მიზეზებს გამოიკვლევს და სათანადო შეფასებასაც მისცემს,"** - განაცხადა მოსიძემ.



*მას შემდეგ, რაც ჩხუბი დამთავრდა და ოპოზიციამაც დატოვა დარბაზი, უმრავლესობა 28 საკითხის განხილვას შეუდგა.*

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ “ლეიბორისტებს”. მათ მერიის შენობა ჩხუბის დამთავრებისთანავე დატოვეს. ინციდენტის დასრულებიდან რამდენიმე წუთში, “ლეიბორისტებმა” ჟურნალისტები საკუთარი პარტიის ოფისში დაიბარეს და თბილისის მოსახლეობას ქუჩებში საპროტესტო აქციების გამართვისკენ მოუწოდეს. პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, საკრებულოს უმრავლესობამ ოპოზიციაზე პროვოკაციული თავდასხმა განახორციელა. "ლეიბორისტების" თქმით, სხდომის დაწყებამდე "ნაციონალი ბოევიკები" და ასეთი თავდასხმებისთვის გამზადებული დაჯგუფების წევრები ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრებს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ.

"ლეიბორისტული პარტიის" განცხადების თანახმად, ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას გეგმავს, რის გამოც პარტია იძულებულია, მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდოს. მათივე ინფორმაციით, "ნაციონალური მოძრაობა" "ლეიბორისტული პარტიის" წევრებზე ფიზიკურ ანგარიშსწორებას გეგმავს.

აღნიშნულ ფაქტს საპირისპირო შეფასებას აძლევენ უმრავლესობის წევრები. როგორც ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ნანული ქაჩიბაიამ განაცხადა, მან საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ გაარტყა ხელი პაატა ჯიბლაძემ უმრავლესობის წარმომადგენელს. საკრებულოს წევრის დავით იოსელიანის აზრით, მომხდარი ფაქტის პროვოცირება "ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დაგეგმა, რომელმაც წინა საღამოს ჯავახიშვილის ქუჩაზე პარტიის წევრები დაიბარა და მეტი გამბედაობისკენ მოუწოდა.

უმრავლესობა არც იმ ვერსიას უარყოფს, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, გუშინდელი ჩხუბი 2 დეკემბრის ინციდენტს უკავშირდებოდეს. ანუ, დეპუტატებმა იმ კონფლიქტის შემდეგ პირველად ნახეს ერთმანეთი და საქმის გარჩევა სხდომათა დარბაზშივე დაიწყეს. თუმცა, უმრავლესობა ოპოზიციის გასაგონად აცხადებს, რომ - “აბაროტის” აღება თვენახევრის შემდეგ არ ხდება”...

მას შემდეგ, რაც ჩხუბი დამთავრდა და ოპოზიციამაც დატოვა დარბაზი, უმრავლესობა 28 საკითხის განხილვას შეუდგა. ამისთვის მათ ერთი საათიც არ დასჭირვებიათ, რადგანაც საკითხთა უმეტესობა დღის წესრიგიდან ამოიღეს.

გუშინ საკრებულოში მოქმედი კომისიების თავმჯდომარეებს 2005 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩატარებული სამუშაოების ანგარიში უნდა წარედგინათ, თუმცა ზაზა ბეგაშვილის ინიციატივით, ეს პროცედურა მოგვიანებით, ტელეკამერების თანდასწრებით შედგება (შეგახსენებთ, რომ საკრებულოში სულ ექვსი კომისია ფუნქციონირებს).

გუშინვე თბილისის საკრებულომ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის "თბილისის კორპუსის" ახალი ხელმძღვანელი დაამტკიცა. ამ პოსტს დღეიდან მეტროპოლიტენის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ კიკალეიშვილი დაიკავებს. ზურაბ კიკალეიშვილი თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელად რამდენიმე თვის წინ დაინიშნა. ვინ შეცვლის ზურაბ კიკალეიშვილს, ჯერჯერობით უცნობია. არ კონკრეტდება ის საკადრო ცვლილებები, რომლებიც ახალი ხელმძღვანელის "თბილისის კორპუსში" მისვლას მოჰყვება.

თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ქველაძე კი, თბილისის მთავრობის აპარატის უფროსის მამუკა ახვლედიანის წარდგინებით, გასული კვირის ბოლოს ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

## პირველი "ჰაივეი" საქართველოში

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ქვეყანაში გზების მშენებლობის პრეცედენტი არ ყოფილა. აქამდე გზებზე, ძირითადად, სარეაბილიტაციო და მოვლითი სამუშაოები ტარდებოდა ხოლმე. აღნიშნული საქმიანობები წელსაც გაგრძელდება, თუმცა, როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, წელს მათი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ავტობანის მშენებლობის დაწყება იქნება.

ოთხზოლიანი ისტორიული ავტობანის მშენებლობა ნატახტარი-გორის მონაკვეთით დაიწყება, სადაც წელს 15 კმ-ის რეკონსტრუქცია უნდა მოესწროს. თუ როდის დასრულდება ავტობანის სრულად აშენება, ამაზე კონკრეტულ პასუხს გზების დეპარტამენტში ვერ იძლევიან. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის ინფორმაციით, თუ ქვეყანაში ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, ავტობანის მშენებლობა უწყების 10-წლიანი პროგრამის ფარგლებში უნდა დასრულდეს.

ავტობანის ნატახტარი-გორის მონაკვეთის მშენებლობა მარტში დაიწყება და სექტემბერში დასრულდება. პირველი ქართული "ჰაივეის" ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება კი, რომან დალაქიშვილის თქმით, მისი გამძლეობა იქნება - ავტობანი 20-წლიან გამძლეობას გვპირდება.

რაც შეეხება ავტობანის მშენებლობისთვის საჭირო ფინანსებს, ამ საკითხს დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს. **"ნატახტარი-გორის მონაკვეთის მშენებლობით დაინტერესებულმა კომპანიებმა დეპარტამენტში საკვალიფიკაციო მონაცემები 6-14 თებერვლამდე უნდა წარადგინონ. 18 თებერვალს კი სატენდერო კომისია სატენდერო პაკეტებს გახსნის, სადაც გამოირკვევა კიდეც გამარჯვებული კომპანია ან კომპანიები,"** - აღნიშნა დალაქიშვილმა. გამარჯვებული კომპანიების რაოდენობა კი თავად კომპანიების მიერ შემოთავაზებულ პირობებზე იქნება დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოების შესყიდვა სამ ლოტადაა დაყოფილი. დალაქიშვილი არ გამორიცხავს, ტენდერის მონაწილე კომპანიის მოთხოვნის და ეფექტური სატენდერო პაკეტის არსებობის შემთხვევაში, ნატახტარი-გორის მონაკვეთზე სამუშაოების ჩატარების უფლება ერთ კომპანიას მიენიჭოს.

კერძოდ, იურიდიული ან ფიზიკური პირებისთვის შემდეგი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები იქნა დაწესებული: პროფესიული გამოცდილება, ძირითადი მომსახურე პერსონალის გამოცდილება, ინფორმაციები სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და ქვეკონტრაქტორების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ავტობანზე საუბარი ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას პრემიერ-მინისტრობის დროს დაიწყო. ეს უკანასკნელი იყო სწორედ ამ იდეის ინიციატორი. იმ პერიოდში აქტიურად საუბრობდნენ აღნიშნული ავტობანის მშენებლობაში იტალიელების შესაძლო ინვესტიციაზე, თუმცა მაშინ ეს საკითხი დახურულ კარს მიღმა უხმაუროდ ჩაიშალა. სხვათა შორის, აღნიშნული იტალიელები, ინვესტიციის ჩადების სანაცვლოდ, სარგებლის მიღებას ფასიანი ავტობანის აშენებით გეგმავდნენ.

4-5 თებერვალს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის დელეგაციის ფარგლებში, თურქეთს ეწვევა, სადაც, ავტობანის მშენებლობაში უცხოელი კომპანიების მოსაზიდად, პირველი ქართული "ჰაივეის" პროექტის პრეზენტაციას გამართავს.

## მოკლედ

### ამერიკა ქართველი ხალხის გამძლეობით აღფრთოვანდა

ოფიციალური ვაშინგტონი მიესალმება მოზდოკი-თბილისის გაზსადენის აღდგენასა და გაზის მიწოდების განახლებას საქართველო-სომხეთის ტერიტორიებზე. ამის შესახებ საუბარია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. "ამერიკა აღფრთოვანებულია ქართველი ერის გამძლეობით და შემართებით, რომელიც ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის დროს გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ ენერგომომარაგებაში არსებულ მძიმე ვითარებას ცივი ამინდებიც დაერთო," - ნათქვამია განცხადებაში. მასში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამერიკას ინტენსიური სატელეფონო კავშირი ჰქონდა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც ეს კრიზისი შეეხო. ოფიციალური ვაშინგტონი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიაში არსებულ მდგომარეობას და ვითარების გამოსწორებით კმაყოფილია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს პრეზიდენტი გერმანიაში მიდის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სამუშაო ვიზიტით, გერმანიაში პირველ თებერვალს გაემგზავრება. იგი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში, რომელიც 2-3 თებერვალს გერმანიაში გაიმართება. როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში აცხადებენ, პროტოკოლით დადგენილი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი. ფორუმი საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს მიეძღვნება. მასში ასევე მონაწილეობას მიიღებენ რამდენიმე ქვეყნის როგორც ხელისუფლების ლიდერები, ისე ბიზნესწრეების წარმომადგენლები. საქართველოს პრეზიდენტი ფორუმის მონაწილეებს უკანასკნელ დღეებში ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისისა და მისი დაძლევის საშუალებებზე ინფორმაციას გააცნობს. დაგეგმილია შეხვედრა გერმანიის კანცლერთან, ანგელა მერკელთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. მიხეილ სააკაშვილი საქართველოში, სავარაუდოდ, 4 თებერვალს დაბრუნდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### 1944 წელს დეპორტირებულთა შესახებ

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გოგა ხაინდრავამ ბაქოში პრესკონფერენცია გამართა. თავდაპირველად, გოგა ხაინდრავამ აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და მოსახლეობას მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისთვის, რომელიც საქართველომ გაზსადენზე მომხდარი დივერსიის შემდეგ მიიღო. როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, ბაქოში მისი ვიზიტის მიზანია 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებულ მესხთა რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. "მიუხედავად იმისა, რომ მესხების რეპატრიაცია ჯერ კიდევ 1992 წლიდან დაიწყო, ამჟამად ეს პროცესი შენელებულია. ამ ხნის განმავლობაში, საქართველოში ათასი მათგანი დაბრუნდა. 1944 წელს საქართველოდან რეპატრირებული იყო 92 ათასი "თურქი-მესხი", ხოლო ამჟამად აზერბაიჯანში 70 ათასამდე ცხოვრობს, ყაზახეთში მათი რაოდენობა 160 ათასია, უზბეკეთში - 70 ათასი, თურქეთში - 35 ათასი, უკრაინაში - 12 ათასი, რუსეთში - 50 ათასი და ყირგიზეთში - 40 ათასი," - განაცხადა ხაინდრავამ. პრესკონფერენციაზე გოგა ხაინდრავამ დეპორტირებულები "ეთნიკურ ქართველებად" მოიხსენია და დასძინა, რომ უახლოეს თვეებში გაიხსნება მათთვის განკუთვნილი ვებ-საიტი. მისი საშუალებით ყველანაირი ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. მოლაპარაკებების მიზანია, ჩამოყალიბდეს მათი რეპატრიაციის პროგრამა. პრესკონფერენციაზე ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენლები ევროსაბჭოს მიმართ აღებული ვალდებულებით დაინტერესდნენ. როგორც ცნობილია, 2011 წლისთვის "თურქი-მესხების" საქართველოში რეპატრიაციის პროცესი უნდა დასრულდეს. ამ კითხვაზე გოგა ხაინდრავამ ორიგინალურად უპასუხა: "საქართველოს ეს ვალდებულება, პირველ რიგში, ღმერთის წინაშე აქვს აღებული და შემდეგ - ევროსაბჭოს მიმართ. მთავარია, პროცესი დაწყებულია, თუმცა მისი დასრულების თარიღი ჯერჯერობით უცნობია." შეგახსენებთ, რომ გოგა ხაინდრავა ამ საკითხის განსახილველად აზერბაიჯანში 29 იანვარს, სამდღიანი ვიზიტით ჩავიდა. იგი ბაქოდან პირველ თებერვალს გაემგზავრება ჟენევაში, სადაც დაგეგმილია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებისადმი მიძღვნილი მაღალი დონის შეხვედრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# საგარეო საქმეთა მინისტრის ხედვა და დირექტივები

პირველი გვერდიდან

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც 2006 წლისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა წარმოადგინა.

ბეჟუაშვილის თქმით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია - საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდაცია კონფლიქტების მოსაგვარებლად; დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა და გავრცელება; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება; ევროკავშირში ინტეგრაცია; ეკონომიკური უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება და ამ ყველაფრის მისაღწევად ესოდენ აუცილებელი "ორგანიზაციის მართვის სისტემის სრულყოფა".

**"საქართველოს უზენაეს მოწოდებად რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის მიღწევა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკური და დიპლომატიური შესაძლებლობების გამოყენება ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაგვარებლად. ამ მიმართულებით საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები უნდა ემსახუროს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის გაძლიერებას და კონსოლიდაციას,"** – განაცხადა გუშინ საქართველოს დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელმა.

ბუნებრივია, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება. საგარეო უწყების ხელმძღვანელი გუშინ ხმამაღლა აცხადებდა, რომ სამინისტროს უპირველესი პრიორიტეტული მიმართულებაა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულების ხელშეწყობა და, ამის შედეგად, ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმასთან (MAP) მიერთების უზრუნველყოფა. **"ჩვენ ვცდილობთ ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის წარმატებულად შესრულებას, რის შემდეგაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამოქმედო გეგმას შევუერთდებით,"** - ამბობს მინისტრი.

პრიორიტეტული მიმართულებაა ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაც. გელა ბეჟუაშვილის თქმით, წლის ბოლოს მუშაობა დასრულდება "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში არსებულ სამოქმედო გეგმაზე, რომელსაც ხელი წლის ბოლოსვე მოეწერება და დაიწყება სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის უახლოესი მიზანი იქნება, ასევე, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცება, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტის წახალისება და სატრანზიტო დერეფნების ამუშავება, რეგიონული და რეგიონთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება. **"უნდა მოხდეს საქართველოს ექსპორტის წახალისება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნების ამუშავება და რეგიონული და რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

გარდა ამისა, 2006 წელს სამინისტრო განაგრძობს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვას: **"ჩვენ ვაპირებთ, მეტად ინტენსიური და აქტიური დიპლომატიის განხორციელებას, რათა საქართველოს ხელისუფლებამ ენერგომატარებლებისა და ენერგორესურსების თვალსაზრისით დამოუკიდებელი ცხოვრება შეძლოს,"** - აცხადებს გელა ბეჟუაშვილი.

რასაკვირველია, დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია დიპლომატიური სტრუქტურის განვითარება და სრულყოფა. **"ეს იქნება პროცესი, რომლის დროსაც გავაუმჯობესებთ მართვის სისტემას, ადამიანური რესურსების სისტემას და კადრების მომზადებას, რათა სამინისტრომ დღევანდელ რეალობას უპასუხოს"**, - აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი.

სამინისტროში თვის ბოლოსთვის დასრულდება მუშაობა სტრატეგიულ დოკუმენტზე, რომელსაც ეწოდება "საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები 2006-2009 წლებში".

*24 საათი*

# პუტინმა „შეფურთხება" ვერ აიტანა

პირველი გვერდიდან

**"უბედურება მოხდა. ჩვენი სპეციალისტები დღე და ღამე მუშაობდნენ მთაში, ოცდაათგრადუსიან ყინვაში. და რა მოვისმინეთ საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან? მხოლოდ შეფურთხება. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაიგონ, რომ ასეთი პოლიტიკა რუსეთის მიმართ რიგითი ქართველის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. პასუხისმგებლობა ამაზე საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება,"** - განაცხადა პუტინმა.

იქვე რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართველი ხალხი რუსეთისათვის **"ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ხალხია ისტორიითა და კულტურით"**, და მრავალმა ქართველმა უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთის გაძლიერებაში. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს "კარგი ხიდია" რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველა მიმართულებით განსამტკიცებლად.

ასევე ქართველი ჟურნალისტის თხოვნით, პუტინმა განმარტა 30 იანვარს გაკეთებული საკუთარი განცხადება კოსოვოს პრეცედენტის პოსტსაბჭოთა კონფლიქტებზე გავრცელების აუცილებლობის შესახებ. **"გაეროს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუცია ადასტურებს, რომ კოსოვო სერბიის განუყოფელი ნაწილია,"** – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ ეს რეზოლუცია უნდა შესრულდეს. ამავე დროს, მისი თქმით, **"პრინციპები უნდა იყოს უნივერსალური, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ გამოიწვევს ნდობას იმ პოლიტიკისადმი, რომელსაც ვახორციელებთ"**.

**"თუ ვინმეს მიაჩნია, რომ კოსოვოსთვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მინიჭება შესაძლებელია, რატომ უნდა ვუთხრათ ამაზე უარი აფხაზებს ან ოსებს სამხრეთ ოსეთიდან? მე არ მინდა, ახლა ვილაპარაკო, თუ რას მოიმოქმედებს რუსეთი. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ თურქეთმა ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკა აღიარა. მე არ მინდა ვთქვა, რომ რუსეთი უმალვე ცნობს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს. მაგრამ ასეთი პრეცედენტები საერთაშორისო ცხოვრებაში არსებობს. მათ ახლა შეფასებას არ ვაძლევ, მაგრამ იმისთვის, რომ სამართლიანად, ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ინტერესებში ვიმოქმედოთ, ყველას გვჭირდება ამ პრობლემების გადაწყვეტის საყოველთაოდ აღიარებული, უნივერსალური პრინციპები. სწორედ ამაზე ვსაუბრობდი გუშინ,"** - განაცხადა პუტინმა.

პუტინი უსაფუძვლოს უწოდებს საუბრებს რუსეთის მიერ "ენერგეტიკული იარაღის" პოლიტიკური მიზნებით გამოყენებაზე. **"ჩვენ ჩვენს მომხმარებლებს არ ვავიწროებთ... ჩვენ მათ მხოლოდ სხვებთან თანაბარ პირობებში ვაყენებთ, და ეს სამართლიანად მიგვაჩნია,"** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა. მას მიაჩნია, რომ ენერგომატარებლებზე საბაზრო ფასწარმოქმნაზე გადასვლა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ინტერესებს არ დააზარალებს.

ვლადიმირ პუტინმა ჩეჩნეთში არსებულ სიტუაციაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ უკვე შესაძლებელია საუბარი ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულებაზე. **"ჩეჩნეთის სამართალდამცავი ორგანოები საკუთარ თავზე იღებენ ძირითად პასუხისმგებლობას სამართალდამცავი სფეროს მდგომარეობაზე,"** - განაცხადა პუტინმა. მისი თქმით, ჩეჩნეთში სახელისუფლებო სტრუქტურების გაძლიერება მიმდინარეობს, და იმედი გამოთქვა, რომ ეს სიტუაციის სტაბილიზაციას გამოიწვევს.

ვლადიმირ პუტინს მიაჩნია, რომ პასუხის გაცემა შეკითხვაზე, მისი შესაძლო მემკვიდრის შესახებ, მხოლოდ ამომრჩევლებს შეუძლიათ. მისი თქმით, **"რუსეთში ბევრი ადამიანია, ვისაც შეუძლია ქვეყნის სათავეში ჩადგეს"**.

რუსეთის პრეზიდენტმა პასუხი გასცა შეკითხვას ბელორუსში მოსალოდნელი არჩევნების შესახებ. მისი აზრით, **"თავისუფალი არჩევნების ჩატარება ყოველთვის შესაძლებელია." "რაც შეეხება ჩემს შეხვედრებს ბელორუსის პრეზიდენტთან, ისინი არა რომელიმე რეჟიმის, არამედ მოძმე ბელორუსი ხალხის მხარდაჭერას ნიშნავს,"** – განაცხადა პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ ამჟამად რუსეთი და ბელორუსი საკავშირო სახელმწიფოს აშენებენ. **"ბელორუსთან ჩვენი ინტეგრაციული პროცესები გრძელდება. ეს პროცესები რთულია, ხშირად იწვევს მწვავე დისკუსიებს, როგორც ეს ორი წლის წინ, ბელორუსისთვის გაზის შიდა რუსული ფასებისაგან განსხვავებული ფასის დაწესებისას მოხდა,"** – თქვა პუტინმა. **"ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ ნებისმიერ ფასად რომელიმე სახელმწიფოს ვუჭერთ მხარს, არ შეიძლება. ჩვენ გაწონასწორებულ პოლიტიკას ვაწარმოებთ, რომელიც სახელმწიფოებთან თანამშრომლობას გულისხმობს,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

"დიდი რვიანის" ქვეყნების თანამეგობრობაში რუსეთის როლზე საუბრისას ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, რომ კარგად იცის "რვიანის" ქვეყნების ლიდერების განწყობა. **"იქ არავინაა წინააღმდეგი ამ კლუბში რუსეთის ჩართვისა და აქტიური მონაწილეობისა. იმიტომ, რომ არავის სურს, "რვიანი" გაქსუებული კატების თავყრილობას დაემსგავსოს,"** - განაცხადა მან, და რუსეთის პოლიტიკის გამკრიტიკებლებიც ახსენა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ "დიდ რვიანში" რუსეთის ადგილი არ არის. მისი თქმით, **"ისინი წინა საუკუნეში ჩარჩნენ... ისინი სოვეტოლოგიის სპეციალისტები არიან. და იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა, ჯერ ისევ იქ არიან. რადგან სხვა სპეციალობა მათ არ გააჩნიათ."** მათთვის პუტინს ასეთი პასუხი აქვს: **"ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის."** პუტინის მიერ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს ყველაზე მეტად აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მიესადაგება. მით უმეტეს, თუ რაისის უკანასკნელ გამოსვლებს გავითვალისწინებთ.

პუტინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ "დიდი რვიანის" ძირითადი ამოცანა გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მისი აზრით, ამ ამოცანის შესრულება უმსხვილესი ბირთვული სახელმწიფოს – რუსეთის ზურგსუკან შეუძლებელია.

პუტინის თქმით, შვიდი პარტნიორი სახელმწიფოს არც ერთ ლიდერთაგანს ეჭვი არ შეაქვს რუსეთის, როგორც კლუბის წევრის, უფლებამოსილებაში. მით უმეტეს, რომ რუსეთი ჯგუფის ერთ-ერთი განსაკუთრებით გავლენიანი მონაწილეა, ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე რუსეთის, როგორც წამყვანი მოთამაშის, როლის ზრდის გათვალისწინებით.

პუტინმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკის კონსტრუქციული კრიტიკის წინააღმდეგი არ არის. **"ჩვენ ამით დაინტერესებულნი ვართ, რადგან კრიტიკა საშუალებას გვაძლევს, ჩვენი შეცდომები დავინახოთ, და რესურსების კონცენტრირება მართლაც მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე მოვახდინოთ. კრიტიკა დიდად სასიამოვნო არ არის, მაგრამ ის სასარგებლოა,"** – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

პრეზიდენტი პუტინი პალესტინის არჩევნებში ორგანიზაცია "ჰამასის" გამარჯვებასაც შეეხო. რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ **"ეს ძალიან სერიოზული დარტყმაა ამერიკული ინტერესებისათვის ახლო აღმოსავლეთში"**. რაც, მისი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობას.

დასავლეთისგან განსხვავებით, **"რუსეთს საგარეო საქმეთა სამინისტრო არასოდეს მიიჩნევდა ჰამასს ტერორისტულ ორგანიზაციად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოსკოვი იწონებს ჰამასის მოქმედებებს,"** – განაცხადა პუტინმა და "ჰამასსაც" ურჩია, ცნოს ისრაელის სახელმწიფო.

ამგვარად, თავისი გამონათქვამებით პუტინმა გუშინ "გაქსუებულ კატებსა" და "ხელმოცარულ სოვეტოლოგებს" ძალიან ბევრი საფიქრალი გაუჩინა...

*24 საათი*

# ხელისუფლება ირანული გაზის ღირებულებას არ ამხელს

დიანა ჩაჩუა

*ირანიდან ბუნებრივი აირის იმპორტის საზეიმოდ დაწყების მიუხედავად, ამ გაზის ღირებულება და მისი მიღების პირობები ჯერჯერობით კვლავ გაურკვეველი რჩება. თუმცა, ირანული საინფორმაციო სააგენტო "ირნას" ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებამ ათასი კუბური მეტრი ირანული ბუნებრივი აირი 233 აშშ დოლარად შეისყიდა.*

გასულ დღეებში, ირანის ისლამური რესპუბლიკის ნავთობის მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო საკითხებში მუჰამედ-ჰადი ნეჟად-ჰოსეინიანმა ირანულ საინფორმაციო სააგენტო "ირნას" ინტერვიუ მისცა, სადაც მან საქართველოსთვის გაზის მიწოდების დეტალებზე ისაუბრა. ნეჟად-ჰოსეინიანის განცხადებით, ერთი თვის განმავლობაში ირანი საქართველოს 30 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიაწვდის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე "ირნას" ინფორმაციით, საქართველოში ექსპორტირებული გაზის საერთო ღირებულება შვიდ მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, ადვილად გამოვთვლით ათასი კუბური მეტრი ირანული გაზის ღირებულებას - ეს დაახლოებით 233 აშშ დოლარია. საგულისხმოა, რომ ეს მონაცემი თითქმის ორჯერ აღემატება მიხეილ სააკაშვილის მიერ ირანული გაზის საფასურად დასახელებულ 120 დოლარს. მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო ირანულ გაზში რუსულ გაზზე მხოლოდ ათი დოლარით მეტს იხდიდა.

აღსანიშნავია, რომ როგორც იმავე ნაჟად-ხოსეინიანმა აღნიშნა, ირანული ბუნებრივი აირის ასეთი ღირებულება საქართველოში შექმნილ კრიზისულ სიტუაციას, მიწოდების ვადებს და პარტიის მცირე მოცულობას უკავშირდება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ირანში 233 აშშ დოლარს შეღავათიან ტარიფად მიიჩნევენ.

აღნიშნული ფაქტის დადასტურების მიზნით, გუშინ "24 საათი" ენერგეტიკის მინისტრს ესაუბრა. ნიკა გილაურმა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, კვლავ ღიად რჩება შემდეგი კითხვები: რატომ არ საუბრობენ ხელისუფლებაში ირანთან დადებული გარიგების პირობებზე? აისახება თუ არა გაზის თითქმის გაორმაგებული ღირებულება სამომხმარებლო ტარიფში, და თუ არა, მაშინ საიდან იქნა მოძიებული აღნიშნული დამატებითი თანხები? გავითვალისწინოთ, რომ საქართველომ ირანული გაზის ღირებულება წინასწარ გადაიხადა. ასევე, უპასუხოდ რჩება კითხვა, თუ რამდენს უხდის საქართველო აზერბაიჯანს ტრანზიტისთვის?

უცხოეთი

# თეირანი "ბირთვული დოსიეს" გადაცემის წინააღმდეგია

ოფიციალური თეირანი მიიჩნევს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის ირანის "ბირთვული დოსიეს" გადასაცემად იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

როგორც ირანის ატომური ენერგიის უწყების ხელმძღვანელმა გოლამრეზა აღაზადემ განაცხადა, ირანის ბირთვული პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ირანის "ბირთვული დოსიეს" გაერო-ს უშიშროების საბჭოში განხილვის აუცილებლობის შესახებ საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების - აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 30 იანვარს ლონდონში გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს. გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის ირანის "ბირთვული დოსიეს" გადაცემის მომხრეა გერმანიაც, რომელსაც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი არ აქვს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ერთიანი პოზიცია დღემდე არ გააჩნდათ, რადგან ევროპელი კოლეგებისაგან განსხვავებით, რუსეთისა და ჩინეთისთვის ეს მიუღებელი იყო. მარტში საკითხის გადაწყვეტაზე შეთანხმება კი უკვე გარკვეულწილად უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის მიღწეულ კომპრომისზე მეტყველებს. როგორც ლონდონური შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა აღნიშნა, "ეს ყველაზე ძლიერი განცხადებაა მათ შორის, რისი იმედიც შეიძლებოდა, რომ გვქონოდა".

თუმცა, მინისტრთა განცხადებაში აღნიშნულია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ პრობლემების განხილვა მარტამდე უნდა გადადოს, როცა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ ოფიციალურ მოხსენებას წარმოადგენს. 2-3 თებერვალს კი, როდესაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო დაიწყებს ოფიციალური თეირანის ურანის გამდიდრების პროგრამის განხილვას, მხოლოდ ეცნობება მშრალად გაერო-ს უშიშროების საბჭოს. იმ შემთხვევაში, თუკი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო გადაწყვეტს, რომ აუცილებელია გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის ირანის "ბირთვული დოსიეს" განსახილველად გაგზავნა, ოფიციალური თეირანის წინააღმდეგ ერთმნიშვნელოვნად დაწესდება სანქციები, რაც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

**"ჩვენ გვსურს ირანის საკითხი დიპლომატიური გზით მოგვარდეს. თუმცა, ერთ რამეში უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ერთმანეთს ვეთანხმებით, შემდგომი დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით, ირანმა აუცილებლად უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი განახლებულ "ურანის გამდიდრების პროგრამაზე"**, - აღნიშნავს ოფიციალური მოსკოვი.

ოფიციალური თეირანის ხელისუფლებისთვის კიდევ ერთი გაფრთხილება იყო აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ ყოველწლიურ მიმართვაში გაკეთებული განცხადებაც.

**"ირანელ ხალხს შემიძლია მხოლოდ ის ვუთხრა, რომ "ჩვენ არ გვსურს, გიკარნახოთ ცხოვრების წირი, არამედ გვინდა, რომ იყოთ თავისუფალნი". ხელისუფლებას კი მხოლოდ შემდეგს ვეტყვი - თუ გსურთ, რომ შედიოდეთ ხალხების დიდ ოჯახში, უნდა დაივიწყოთ ბირთვული ამბიციები,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

# ლონდონი მოსკოვის ბრალდებებს უარყოფს

დიდი ბრიტანეთი ბრიტანული სპეცსამსახურების მიერ რუსეთის ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსების შესახებ კრემლის ბრალდებას უარყოფს. ამასთან დაკავშირებით განცხადება გუშინ მოსკოვში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ენტონი ბრენტონმა გააკეთა.

ელჩმა "აბსოლუტურად არასწორი" უწოდა რუსეთის ხელისუფლების განცხადებებს იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის მთავრობის მიერ არაკომერციული ორგანიზაციების დაფინანსება ღიად არ ხორციელდება.

მისი თქმით, ბრიტანეთის მხრიდან ფინანსური დახმარების მიზანია - ხელი შეუწყოს რუსეთში ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ეს დახმარება ღიად ხორციელდება - პროექტების დაფინანსების შესახებ ყველა ანგარიში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საელჩოს ვებ-გვერდებზეა განთავსებული.

არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი გაგზავნილ წერილში ბრენტონმა პირობა დადო, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა რუსეთის იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობენ, დახმარების გაწევას გააგრძელებს.

მოსკოვში დიდი ბრიტანეთის ელჩის ეს განცხადება ბრიტანული მხარის ყველაზე შესამჩნევი გამოხმაურებაა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ არაკომერციული ორგანიზაციების მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე, რომლის მიხედვითაც ამ ორგანიზაციებს ბრიტანული სპეცსამსახურები აფინანსებენ.

რუსეთში მოქმედი ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნული სკანდალი რუსეთის ხელისუფლებას ზოგადად არასამთავრობოებზე იერიშის მისატანად დასჭირდათ.

ასეა თუ ისე, რუსეთის უშიშროების სამსახურმა მოსკოვში "ქვაში ჩამალული ფარული ელექტრონული მოწყობილობის" აღმოჩენიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, მხოლოდ მიმდინარე კვირის დასაწყისში აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

ორშაბათსვე რუსეთის საზოგადოებრივი პალატის საბჭომ მოუწოდა ხელისუფლებასა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, აღნიშნული "ჯაშუშური სკანდალი" არ გამოიყენონ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზეზად.

*24 საათი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ევრაზიის ფონდი

წარმომადგენლობა საქართველოში

განცხადება

ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი აცხადებს "მილსადენის მონიტორინგის და დიალოგის ინიციატივის" (PMDI) მეორე ეტაპს. პროგრამა განხორციელდება BP-საქართველოსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), BP-საქართველოს და ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა მიზნად ისახავს იმ გავლენის მონიტორინგს, რომელსაც ახდენს BTC და SCP მილსადენების მშენებლობა და მოქმედება.

ევრაზიის ფონდის PMDI პროგრამა იწვევს საქართველოში ოფიციალურად აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს პროგრამის მეორე ეტაპში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამაში მონაწილეობისათვის რეგისტრირებული ყველა პირი შეუერთდება ინტერესთა ჯგუფებს სამი ძირითადი თემის გარშემო: (1) გარემო და ეკოლოგია; (2) სოციალური და ადამიანის უფლებების საკითხები; (3) კულტურული მემკვიდრეობა.

პროგრამის მეორე ეტაპისათვის განიხილება შემდეგი კონკრეტული საკითხები:
- ნარჩენების მართვა;
- აღდგენითი პროცესის მართვა (ბიომრავალფეროვნების ჩათვლით);
- ნავთობის დაღვრის საპასუხო ზომები;
- კულტურული მემკვიდრეობა (ისტორიული ძეგლების დაცვის ჩათვლით);
- მიწის დაბრუნების პროცესი;
- ინფრასტრუქტურის საკითხები (მშენებლობის გავლენა ინფრასტრუქტურაზე).

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იდეების შემოთავაზება პროგრამის მეორე ეტაპზე შესასწავლი დამატებითი საკითხების შესახებ.

ევრაზიის ფონდი აპირებს ცალკეული საკითხების ექსპერტებისაგან 3-5 სამუშაო ჯგუფის შედგენას. თითოეული სამუშაო ჯგუფისათვის კონკურსის წესით შეირჩევა თითო კოორდინატორი, რომელიც ჯგუფის საქმიანობას გაუძღვება.

პროგრამით დაინტერესებულმა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და წარადგინონ იგი ევრაზიის ფონდში **2006 წლის 13 თებერვლის 17:00 საათამდე.**

სარეგისტრაციო ფორმა და შესასრულებელი სამუშაოს სრული აღწერილობა (სამუშაო ჯგუფის წევრებისა და კოორდინატორებისათვის) შეგიძლიათ მოიპოვოთ ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისის ვებ-გვერდზე ან ოფისის მისაღებში. პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისს.

1. www.eurasia.org.ge
2. ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი, კავსაძის ქ. N3, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 22-32-64; 25-39-42/43;

საკონტაქტო პირი: კობა თურმანიძე - PMDI პროგრამის კოორდინატორი

ელ-ფოსტა: kobat@eurasia.org.ge

# პოლიტიკურმა პარტიებმა ქონებრივი დეკლარაციები უნდა წარადგინონ

პოლიტიკურმა პარტიებმა იუსტიციის სამინისტროში 10 თებერვლამდე ქონებრივი დეკლარაციები უნდა წარადგინონ. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულმა მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა (პარტიებმა) ყოველი წლის 1 თებერვლამდე, ანუ, დეკლარაციების იუსტიციის სამინისტროში წარდგენამდე ათი დღით ადრე, ბეჭდვით ორგანოში უნდა გამოაქვეყნონ წინა წლის საფინანსო დეკლარაციები, შესაბამისი აუდიტორული დასკვნით. კანონის მოთხოვნით, საფინანსო დეკლარაციაში ასახული უნდა იყოს პარტიის წლიური შემოსავალი (საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ოდენობა, შემოწირულობათა განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირების თაობაზე მონაცემები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე საგამომცემლო და პარტიის მიერ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები) და გასავალი (არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა გაწეული ხარჯები), აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში (კუთვნილი შენობა-ნაგებობების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო ღირებულება, საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა). მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ასევე ვალდებულია, დეკლარაციის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში, პარტიის იურიდიული მისამართის შესაბამისად, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში წარადგინოს გამოქვეყნებული დეკლარაციისა და აუდიტორის დასკვნის ასლი. პარტიის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იწვევს, რაც 1000-დან 5000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. ამასთანავე, ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, საფინანსო დეკლარაციის გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდებიან.

*24 საათი*

# ინციდენტი გურჯაანში

*გურჯაანში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" გურჯაანში მომხდარ ფაქტზე ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სასწრაფო რეაგირებას ითხოვს.*



საუბარია ინციდენტზე, რომლის დროსაც გურჯაანის პოლიციის თანამშრომლებმა მოგუნდავე ბავშვებს და ახალგაზრდებს, გუნდაობის შეწყვეტის მოთხოვნის შემდეგ, ხელკეტებით სცემეს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, შემთხვევა გურჯაანის რაიონის გამგეობის შენობის წინ, ნონეშვილის გამზირზე მოხდა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ერთ-ერთ ახალგაზრდას პოლიციის ფორმიანმა, შეიარაღებულმა პირებმა ფიზიკური ძალადობისას ტანსაცმელი შემოახიეს და ხელკეტებით ისე სცემეს, რომ მან რამდენიმე წუთით გონებაც კი დაკარგა. ამის შემდეგ პოლიციელებმა ახალგაზრდები ძალის გამოყენებითვე, პოლიციაში "წაათრიეს". თუმცა, პოლიციის შენობის ეზოსთან ისინი სამართალდამცველებს გაექცნენ. **"მას შემდეგ, რაც ადგილზე მისულმა ერთ-ერთმა კორესპონდენტმა პოლიციელთა უკანონობაზე გურჯაანის პოლიციის გამომძიებელს ბესო შაიშმელაშვილს მიუთითა, მან კორესპონდენტისკენაც კი გაიწია. სიტუაცია გურჯაანის გამგებლის ალექსანდრე სირბილაშვილის ჩარევის შემდეგ განიმუხტა. ბესო შაიშმელაშვილი მსგავს უკანონობაში სხვა დროსაც ამხილეს. თუმცა, მას პასუხს არავინ სთხოვს,"** - აცხადებენ "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის" წარმომადგენლები.

პოლიციელების მიერ ბავშვების და ახალგაზრდების ცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს გურჯაანის პოლიციის უფროსი არჩილ ბოჟაძე.

**"26 იანვარს გურჯაანის გამგეობიდან პოლიციაში დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ რამდენიმე ბავშვი და ახალგაზრდა გამგეობის შენობის წინ გუნდაობდა. ისინი მოძრაობას აფერხებდნენ. ადგილზე გაირკვა, რომ ახალგაზრდები ტროტუარზე მიმავალ ავტომანქანებს გუნდებს უშენდნენ, რის გამოც, რამდენიმეს შუშებიც დაუზიანეს. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას ახალგაზრდები არ დაემორჩილნენ და ამის შემდეგ მოხდა ეს ინციდენტი. თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა ისინი მხოლოდ გააფრთხილეს, გუნდაობა შეეწყვიტათ, ცემით კი არავინ უცემიათ, პოლიციისთვის მსგავსი საყვედურით არავის მიუმართავს,"** - ამბობს არჩილ ბოჟაძე.

საპირისპიროს ამბობენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ინციდენტს ესწრებოდნენ. მათი თქმით, ინციდენტის პროვოცირება პოლიციელებმა მოახდინეს.

გურჯაანის გამგებელი ალექსანდრე სირბილაშვილი კი აცხადებს, რომ პოლიცია სიტუაციის გართულებას უნდა მორიდებოდა.

**"პოლიცია ასეთ სიტუაციაში გართულებას უნდა მოერიდოს. ღვთის წყალობით, ამ კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა დროულად მოვახერხეთ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდების საქციელი არ იყო სამართლიანი, მათი ხუმრობა გარკვეულ ზღვარს გასცდა და პოლიციამაც მათ წინააღმდეგ უხეში ძალა გამოავლინა,"** – აცხადებს გურჯაანის გამგებელი.

მომხდართან დაკავშირებით, როგორც პოლიციაში აცხადებენ, საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძვრება.

*24 საათი*

# დღეს სასამართლო აბიტურიენტების საქმეს განიხილავს

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გაიმართება მორიგი სასამართლო პროცესი, სადაც განიხილება აბიტურიენტების სარჩელი საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინიტროს, ასევე შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ. საქმე ეხება სამ აბიტურიენტს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოხვდნენ ჩარიცხულთა სიებში, შემდეგ კი ისინი ამ სიიდან ამოიღეს. არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი სტუდენტური ალტერნატივას" ინფორმაციით, წინა სხდომაზე, რომელიც 24 იანვარს გაიმართა, მოსამართლემ მოითხოვა იმ სპეციალისტების გამოცხადება 1 თებერვლის სასამართლო პროცესზე, რომლებმაც უშუალოდ გაასწორეს მომჩივანი აბიტურიენტების ნაშრომები. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ის დარღვევები, რომელიც კომისიის წევრებმა ნაშრომების გასწორებისას დაუშვეს.

"ახალი სტუდენტური ალტერნატივა" მხარს უჭერს მომჩივან აბიტურიენტებს და განაგრძობს მათი ინტერესების დაცვას სასამართლოს გზით. სასამართლოს მსვლელობისას აღმოჩენილი დარღვევები, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ სისტემის გაუმჭვირვალობასა და შეფასების კრიტერიუმების არასანდოობაზე, რა სისტემითაც საქართველოში ჩატარდა პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდები, - აცხადებენ ორგანიზაციაში.

*მედიანიუსი*

# „ახალგაზრდა იურისტები" რუსთავის კოლონიაში მომხდარ ინციდენტზე რეაგირებას უცხოურ არასამთავრობოებს სთხოვენ

რუსთავის N1 კოლონიაში გუშინ სიმშვიდე იყო. როგორც ცნობილია, გუშინწინ აღნიშნულ დაწესებულებაში დაწყებული ჩხრეკა ბუნტში გადაიზარდა, რაშიც სპეცრაზმი ჩერთო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ირწმუნებიან, რომ არსებობდა წინასწარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პატიმრებს ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, მობილური ტელეფონები და კოლონიას ჰყავდა ე.წ. "მაყურებლები". მოულოდნელი რეიდი კოლონიაში სწორედ ამიტომ მოეწყო. რეიდს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ინციდენტის დროს დაიჭრა ერთი პატიმარი და ერთი სპეცდანიშნულების რაზმის წევრი. პატიმარს ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღიდან აქვს მიყენებული, სპეცრაზმელი კი ბასრი საგნით დაიჭრა. მათ სიცოცხლეს, ამჟამად, საფრთხე არ ემუქრება. მომხდარი ინციდენტის დროს დაჭრილი სპეცრაზმელი გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაიამ მოინახულა. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, სპეცდანიშნულების რაზმის დაჭრილი თანამშრომელი სპეციალურ ბაზაზე მკურნალობს. ბაჩო ახალაიამ დაჭრილ სპეცრაზმელს სწორედ ამ ბაზაზე მიაკითხა.



როგორც ბაჩო ახალაიამ განაცხადა, სპეცრაზმელის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

ამ ინფორმაციას ადასტურებს სპეცრაზმელის ექიმი, პროფესორი ივანე ვერულაშვილიც. მისი განცხადებით, პაციენტს ქალა ტვინის დახურული ტრამვა და ტვინის შერყევა აქვს.

**"პაციენტს წოლითი რეჟიმი და გარკვეული მედიკამენტები დაენიშნა, მაგრამ სპეცრაზმელი ჰოსპიტალიზაციაზე უარს აცხადებს, რის გამოც იგი მკურნალობას სახლში გააგრძელებს,"** - განაცხადა ვერულაშვილმა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გუშინ დაჭრილი პატიმარიც მოინახულა.

ამასობაში იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N1 დაწესებულებაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და საკუთარ პოზიციას აფიქსირებს.

სოზარ სუბარი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას სპეცრაზმის მიერ პატიმართა ცემის შესახებ და აცხადებს, რომ ამბოხის ჩასახშობად სპეცდანიშნულების რაზმმა მხოლოდ რეზინის ტყვიები გამოიყენა, რასაც სერიოზული დაზიანებები არ გამოუწვევია.

**"დაჭრილია მხოლოდ ერთი პატიმარი, რომლის ჭრილობაც იმდენად ზედაპირულია, რომ სპეციალური ექსპერტიზის ჩატარების გარეშე მისი დაშავების მიზეზის დადგენა შეუძლებელია,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

როგორც ომბუდსმენი აცხადებს, იგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ცალკეულ პატიმართა პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნების წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ ყველა პატიმარი ერთნაირ პირობებში უნდა ცხოვრობდეს.

სახალხო დამცველი იმასაც ირწმუნება, რომ რუსთავის საპყრობილეში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სერიოზული მოკვლევა ჩატარდება და დადგინდება იარაღის ტიპი, რომლითაც პატიმარი დაზიანდა.

სახალხო დამცველისაგან განსხვავებით, უფრო კატეგორიულია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია". მისი წარმომადგენლის თორნიკე გურულის თქმით, უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს უკვე გაეგზავნათ ინფორმაციები, საპატიმროებში შექმნილ რეალურ სიტუაციასთან დაკავშირებით.

**"მათ უკვე შეიტყვეს ისიც, რომ ციხეში არ შეუშვეს ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე. ამის უფლება კი კანონით არ ჰქონდათ,"** - აცხადებს თორნიკე გურული.

*24 საათი*

# სამართალდამცველებმა ე.წ. კანონიერი ქურდი რამაზ ჯინჭარაძე დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა ე.წ. კანონიერი ქურდი რამაზ ჯინჭარაძე დააკავა. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება ედება. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ჯინჭარაძემ დაკითხვის დროს აღიარა, რომ ის ქურდია, რაც ვიდეოფირზეა დაფიქსირებული. ახალი კანონმდებლობით კი ასეთი აღიარებითი ჩვენების შემთხვევაში, პირის დაუყოვნებლივ დაკავება უნდა განხორციელდეს. რამაზ ჯინჭარაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ იმსჯელა და მას სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეუფარდა.

*ინტერპრესნიუსი*

# შალვა რამიშვილი ირმა სტეფნაძეს სასამართლო პროცესზე შეხვდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმის განხილვა განახლდა. გუშინდელ სასამართლო სხდომაზე განსასჯელთათვის მნიშვნელოვანი მოწმეები დაიკითხნენ, მათ შორის, ერთ-ერთი განსასჯელის დავით კოხრეიძის ძმა, ყოფილი პარლამენტარი გოგა კოხრეიძე. ასევე, ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი დავით აფხაზი. თუმცა, ყველაზე მეტი ინტერესი ინციდენტის ადგილის, ანუ, იმ ბინის მფლობელის დაკითხვას მოჰყვა, სადაც კობა ბექაურმა შალვა რამიშვილს ფული გადასცა. ჟურნალისტი ირმა სტეფნაძე, რომელიც შალვა რამიშვილის და კობა ბექაურის მეგობარი იყო, პროცესზე რამდენჯერმე გამოიძახეს, თუმცა იგი სხვადასხვა მიზეზების გამო, არც ერთხელ არ გამოცხადებულა.



სტეფნაძე პროცესზე მას შემდეგ გამოცხადდა, რაც სასამართლოზე მიწვევის ოფიციალური შეტყობინება მიუვიდა. შალვა რამიშვილის მიერ მოწმის მისამართით დასმული კითხვები ძირითადად, სტეფნაძის და კობა ბექაურის ახლობლობის გარკვევას ეხებოდა. მართალია, სტეფნაძე არ უარყოფს დაზარალებულთან ახლობლობას, მაგრამ იმასაც ირწმუნება, რომ მას დეპუტატთან საქმიანი ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მოწმემ პროცესზე კიდევ ერთხელ დაადასტურა ისიც, რომ თანხის გადაცემის და ასევე, რამიშვილის დაკავების შესახებ წინასწარ არაფერი იცოდა.

დაკავებულის ერთ-ერთი ადვოკატის გოჩა სვანიძის განცხადებით, მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, რაც ფაქტობრივად უკვე დასასრულს უახლოვდება, სასამართლოს ჩვენებას თავად განსასჯელები მისცემენ.

შეგახსენებთ, ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი შალვა რამიშვილი და ამავე ტელეკომპანიის დირექტორი დავით კოხრეიძე 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს. მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ედავებიან. წარდგენილი ბრალდება, დამტკიცების შემთხვევაში, 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*24 საათი*

# ფინანსური პოლიცია რეიდებს აგრძელებს

ფინანსური პოლიცია სხვადასხვა საქონლის კანონდარღვევით ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის აღსაკვეთად რეიდებს კვლავ აგრძელებს. გუშინ დილით კიდევ ორი ასეთი ფაქტი გამოვლინდა. ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულია მოქალაქე გუნაში გაჯიევი, რომელსაც სხვადასხვა დასახელების საქონელი, სავარაუდოდ, ლილოს ბაზრობისკენ მიჰქონდა. მას არც სასაქონლო ზედნადები და არც რაიმე სახის საბუთი არ აღმოაჩნდა. გაჯიევი დაჯარიმებულია. ხოლო ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ ზაზა რაზმაძე დააკავა, რომელსაც ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტი შემოჰქონდა. რაზმაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ყაჩაღები დააკავეს

შს სამინისტროს თანამშრომლებმა სამგზავრო მიკროავტობუსის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულნი არიან წყალტუბოს რაიონში მცხოვრებნი, 20 წლის ტ. ჯიქიძე და 21 წლის გ. სულაბერიძე, რომლებიც მიმალვაში მყოფ თანასოფლელებთან ერთად სოფელ ქვედა ალისუბანში ყაჩაღურად თავს დაესხნენ "მერსედესის" მარკის სამგზავრო მიკროავტობუსს და მის მგზავრებს გასტაცეს ფული და პირადი ნივთები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ამოღებულია უნომრო საფანტის პისტოლეტი "ბერეტა".

*პრაიმ-ნიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**.....................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.....................................

**საკონტაქტო ტელეფონი**.....................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

ქართული მედია

# ხელისუფლების საინფორმაციო ტაქტიკა და თვითცენზურა მედიას სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს

*გასული კვირის დასაწყისში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც ჟურნალისტების მიმართ სიმპათიებით არც მანამდე გამოირჩეოდა, მეტად საყურადღებო ფრაზა წარმოთქვა: რაც ჟურნალისტებს გაინტერესებთ, მე არ მაინტერესებსო.*

კობა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება"

არადა, ჟურნალისტებმა ბატონ ოქრუაშვილს სთხოვეს, კომენტარი გაეკეთებინა რადიო “თავისუფლებაში" და გაზეთ “24 საათში" გასულ ინფორმაციაზე, რომელშიც საუბარი იყო ეროვნული გვარდიის სარდლის, ბრიგადის გენერალ გიორგი თათუხაშვილის თანამდებობიდან პროტესტის ნიშნად წასვლის შესახებ. უთანხმოებაზე, რომელიც წარმოიშვა ეროვნული გვარდიისა სარდალსა და თავდაცვის მინისტრს შორის. სხვა რომ არა იყოს რა, გენერალი თათუხაშვილი თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 16 იანვარს დაინიშნა. თანამდებობიდან გადადგომის პატაკი კი 25 იანვარს დაწერა. გოგი თათუხაშვილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი იყო “ვარდების რევოლუციის" დღეებში, საქართველოს პოლიტიკური ლიდერის ერთ-ერთ ყველაზე სანდო ოფიცრად ითვლება. შესაბამისად, საზოგადოებას, დიახაც, ძალიან აინტერესებდა გაეგო მინისტრისაგან, თუ რა გახდა გადაგომის ნამდვილი მიზეზი დანიშვნიდან ათი დღის შემდეგ. მით უფრო, რომ სტრუქტურულად ეროვნული გვარდია სწორედ სამხედრო უწყებაში შედის და ოპერატიულად მის პირველ პირს - ირაკლი ოქრუაშვილს ექვემდებარება. დაინტერესება კიდევ უფრო იზრდება იმ ფონზე, როცა არსებობს ვარაუდი დაპირისპირების შესახებ სამხედრო უწყებაში. დაბოლოს, ღირს გავიხსენოთ, რომ სწორედ ეროვნული გვარდიის ორად გახლეჩვა გახდა 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალების დაწყების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

ასე რომ, მინისტრ ოქრუაშვილის პასუხები ჟურნალისტების შეკითხვაზე შესაძლოა ყოფილიყო ნებისმიერი, მაგრამ არა ის, რაც ასეულ ათასობით ადამიანმა მოისმინა სხვადასხვა სატელევიზო არხის მეშვეობით. კორექტულ ტონზე რომ არაფერი ვთქვათ, სახელმწიფო მოხელის მხრიდან ჟურნალისტების შეკითხვის პასუხად ასეთი არაადეკვატური განცხადების გაკეთება, დემოკრატიის ტრადიციების მქონე ნებისმიერ ქვეყანაში სერიოზულ სკანდალს გამოიწვევდა და, შესაძლოა, მინისტრის იმპიჩმენტის დაწყების საფუძვლადაც გამხდარიყო.

მაგრამ ქართულმა მედიამ და საზოგადოებამ “გადაყლაპეს" მინისტრის ასეთი საქციელი. მეტიც, რამდენიმე წამყვანი ტელეარხის ჟურნალისტი, რომლებიც დამიკავშირდნენ კომენტარისათვის და სურდათ სიუჟეტი მოემზადებინათ ეროვნული გვარდიის სარდლის გადადგომაზე, შემდგომში იძულებულნი გახდნენ, უარი ეთქვათ მასალის გაკეთებაზე. ერთადერთი ქართული ტელეარხი, რომელმაც ამ თემას სიუჟეტი უძღვნა, გახლდათ საზოგადოებრივი ტელევიზია.

ჩემმა კოლეგებმა ტელეკომპანია “რუსთავი 2“-დან და “იმედი"-დან პირად საუბრებში მითხრეს, რომ ბოლო ხანს მათთვის სულ უფრო ძნელი ხდება სიუჟეტების გაკეთება სამხედრო უწყების ცხოვრებაზე. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება არასაწესდებო ურთიერთობებს, საეჭვო სამხედრო შესყიდვებს, კორუფციის შემთხვევებს და ტოტალურ საკადრო წმენდას. სქემა კი ასეთი გახლავთ: რედაქტორები სიუჟეტის ავტორებისაგან ითხოვენ ოფიციალურ კომენტარებს, თავდაცვის სამინისტრო კომენტარზე უარს ამბობს, შესაბამისად სიუჟეტი იხსნება ეთერიდან.

სწორედ კომენტარის არარსებობის გამო ვერ მოხვდა სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში შარშანდელი უპრეცედენტო ცემა-ტყეპა გორის სასწავლო ცენტრში და თბილისში მდებარე მე-4 ბრიგადაში, რომლის შედეგადაც დაახლოებით 14 ჯარისკაცი იქნა ჰოსპიტალიზებული. რეაგირების გარეშე დარჩა წლის დასაწყისში ახალციხეში მდებარე სამხედრო ნაწილში მომხდარი ჯარისკაცის ცემის ფაქტი. ჯარისკაცი უფროსი ასაკის თანამებრძოლებმა მხოლოდ იმის გამო სცემეს სასტიკად, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვა ხარკის მიცემაზე. არადა, ყველა ამ პრობლემაზე საკმაოდ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა ქართულ ბეჭდურ გამოცემებში და სურვილის შემთხვევაში მათზე დაყრდნობით შეიძლებოდა სატელევიზო რეპორტაჟების მომზადება. მაგრამ ტელემაუწყებლები მაინც ოფიციალურ კომენტარებს თვლიან უმთავრესად და არა ფაქტის სინამდვილეს. თუმცა, ძალიან საყურადღებოა, რომ როდესაც ქართული დამოუკიდებელი ტელეარხები ერთი კვირის წინ “პრაიმ-ტაიმში" გადასცემდნენ გონიოს პოლიგონზე მომხდარ დაპირისპირებას რუს და ქართველ სამხედროებს შორის, მაუწყებლებს არ ჰქონიათ არც ჩხუბის ამსახველი კადრები და არც შესაბამისი კომენტარები. ასევე ხშირად უკომენტაროდ გადაიცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ე.წ. ოპერატიული კადრები, რომელთა შინაარსი და გრაფიკა, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან, რბილად რომ ვთქვათ, ”მწყარალად არიან".

გარდა იმისა, რომ არ არსებობს შესაბამისი ოფიციალური პირების კომენტარები, სამხედრო თემაზე კრიტიკული სიუჟეტების გავრცელებისაგან წამყვანი ტელეარხები თავს იკავებენ თვითცენზურის გამო. “სამხედრო მშენებლობა ქვეყანაში პრიორიტეტულია, ამიტომ ძირითადად არმიაში მიმდინარე პოზიტიურ მოვლენებზე გვთხოვენ სიუჟეტების გაკეთებას", მითხრა ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ პოპულარული ტელევიზიიდან. რა შეიძლება ამ არგუმენტის საპასუხოდ ითქვას? არა მგონია, ვინმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, თუ რამდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს არმია დიდ ბრიტანეთში, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს მთელი მსოფლიო მოიარა მოყვარულის მიერ გადაღებულმა კადრებმა, რომელშიც 42-ე ელიტურ სპეცდანიშნულების ბრიგადის ახალბედა ჯარისკაცები ერთმანეთს შიშვლები სცემდნენ. ან გავიხსენოთ აბუ-ღრაიბის ციხის სკანდალი, რომელიც სწორედ ამერიკელმა ჟურნალისტებმა გამოამზეურეს.

მოდი ვიკითხოთ: რა ამოძრავებს დასავლეთის მედიას, რომელიც ამხელს ხოლმე ასეთ ნეგატიურ ფაქტებს? ნუთუ დემოკრატიის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნებში ჟურნალისტებს ნაკლებად ესმით სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების მნიშვნელობა ან ჟურნალისტის დანიშნულება?

პასუხი მარტივია: მოქალაქეები ქირაობენ მთავრობებს, უხდიან მინისტრებს და გენერლებს მაღალ ხელფასებს, აძლევენ ფულს ჯარის გასაწვრთნელად, სადაც მათივე შვილები, ძმები და დები მსახურობენ. ამიტომ არის დასავლური მედია ჩასაფრებული (“მოდარაჯე ძაღლივით"), რათა სამხედრო უწყებაში ნაკლებად იყოს კლასიფიცირებული თემები, ამიტომ მოიფიქრეს იმ ქვეყნებში არმიაზე დემოკრატიული-სამოქალაქო კონტროლი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია დამოუკიდებელი მედია, “მეოთხე ხელისუფლება".

საქართველოში კი მედია დღეს სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. რაც უფრო მეტია ტაბუდადებული თემები, რაც უფრო ხშირია თვითცენზურა “სახელმწიფოს ინტერესების" სახელით, მით უფრო ნაკლებად ანგარიშგასაწევი ხდება ჟურნალისტური პროფესია და მათი შექმნილი პროდუქცია ხელისუფლებისათვის. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დაახარისხა მედია: შეიტკბო და გაანებივრა ტელევიზიები; ბეჭდური მედია, ინტერნეტ-გამოცემები და რადიო კი გერის მდგომარეობაში ჰყავს და, იშვიათი გამონაკლისის სახით, არც ცდილობს მასთან თანამშრომლობას. სამწუხაროდ, ტელეჟურნალისტები არ აღმოჩნდნენ სოლიდარულნი მათივე კოლეგების მიმართ. მახსოვს, როდესაც დღევანდელი ხელისუფლება აგდებით ლაპარაკობდა ქართულ გაზეთებზე (“ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო," - პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრძანა), ცნობილი ტელეჟურნალისტები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სილამაზის კონკურსში და სხვადასხვა “ფეშენ-ღონისძიებებზე" კეკლუცობით იქცევდნენ თავს. მაგრამ, “თაფლობის თვე" ადრე თუ გვიან მთავრდება და სულ მალე ტელევიზიები მიხვდებიან, რომ ხელისუფლებასთან საშიში სიახლოვე კატასტროფით ემუქრება არა მხოლოდ მათ ავტორიტეტს, არამედ მთელს “მეოთხე ხელისუფლებას".

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა სია

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბაჩუკი ბახტაძე | დროებით უმუშევარი |
| 2 | როლანდ მალანია | დროებით უმუშევარი |
| 3 | რობიკო არველაძე | დროებით უმუშევარი |
| 4 | იოსებ ოსიძე | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი |
| 5 | გურამ ჩალაგაშვილი | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი (მდივანი) |
| 6 | ვლადიმერ ბოჟაძე | თბილისის ს.ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილება. ლაბორანტი |
| 7 | ბიჭიკო მოდებაძე | დროებით უმუშევარი |

# კანონი და ეთიკა ქართულ ჟურნალისტიკაში

ია ანთაძე

ხელისუფლების აქტიური წარმომადგენლები ჟურნალისტებს მათი საქმიანობის თვითრეგულირებისკენ მოუწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტებმა ერთმანეთის ნამუშევარი უნდა შეაფასონ და “თეთრი" და “შავიც" თავად განასხვაონ. მაგრამ ჟურნალისტთა ნაწილი ეჭვით ეკიდება ხელისუფლების მორიგ ინიციატივას. სჭირდება თუ არა ქართულ მედიას თვითრეგულირება?

კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის ივნისში მიიღო. ამ კანონის მიხედვით, ჟურნალისტის საქმიანობა მაქსიმალურად არის დაცული ფორმალური ზეწოლისგან. მაგალითად, თითქმის შეუძლებელია, რომ ჩინოვნიკსა და ჟურნალისტს შორის სასამართლო დავა ჩინოვნიკის სასარგებლოდ დასრულდეს. ისეთი ფაქტები, როდესაც გადაცემა “60 წუთის" ჟურნალისტმა ნინო ზურიაშვილმა ერთი მილიონი ლარი წააგო სასამართლოში აკაკი ჩხაიძის სასარგებლოდ, წარსულს ჩაბარდა. თუ რომელიმე საჯარო პირი სასამართლოს სარჩელით მიმართავს, მან თავად უნდა ამტკიცოს, რომ მის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა. მაგალითად, ახალი კანონმდებლობის პირობებში, ნინო ზურიაშვილი კი არ შეეცდებოდა, სასამართლო თავისი არგუმენტების სისწორეში დაერწმუნებინა, არამედ აკაკი ჩხაიძეს მოუწევდა მტკიცება, რომ იგი კორუმპირებული არ არის. რომც დაემტკიცებინა, შემდეგ აკაკი ჩხაიძესვე მოუხდებოდა იმის დადასტურება, რომ ჟურნალისტი უნებლიე შეცდომის მსხვერპლი კი არ იყო, არამედ მიზანმიმართულად ახდენდა ჩხაიძის დისკრედიტაციას მისთვის მატერიალური ან მორალური ზიანის მისაყენებლად. ამის შემდეგაც კი, თუ სასამართლო ჟურნალისტის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანდა, თანხა იქნებოდა გაცილებით ნაკლები, ადეკვატური და გონივრული, ვიდრე ერთი მილიონი ლარი.

ადვილი მისახვედრია, რომ მეტად ლიბერალური კანონის პირობებში, ჟურნალისტის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, როგორ ინფორმაციას გაავრცელებს იგი რომელიმე საჯარო პირის ან მოვლენის შესახებ. თუ ადრე ჟურნალისტს სასამართლოს შიში აიძულებდა, მეტ-ნაკლებად პატიოსნად ემუშავა, ახლა კანონის ჩარჩო გაფართოებულია და ჭორების მოგონების შემთხვევაშიც კი, ჟურნალისტს სასჯელი არ ემუქრება. კანონში ასახული სახელმწიფო პოლიტიკა ასე შეიძლება განვმარტოთ: სახელმწიფოს ხედვით, ჯობს, ჩინოვნიკი იყოს დაუცველი ჟურნალისტის პირისპირ, ვიდრე ჟურნალისტს ემუქრებოდეს წნეხი ჩინოვნიკის მხრიდან. ახალი კანონი იდეალურ პირობებს ქმნის სიტყვის თავისუფლებისთვის, ჟურნალისტური გამოძიებებისთვის, პოლიტიკური დებატებისთვის. მაგრამ იგივე კანონი ახალისებს ჭორს, ტყუილს, შეურაცხყოფას და ცილისწამებას.

როგორც თბილისში, ისე საქართველოს რამდენიმე რეგიონში გამოიცემა გაზეთები, რომლებიც სრულად სარგებლობენ კანონის მიერ გაფართოებული ჩარჩოთი და ბეჭდავენ ხმაურიან, მაგრამ გადაუმოწმებელ ან ტენდენციურ მასალებს. ამ გაზეთების გვერდით გამოიცემა სხვა გაზეთები, რომლებიც გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას იჩენენ მკითხველის მიმართ - არ უზრდელობენ, არავის შეურაცხყოფენ და კონფლიქტში მხარედ არ გამოდიან. ერთი სიტყვით, არიან ჟურნალისტები, რომლებიც ბოროტად იყენებენ კანონით მინიჭებულ ფართო უფლებებს და მათ გვერდით არიან სხვა ჟურნალისტები, რომლებიც ნებაყოფლობით ისაზღვრავენ სამოქმედო სივრცეს ეთიკის ნორმებით. პირველი კატეგორიის ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალა მკითხველისთვის ხშირად უფრო მიმზიდველია, მეორე კატეგორიის ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალა კი ობიექტურად უფრო სანდოა. თბილისში ვითარება გამჭვირვალეა. მაგალითად, “24 საათს" და “ჯორჯიან თაიმსს" სხვადასხვა მკითხველი ჰყავს და ეს გაზეთები ერთმანეთის კონკურენტებად არ აღიქმებიან. რეგიონებში კი კონკურენციის ზღვარი სწორედ ეთიკურ და არაეთიკურ გაზეთებს შორის გადის. ამიტომაც, კახეთში, გურიაში, სამეგრელოში მედიაორგანიზაციებს შორის მწვავე დაპირისპირებაა. ტირაჟის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, “მყვირალა" გაზეთები ყველგან უკეთესად იყიდება - დედაქალაქშიც და რეგიონებშიც. დაბალანსებულ პრესაზე კი მოთხოვნა გაცილებით მცირეა. გამოდის, რომ ჟურნალისტური ეთიკა და პასუხისმგებლობა ქართველი მკითხველის მიერ დიდად დაფასებული არ არის. ამიტომ, კეთილსინდისიერი ჟურნალისტები მონდომებული არიან, მედიის წიაღში შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც მკითხველს დაეხმარება, სათანადოდ შეაფასოს და დააფასოს ამა თუ იმ გაზეთის სანდოობის ხარისხი და არ დაეწაფოს უპასუხისმგებლო პრესას. ეს არის პრობლემის არსი. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ თვითრეგულაცია არა მხოლოდ ხელისუფლების ინიციატივაა, არამედ, ეთიკური ჟურნალისტიკის სასიცოცხლო მოთხოვნაც. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითრეგულაციის ზოგიერთი ფორმა მედიისთვის მავნე შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ ამ საფრთხის შესახებ მომავალში ვისაუბრებთ.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო “თავისუფლების" ეთერით.*

## შესწორება

27 იანვრის გაზეთ “24 საათში” გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო განცხადება საწვავის შესყიდვაზე, სადაც გაიპარა უზუსტობა.

ნაცვლად : “წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 15 თებრევალს “ უნდა იკითხებოდეს - “ წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 17 თებრევალს“.

**PSP** ჯგუფის კეთილშობილური ინიციატივა

არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს რომ “PSP-ჯგუფი" გამოირჩევა ქველმოქმედებით, სულ ბოლო მაგალითს თუ გავიხსენებთ, გასულ კვირას 27 უფასო სასადილოს 2044 ადამიანისთვის გადაეცა მედიკამენტების (გაციების, ანთებისსაწინააღმდეგო, წნევის, სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი და ა.შ.) 2044 პაკეტი, რისთვისაც კომპანიამ 24500 ლარი გაიღო.

დღეს, ეპიდგრიპოზისა და რთული კლიმატური პირობების გამოხვევის გამო გაზრდილია მოთხოვნა გაციების, ხველის და სიცხისდამწევ საშუალებებზე. იმისთვის რომ “PSP-ჯგუფის" მზრუნველი ხელი თითოეულ საქართველოს ოჯახს შეხებოდა “PSP-ჯგუფმა" შემდეგ კეთილშობილურ აქციას ჩაუყარა საფუძველი:

2006 წლის 29 იანვრიდან “PSP-ჯგუფმა" საქართველოს მასშტაბით გამოაცხადა გაციების, ხველის საწინააღმდეგო და სიცხის დამწევ 10 ცნობილ, ყველაზე მოთხოვნად ბრენდზე 20%-ანი ფასდაკლება “პე-ეს-პე ჩემი ოჯახის აფთიაქში":

• ტაიქოლდი • [illegible] • პალიქსოლი • [illegible] • პინოსოლი
• ტერაფლუ • კოლდრექსი • ნაზოლი • პანადოლი • სტრეფსილსი

“PSP-ჯგუფი" მუდმივად აწყობს აქციებს, რომელიც მისაბაძი ხდება სხვა კომპანიებისთვის. ჩვენ მოხარულები ვართ რომ არც ამჯერად დავარღვიეთ ტრადიცია და ამ ახალ წამოწყებასაც სხვა კომპანიები ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ, რაც უშუალოდ საქართველოს თითოეული მოქალაქის მხარდაჭერა ნიშნავს.

## საერთაშორისო განათლების ცენტრი, დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო და ედინბურგის უნივერსიტეტი

**Open Society Institute/Foreing and Commonwealth Office Chevining/ University of Edinburgh Scholarships 2006/2007**

აცხადებს კონკურს ერთწლიანი სტიპენდიის მოსაპოვებლად ედინბურგის უნივერსიტეტის შემდეგ სამაგისტრო პროგრამებში სასწავლებლად

**- პოლიტიკის სწავლებანი (MSc in Policy Studies)**
**- ნაციონალიზმის სწავლებანი (MSc in Nationalism Studies)**
**- პოლიტიკური თეორია (კვლევით) (MSc by Research in Political Theory)**
**- სოციალური კვლევა (MSc in Social Research)**

**ძირითადი მოთხოვნები:**
- პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა იყვნენ 23 დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქენი;
- განაცხადის შეტანის მომენტში უნდა ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. კონკურსში დაიშვებიან ის პირებიც, რომლებიც დროებით იმყოფებიან ქვყნის გარეთ სამ თვეზე ნაკლები ვადით:
- ბრწყინვალედ ფლობდნენ ინგლისურ ენას;
- უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი (კონკურსში დამამთვარებელ კურსის სტუდენტებიც დაიშვებიან):
- ჰქონდეთ სამუშაო გამოცდილება არჩეულ დარგში:
- არ უნდა ჰქონდეთ მიღებული დიდი ბრიტანეთის სამთავრობო გრანტი:
- გრანტის ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში სწავლის ან სამუშაოს გასაგრძელებლად.

დამატებითი ინფორმაცია ედინბურგის უნივერსიტეტის, დეპარტამენტებისა და
ფაკულტეტების შესახებ, შეგიძლიათ მიიღით ედინბურგის უნივერსიტეტის ვებსაიტზე:

**http://www.ed.ac.uk**
**http://ww.ed.ac.uk/studying/postgraduate http://ww.ed.ac.uk/studying/postgraduate/applications/forms.html**

Eედინბურგის უნივერსიტეტის სტიპენდიის მოპოვება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე.

*საგანაცხადო ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:*
***ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"***
***საერთაშორისო განათლების ცენტრი***
**ჭოველიძის 10**
**საკონტაქტო ტელეფონები: 25 26 15**
**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს**
**15:00 საათზე.**
***განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 27 თებერვალი 2006***

ავერსი
AVERSI

ფარმაცევტული კომპანია **„ავერსი"** ზამთრის მძიმე დღეებში თანადგომას უცხადებს მოსახლეობას და გრიპის ვირუსის და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატები **„ავერსი"**-ს ყველა აფთიაქში მთელი საქართველოს მასშტაბით გაიყიდება

**20-25%-იანი ფასდაკლებით**

**ეს პრეპარატებია:**
- ეფექტი ფლუ
- გრიპ ჰოთი
- პიროსალი
- რემანტადინი
- ოქსოლინი
- ოტიპაქსი
- ვიტამინი C ტაბლეტები
- ეფიზოლი
- დოქტორ ტაისის მრავალძარღვას სიროფი
- დოქტორ ტაისის ცხვირის წვეთები

*სულ 20-ზე მეტი დასახელება*

**ავერსი ლიდერი ლიდერთა შორის**
**გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტი | საზომი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| კომპიუტერული აქსესუარები ლოტი 1 | დინამიკი | ცალი | 3 |
| | დისკეტი (ფლოპიდისკი) | შეკვრა | 100 |
| | დისკი მრავალჯერადი | შეკვრა | 14 |
| | ელემენტი NH-AA-DAციფრული ფოტოაპარატისათ dbc SONY P92 | ცალი | 4 |
| | ფლოპი დისკი | ცალი | 20 |
| | LBLBP810-EP22კარტრიჯი | ცალი | 8 |
| | Q 261 Aკარტრიჯი | ცალი | 8 |
| | კარტრიჯი | ცალი | 20 |
| | კარტრიჯი შავი HP51645 | ცალი | 12 |
| | კარტრიჯი შავი HP51646 | ცალი | 10 |
| | კატრიჯი | ცალი | 5 |
| | კატრიჯი 1125-C ფერადი | ცალი | 6 |
| | კატრიჯი 1125-C შავი | ცალი | 6 |
| | კატრიჯი Canon 1120 | ცალი | 6 |
| | კატრიჯი Deskjet- 5150- ფერადი hp c 6656a | ცალი | 20 |
| | კატრიჯი Deskjet- 5150-C შავი hp 57 | ცალი | 20 |
| | კატრიჯი Deskjet-1010-C | ცალი | 4 |
| | კატრიჯი Deskjet-1280- ფერადი C6478D | ცალი | 24 |
| | კატრიჯი Deskjet-1280- შავი 51645ა | ცალი | 48 |
| | კატრიჯი Deskjet-950-C ფერადი C6478D | ცალი | 48 |
| | hp Deskjet- 5151კარტრიჯი ფაქსის | ცალი | 7 |
| | კატრიჯი hp Deskjet- 5150 | ცალი | 2 |
| | კატრიჯი hp-1010 | ცალი | 4 |
| | კატრიჯი hp-1020 | ცალი | 2 |
| | კეტრიჯი Desklet-49 | ცალი | 5 |
| | კეტრიჯი Desklet-HP20 | ცალი | 3 |
| | კეტრიჯი ფოტო HP C 1816 | ცალი | 10 |
| | კეტრიჯი HPL aserjet Q2612A D | ცალი | 2 |
| | კომპიუტერის "მაუსი"Lლაზერული | ცალი | 3 |
| | კომპიუტერის დისკეტი | ცალი | 8 |
| | კომპიუტერის LASERJET 1100კარტრიჯი | ცალი | 6 |
| | კომპიუტერის საწმენდი | ცალი | 36 |
| | კომპიუტერის საწმენდი სალფეტკი | ცალი | 19 |
| | კორექტორი | ცალი | 86 |
| | ლაზერული დისკი | ცალი | 194 |
| | ლაზერული დისკი CD-RW | ცალი | 10 |
| | მაუსი | ცალი | 16 |
| | ქსეროქსის ჩანონ 6212-ის კატრიჯი | ცალი | 12 |
| | ქსეროქსის ფხვნილი | ცალი | 6 |
| | ქსეროქსის კატრიჯი CANON FC-108 | ცალი | 6 |
| | ქსეროქსის Laserjet 3030-ის კატრიჯი | ცალი | 20 |
| | ქსეროქსის ტონერი | ცალი | 3 |
| | UPS | ცალი | 4 |
| საკანცელარიო საქონელი ლოტი 2 | ფაქსის აპარატის ქაღალდი | ცალი | 15 |
| | ფაქსის ქაღალდი | ცალი | 12 |
| | ფაქსის ქაღალდი(210მმX30) | ცალი | 10 |
| | ფაქსის თერმოქაღალდი | რულონი | 2 |
| | Fფოტო ქაღალდი HP(A4) | ცალი | 5 |
| | ბაიდერი | ცალი | 140 |
| | ანტისტეპლერი | ცალი | 8 |
| | ბლოკნოტი | ცალი | 57 |
| | ჩასანიშნი ფურცლები (ჩვეულებრივი) | ცალი | 50 |
| | CD-ROM (ინფორმაციის შესატანად) | ცალი | 9 |
| | ცელულოიდის ყდები | ცალი | 40 |
| | ცელოფნის ფაილი | შეკვრა | 200 |
| | დაპრესილი ქაღალდი (კუბი) | შეკვრა | 60 |
| | დირაკოლი | ცალი | 18 |
| | ფაილები (ცელოფნის) | შეკვრა | 20 |
| | ფანქარი | ყუთი | 251 |
| | ფერადი მარკერი | ცალი | 12 |
| | ფლომასტერი (მარკერი) | ცალი | 20 |
| | ფოტოქაღალდი | შეკვრა | 20 |
| | გამოსათვლელი მანქანა | ცალი | 5 |
| | ჟურნალი | ცალი | 26 |
| | კალკულატორი | ცალი | 45 |
| | მაგიდის დღიური | ცალი | 10 |
| | მაგიდის კომპლექტი | ცალი | 8 |
| | მაკრატელი | ცალი | 12 |
| | მარკერი | ცალი | 120 |
| | მახსოვრობის პლატა MSX-IGციფრული ფოტოაპარატისათვის dbc SONY P92 | ცალი | 2 |
| | მსოფლიო რუკა | ცალი | 50 |
| | ორგანაიზერი | ცალი | 3 |
| | ქაღალდი ცარცის | შეკვრა | 30 |
| | ქაღალდის დანის პირები | ცალი | 10 |
| | ქაღალდის სამაგრი | კოლოფი | 4 |
| | საერთო რვეული ა -4 ფორმატით | ცალი | 7 |
| | საკანცელარიო ჟურნალი | ცალი | 12 |
| | საკანცელარიო კრებული | ცალი | 3 |
| | სამაგრი | დასტა | 12 |
| | საქაღალდე LEITZ | შეკვრა | 4 |
| | საშლელი | ცალი | 95 |
| | სათლელი | ცალი | 45 |
| | სავახტო ჟურნალი მფ-2 N01-14-14-01-02 | ცალი | 25 |
| | საწერი ქაღალდი A-3 | შეკვრა | 30 |
| | საწერი ქაღალდი A-4 | შეკვრა | 500 |
| | საწერკალამი | ცალი | 1800 |
| | სახაზავი | ცალი | 43 |
| | სკანერი | ცალი | 1 |
| | სკოჩი | ცალი | 70 |
| | სკრეპი | შეკვრა | 121 |
| | შტანგელფარგალი 0,1-0,05 | ცალი | 5 |
| | სტეპლერი | ცალი | 30 |
| | სტეპლერის ტყვიები | ცალი | 124 |
| | სწრაფჩამკერი | ცალი | 700 |
| | უბრალო ფანქარი | ცალი | 20 |
| | უჯრედებიანი რვეული დიდი | ცალი | 25 |
| | წებო | ცალი | 118 |
| | ჭიკარტი | კოლოფი | 40 |
| | ხაზვის კომპლექტი | კომპლექტი | 1 |
| სტამბური წესით დასამზადებელი ლოტი 3 | აღრიცხვის ჟურნალი მფ-2N15-11 | ცალი | 5 |
| | ბრიგადაზე გასაცემი ცნობების ბლანკი მფ-2N27-11 | ცალი | 1500 |
| | ბრძანებების ბლანკი ფერადი პირადი შემადგენლობის შესახებ | ცალი | 200 |
| | სამუშაო ადგილის ცნობა ბლანკი | ცალი | 300 |
| | ცვლის ტექნოლოგის მორიგეობის ჟურნალი | ცალი | 4 |
| | დოკერების მოწმობის დანართი | ცალი | 400 |
| | დოკერის მოწმობა | ცალი | 200 |
| | დროებითი საშვი | ცალი | 1000 |
| | ერთჯერადი საშვი | ცალი | 5000 |
| | ერთჯერადი საშვი ვაგონებისა და ავტომანქანებისათვის | ცალი | 2500 |
| | ფორმა-2 (კადრებისათვის) | ცალი | 100 |
| | გაცემა მიღების ჟურნალი მფ-2N21-11 | ცალი | 20 |
| | გაცემული ტელეფონოგრამების ჟურნალი მფ-2 N05-14-14-01-02 | ცალი | 5 |
| | გემის დღიური | ცალი | 50 |
| | ინსტრუქტაჟის შესახებ ბლანკი | ცალი | 200 |
| | ჯანმრთელობის მდგომარეობის ბლანკი | ცალი | 200 |
| | კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი | ცალი | 100 |
| | მატერიალური საშვი აკინძული | ცალი | 5000 |
| | მეკუჭნავის ჟურნალი მფ-2N22-11 | ცალი | 10 |
| | მიღებული ტელეფონოგრამების ჟურნალი მფ-2 N02-14-14-01-02 | ცალი | 5 |
| | რვეული (სავახტო სააღრიცხვო ჟურნალები) | ცალი | 24 |
| | სამსახურეობრივი განრიგის უწყისი | ცალი | 500 |
| | სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის სარეგისტრაციო | ცალი | 50 |
| | სატვირთო საწყობის ამბარული წიგნი მფ-2N26-11 | ცალი | 10 |
| | სატვირთო საწყობის სამეურნეო სამუშაოს ფურცელი | ცალი | 500 |
| | სახანძრო ინსტრუქტორის მორიგეობის მიღება-ჩაბარების | ცალი | 20 |
| | შემოვლის ფურცელი | ცალი | 100 |
| | ტაბელი | ცალი | 535 |
| | ტალმანის აღრიცხვის ფურცელი მფ-2N31-11 | ცალი | 3000 |
| | უფროსი ექს.სავახტო ჟურნალი მფ-2N05-11 | ცალი | 20 |

შენიშვნა: მიმწოდებელმა უნდა მოაწოდოს ცხრილში აღნიშნული ან მისი შემცვლელი საქონელი.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347 საიდენტიფიკაციო N 245383678, მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 22 თებერვალი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.

მიმწოდებელი ვალდებული იქნება საქონლის მიწოდება განახორციელოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 22 თებერვლიდან 24 თებერვლის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის ნიმუშებიც.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია და საქონლის ნიმუში წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: რამაზ ბეჟანიძე ტელ. სამსახურის 888 222 76958; მობილური: 899 65 73 90. მის: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" მარკეტინგის განყოფილება.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტენდერს საპოხ-საზეთი მასალების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა |
|---|---|---|---|
| ლოტი1 | SAE-30-ის დიზელის ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ. | 2500 |
| | SAE-90 ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ | 600 |
| | . LITOL-24 ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ | 1800 |
| | ჰიდრავლიკული ზეთი ATF ან მისი შემცვლელი | ლტ | 150 |
| | ჰიდრავლიკული ზეთი HD32- ან მისი შემცვლელი | ლტ | 700 |
| | ჰიდრავლიკული ზეთი HD68- ან მისი შემცვლელი | ლტ | 950 |
| | SAE-0W40 დიზელის ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ. | 40 |
| | SAE-140 ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ. | 10 |
| | SAE-15W40 ბენზინის ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ. | 300 |
| | sae-20/W/50 დიზელის ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ | 18450 |
| | SAE-5W40 ზეთი ან მისი შემცვლელი | კგ. | 60 |
| | სატრანსფორმატორო ზეთი | ლ | 800 |
| | ზეთი ac-30-ს ან მისი შემცვლელი | ლ | 10 |
| | ზეთი ტურბინის | კგ | 200 |
| ლოტი2 | ანტიფრიზის სითხე | ლტ | 100 |
| | მუხრუჭის სითხე | ლტ | 70 |
| | ნიგროლი | ლტ | 100 |
| | საპოხი საშუალება "სალიდოლი"- ან მისი შემცვლელი | კგ | 120 |

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური"-ს საბანკო ანგარიშზე: : ს.ს. თიბისი ბანკის ბათუმის ფილიალი; მფო 220 101 835; ანგარიშის N 34700347; საიდენტიფიკაციო N 245383678 მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1 რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 22 თებერვალი.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ.ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N11

დაფინანსების წყარო - საზოგადოების სახსრები.

საქონლის მიწოდება განხორციელდება 4 (ოთხი) ეტაპად (კვარტლების მიხედვით). პირველი მიწოდება სავალდებულოა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში

პრედენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 22 თებერვლიდან 24 თებერვლის 18 საათამდე. მისამართი ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების პროცესი;
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- ცნობა ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის შესახებ.
- ცნობა იმის შესახებ, რომ ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა მიმართ არ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიების პროცესი;
- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკურ პირთათვის:

- პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო რეკვიზიტები)
- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოების პროცესი (სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ინფორმაცია ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილების შესახებ;

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

Pპრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული საქონლის წარმოშობისა და ხარისხის სერტიფიკატი, საქონლის ნიმუში და ლაბორატორიული დასკვნა ნიმუშის ხარისხის შესახებ.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია და საქონლის ნიმუში წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული სახით.

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წიმადადებები არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადებების მოთხოვნებს.

ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან რამაზ ბეჟანიძე ტელ. სამსახურის 888 222 76958, მობ. 899 657390. ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის" მარკეტინგის განყოფილება.

**სატენდერო კომისია**

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ტურბოგენერატორის რეალიზების შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:
- მესაკუთრე - შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი - ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N52.
- სარეალიზაციო ქონება- ტურბოგენერატორი გამოშვების წელი 1994, Nცდზ 874081 ოაცჟ - 2500კვტ
- საწყისი ფასი შეადგენს 35 000 აშშ დოლარს

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობაა "ბე"-ს გადახდა, რომელიც შეადგენს 10000 (ათი ათასი) აშშ დოლარს. "ბე"-ს გადახდა წარმოებს შესაბამისი კურსით ლარებში შემდეგ ანგარიშზე: "საქართველოს ბანკის" ფოთის ფილიალი, ა/ა 117253900, კოდი 220110535.

კონკურსში გამარჯვებულ პირს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება გადახდილად სარეალიზაციო საქონლის ღირებულებაში. დანარჩენ კონკურსანტებს გადახდილი "ბე" უბრუნდებათ უპირობოდ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 დღის განმავლობაში.

საკონკურსო წინადადება უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე და ფასსე.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" არ აგებს პასუხს სარეალიზაციო ტურბოგენერატორის ნივთობრივი ნაკლის გამო. ტურბოგენერატორის დემონტაჟი და ფოთის ნავსადგურიდან გატანა ხორციელდება კონკურსში გამარჯვებულის მიერ საკუთარი ხარჯებით და ძალებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 3 თებერვლიდან 2006 წლის 6 მარტის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლი N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს შეამოწმოს ტურბოგენერატორის ტექნიკური მდგომარეობა.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

**1.** განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

**2.** კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

**3.** "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

**4.** კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

**5.** იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.

***შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"***

*მოკლედ*

## "ეს ნამდვილი როკ-ენ-როლია"

აფრიკის თასის გათამაშებაზე დიდი სკანდალი მწიფდება. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა, არ აპირებს ეგვიპტის წინააღმდეგ სათამაშოდ გამოსვლას. გუნდს ქვეყნის მთავრობამ კუთვნილი პრემიები არ გადაუხადა, სააგენტო "როიტერსს" განუცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ლერუამ.

კონგოელები ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე იმუქრებოდნენ. ტოგოს წინააღმდეგ არ ვითამაშებთ, თუ მთავრობა ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის კუთვნილ თანხას არ გადაგვიხდისო. ის დავიდარაბა, როგორც იქნა, ჩაწყნარდა. თუმცა, ამჯერად დემოკრატიული კონგოს ნაკრების ფეხბურთელებს პრემიები რვა საუკეთესო გუნდში გასვლისთვის ეკუთვნით.

"თუ არ გადაუხდიან, მეოთხედფინალში ეგვიპტის წინააღმდეგ არ ითამაშებენ", - კაიროს მახლობლად, სასტუმროსთან მდგარმა კლოდ ლერუამ (სწორედ აქ ცხოვრობს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი) განუცხადა ჟურნალისტებს. "ეს სრული სიმართლეა. მეოთხედფინალი არ იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფეხბურთელებს მთელი სამყარო დააძალებს, - დაამატა ფრანგმა სპეციალისტმა, - ეს შანტაჟი არ არის. მე მოვახერხე ფეხბურთელები ამ სტადიამდე მომეყვანა, მაგრამ ამის იქით გუნდი არ წავა".

ლერუამ იქვე დაამატა, რომ იმედი აქვს, კონფლიქტი სწრაფად მოგვარდება. კვირას მას კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟოზეფ კაბილამ დაურეკა და აღუთქვა, რომ ფული აუცილებლად გამოინახებოდა. კაბილა ტელეფონით მწვრთნელ ლერუას და გუნდის კაპიტან ლომან ლუა-ლუას ესაუბრა. საუბარი ტოგოსთან მატჩამდე 15 წუთით ადრე გაიმართა.

"ამ საუბრიდან მეორე დღეს გუნდმა ფული მიიღო ისე, როგორც ეს ქვეყნის პრეზიდენტმა თქვა, - თავისი ბონუსით (ჯგუფურ ეტაპზე მონაწილეობისთვის)", - განაცხადა ლერუამ. პრემიებმა ფეხბურთელზე 10000 დოლარი შეადგინა. მეოთხედფინალში გასვლისთვის კი თითოეულ ფეხბურთელს 15000 დოლარი ერგება.

კლოდ ლერუამ აღიარა, რომ ყოველდღე ჩემოდნიანი კაცის ლოდინი არ არის ტურნირისთვის მზადების საუკეთესო ვარიანტი. ეს უარყოფითად მოქმედებს თამაშისთვის ფეხბურთელთა განწყობაზე. შეგახსენებთ, რომ კლოდ ლერუას ხელმძღვანელობით კამერუნის ნაკრები 1986 წელს აფრიკის თასის ფინალში გავიდა.

"ეს ფეხბურთი არ არის. ეს ნამდვილი როკ-ენ-როლია", - გამოააშკარავა ფრანგმა თავისი შთაბეჭდილებები დემოკრატიული კონგოს ნაკრების მიმართ.

## სტამმა "აიაქსი" აირჩია

ევროპის სხვადასხვა კლუბში 8-წლიანი ვოიაჟის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების მცველმა იაპ სტამმა გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნდეს და იქ გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. ზაფხულში სტამი ამსტერდამის "აიაქსთან" გააფორმებს კონტრაქტს.

უცხოური პრესის ცნობით, 33 წლის მცველს სამი არჩევანი ჰქონდა - "პსვ ეინდჰოვენს", "ჰეერენვეენსა" და "აიაქსს" შორის. სტამმა ამსტერდამული კლუბი აირჩია. ფეხბურთელი აპირებს დენი ბლინდის გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს.

სხვადასხვა წლებში სტამი "ზვოლეს, "კამბურის" და "ვილემის" ღირსებას იცავდა. 1998 წელს კი 16,7 მილიონ დოლარად "პსვ ეინდჰოვენიდან" "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა. მისი დახმარებით ალექს ფერგიუსონის გუნდმა ჰეთ-თრიქი შეასრულა და 1999 წელს სამი ჯილდო ერთად მოიგო - ინგლისის ჩემპიონატი და თასი, აგრეთვე უეფას ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერისთვის" ტრიუმფალურ წელს სტამმა მონაწილეობა მიიღო "იუნაიტედის" ყველა მატჩში საერთაშორისო არენაზე.

2001 წელს ჰოლანდიელი მცველი რომის "ლაციოს" მიჰყიდეს. მცველის საკომპენსაციო თანხამ მაშინ 26,8 მილიონი ევრო შეადგინა. სტამმა "ლაციოს" შემადგენლობაში ჩემპიონატის 70 მატჩი ითამაშა და 2004 წლის ზაფხულში 10,5 მილიონ ევროდ "მილანში" გადავიდა. შარშანდელ სეზონში სტამმა მილანელთა ღირსება სერია A-ს 34 მატჩში დაიცვა და გოლიც გაიტანა. ხოლო "როსონიერი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ფინალამდე მივიდა.

ჰოლანდიის ნაკრებში სტამს 67 მატჩი აქვს გამართული. ამსტერდამელებს უხარიათ, რომ ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი გადაიბირეს. "ვფიქრობთ, იაპ სტამი შესანიშნავად შეეწყობა ჩვენს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს", - განაცხადა ამსტერდამის "აიაქსის" სპორტულმა დირექტორმა მარტინ ვან გეელმა.

*ჭიდაობა*

## ჩემპიონატი მკაცრი სანქციებისა და ტრაგედიის თანხლებით

ბიგა ბურასაშვილი

*თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი დამთავრდა. გუნდის ხელმძღვანელობამ საერთაშორისო ასპარეზობებისთვის ნაკრების შემადგენლობა შეარჩია.*



*"თავისუფლებმა" ჩემპიონატი დაამთავრეს.*

60 კგ წონაში მეოთხედფინალური შეხვედრა გიორგი ზვიადაძემ მოიგო. შვილის გამარჯვებით გახარებულ მამას გულის უკმარისობა დაემართა და მალევე გარდაიცვალა.

იძულებითი პაუზის შემდეგ ჩემპიონატი განახლდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მეორე დღე სამ წონით კატეგორიას - 60, 74, 96 დაეთმო. მედლების უმეტესობა თბილისელებს დარჩათ – ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო.

გუშინ ვთქვით, ჩემპიონატის პირველმა დღემ აყალმაყალის გარეშე ჩაიარაო, მაგრამ თურმე ვცდებოდით. 31 იანვარს, საღამოს, როდესაც ჩემპიონატი თითქმის დამთავრებული იყო, დარბაზში გამოაცხადეს: 30 იანვარს გაიმართა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმთან არსებული სადისციპლინო კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატზე მომხდარი ინციდენტი. კერძოდ, მოჭიდავეები ვასიკო გოგოლაძე და ვასიკო ჩოხელი შეჯიბრების მსვლელობისას ჩაერივნენ მსაჯთა ბრიგადის საქმიანობაში, რაც მერე ხულიგნობაში გადაიზარდა. კონფლიქტში ჩაერივნენ გულშემატკივრებიც, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს.

ასევე განიხილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მწვრთნელის ჯემალ კილაძის საქციელი, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ მოჭიდავეები დაეშოშმინებინა, უშუალოდ გახდა კონფლიქტის მონაწილე.

კომისიამ განიხილა მომხდარი ფაქტი და დაადგინა: მოჭიდავეებს მიეცეთ სამწლიანი დისკვალიფიკაცია, ხოლო მწვრთნელს გამოეცხადოს საყვედური.

ეს ყველაფერი სადისციპლინო კომისიის ოქმით შევიტყვეთ. დეტალებში უკეთ გარკვევაც ვცადეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრს ასეთი რამ არც შეუმჩნევია. ისიც თქვეს, დიდი არაფერი, ამაზე უარესიც მომხდარა, მაგრამ ამის შემდეგ რომ აღარ გამეორდეს, მკაცრი სასჯელი შემოვიღეთო. სამწლიანი დისკვალიფიკაცია კი აშკარად მკაცრი სასჯელია. თუმცა, როგორც თქვეს, სადისციპლინო კომისიის დადგენილებას ფედერაციის პრეზიდენტმა უნდა დაუჭიროს მხარიო. თუ დისკვალიფიკაციას სისრულეში მოიყვანენ, სასჯელის შემსუბუქება მოჭიდავეთა შემდგომ საქციელსა და სპორტულ მონდომებაზე იქნება დამოკიდებულიო...

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებისგან დღეს ბერძენ-რომაელებმა ჩაიბარეს ესტაფეტა. ხვალ ჩემპიონატი დამთავრდება, მერე კი გულშემატკივართა ყურადღება საერთაშორისო ასპარეზობებისკენ იქნება მიმართული.

**თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი**

**60კგ. – 22 მონაწილე**
მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი)
ზურაბ მახარაშვილი (თბილისი)
ლევან ჩაბრაძე (საჩხერე)
მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი)

**74კგ. – 42 მონაწილე**
გელა საღირაშვილი (თბილისი)
არჩილ გიგაური (თბილისი)
ნიკო ტლაშაძე (გორი)
დავით ოქროპირიძე (გორი)

**96კგ. – 17 მონაწილე**
გიორგი გოგშელიძე (გორი)
დავით მეძმარიაშვილი (აფხაზეთი)
მალხაზ ჯორბენაძე (თბილისი)
ლევან სეთურიძე (ყაზბეგი)

*ფეხბურთი*

## თბილისის „დინამომ" „რკინის ფარდა" ჩამოიფარა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ თბილისის "დინამო" კვიპროსზე გაემგზავრა, სადაც ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გამართავს. ამ შეკრებაზე გუნდს პირველად ახლავს ახალი მთავარი მწვრთნელი ანდრეი ჩერნიშოვი. "დინამო" სპარინგმატჩებსაც ჩაატარებს. ასეთი ოთხი თამაშია დაგეგმილი – რუსეთის "ლუჩ ენერგიასთან", პოლონეთის "ლეგიასთან", რუმინეთის "პანდორასთან" და ერთ-ერთ სამხრეთკორეულ გუნდთან.

ასეთ შეკრებებს "დინამო" ყოველწლიურად მართავს ზამთარში და ზაფხულში – სეზონებსშორის არდადეგებზე. ქართულ საკლუბო რეალობაში "დინამო" იმითაც იყო გამორჩეული, რომ მსგავს შეკრებებზე და ტურნეებში ყოველთვის ახლდა პრესსამსახურის ხელმძღვანელი, რომლის მოვალეობასაც ბოლო წლებში ჟურნალისტი ლევან სალუქვაძე ასრულებს, თან საკმაოდ კვალიფიციურად. სალუქვაძის დახმარებით ქართულ სპორტულ მედიას ყოველთვის ჰქონდა ამომწურავი ინფორმაცია უცხოეთში მყოფი "დინამოს" საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობაზე და სპარინგთამაშებზე. როგორც ჩანს, "დინამოს" ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტული აღარ არის მედიასთან და, შესაბამისად, გულშემატკივართან აქტიური ურთიერთობა. ასე რომ, ამ უცხოურ შეკრებასთან დაკავშირებით მხოლოდ ძუნწი ინფორმაციის მოწოდება მოგვიწევს.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე ლევან სალუქვაძეს. "კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მე თბილისში ვარ საჭირო", - ასეთი ორაზროვანი გახლავთ "დინამოს" პრესატაშის კომენტარი. ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ ცივილიზებული კლუბები ასე არ იქცევიან. როგორც ჩანს, "დინამო" სპორტული შედეგების გარდა სხვა ნორმებითაც ქართული საკლუბო "ქაოსის" სრულუფლებიანი წევრი ხდება.

იმედია, ასეთი კონსპირაცია ახალი მთავარი მწვრთნელის საქმიანობას ხელს შეუწყობს და "დინამო" თამაშის ხარისხს მკვეთრად გააუმჯობესებს. თუ ასე მოხდა, დასამდური არაფერი გვექნება.

გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებიც ანდრეი ჩერნიშოვმა კვიპროსში წაიყვანა:

**მეკარეები: ზვიად სტურუა, გიორგი ლორია, სოსო გრიშიკაშვილი;**

**მცველები: დავით გიგაური, ლევან აკობია, სერგი ორბელაძე, რევაზ ქემოკლიძე, უჩა ლობჟანიძე, გიორგი კვიტაიშვილი, გიორგი შაშიაშვილი;**

**ნახევარმცველები: ჟილვან გომეს ვიეირა, ჟოზიმარ ლუის ამბროსიო, გიორგი ნავალოვსკი, გიორგი მერებაშვილი, ლაშა ნოზაძე, გულვერდი თომაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი, კახა მახარაძე;**

**თავდამსხმელები: მიხეილ ბობოხიძე, ჯაბა დვალი, სანდრო იაშვილი, გურამ კაშია, ლევან მელქაძე.**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თბილისის №200 საჯარო სკოლა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 2006 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები.

2. დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, საიდენტიფიკაციო კოდი 206160606, ანგ. № 200122900, ბანკის კოდი 220101107, ერთიანი ანგარიში არასაგად. შემოსავლები. გლდანი-ნაძალადევის სახ. კოდი 300014040. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოს მისამართზე: თბილისი, ქერჩის ქუჩა №22, №200 საჯარო სკოლა, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 1 თებერვლიდან 21 თებერვლამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება 2006 წლის 31 დეკემბრამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - №200 საჯარო სკოლის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე, თბილისი, ქერჩის ქუჩა №22.

4. მიწოდება უნდა განხორციელდეს ცალკეულ პარტიებად შემსყიდველის წინასწარი წერილობითი განაცხადიდან ერთი კვირის განმავლობაში.

5. მიწოდებული პროდუქცია მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში კვების პროდუქტების მიმართ დადგენილ სტანდარტებს.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ა.წ. 21 თებერვლიდან 22 თებერვლის 15 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქერჩის ქუჩა №22.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცდადების მოთხოვნებს.

9. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 22 თებერვლის 15 საათი. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 22 თებერვალს 15 საათზე.

10. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №22. საკონტაქტო პირი მარინა უჯმაჯურიძე, ტელ. 67 26 59.

დანართი 1.

| რიგითი № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | პროდუქციის ხარისხი |
|---|---|---|---|
| 1 | პური | 14000 | ხორბლის |
| 2 | კარაქი | 600 | უ/ხ. უმარილო |
| 3 | რძის ფხვნილი | 1500 | უ/ხ |
| 4 | ჩაი | 50 | შავი |
| 5 | ყავა ხსნადი, კაკაო | 100 | უ/ხ |
| 6 | კომბოსტო | 4000 | უ/ხ |
| 7 | ჭარხალი | 260 | უ/ხ |
| 8 | სტაფილო | 200 | უ/ხ |
| 9 | ხახვი | 1300 | უ/ხ |
| 10 | ტომატ-პასტა | 260 | უ/ხ უმარილო |
| 11 | მარილი | 300 | დოზირ-ებული, სუფრის |
| 12 | მწვანილი | 700 | ახალი |
| 13 | ქათამი | 200 | უ/ხ ქართული წარმ. |
| 14 | ხორცი | 2000 | I კატ. საქონლის |
| 15 | ზეთი | 600 | უ/ხ მზესუმზირის |
| 16 | სოსისი | 100 | უ/ხ საქონლის |
| 17 | ყველი | 180 | ქართული |
| 18 | პომიდორი | 200 | ახალი |
| 19 | ახალი ხილი | 750 | უ/ხ |
| 20 | კიტრი | 500 | უ/ხ ახალი |
| 21 | მაიონეზი | 50 | უ/ხ |
| 22 | ხილფაფა | 400 | უ/ხ |
| 23 | კარტოფილი | 7500 | საშ. |
| 24 | წიწიბურა | 900 | უ/ხ |
| 25 | ბრინჯი | 800 | უ/ხ |
| 26 | ფუნთუშა | 17 000 ც | უ/ხ |
| 27 | მანი | 1000 | უ/ხ |
| 28 | პურის ფქვილი | 500 | ხორბლის |
| 29 | კვერცხი | 3000 | ახალი, ქართული |
| 30 | შაქარი | 2000 | უ/ხ თეთრი |
| 31 | ჰერკულესი | 500 | უ/ხ |
| 32 | თევზი | 200 | უ/ხ ახალი |
| 33 | არაჟანი | 100 | ახალი |
| 34 | ხაჭო | 200 | ახალი |
| 35 | ლობიო | 500 | 36 |
| სპეცი სხვადა-სხვა | | | |

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ტენდერს საავიაციო ნავთის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| | მომსახურების დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი N 1 | საავიაციო ნავთი | ტონა | 30 |

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი.
მიწოდების სასურველი ვადები: I კვარტალი

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 24 და 25 თებერვალს 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის :

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

ფიზიკური პირებისათვის :

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51, 893-24-32-24

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## დაზუსტება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 27 იანვრის გაზეთ "24 საათში" საავტომობილო საწვავის და ზეთის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ საერთაშორისო ღია ტენდერის განცხადების დაზუსტება:

| ლოტი N | დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) |
|---|---|---|
| 1 | ბენზინი სუპერი (Unleaded RON 98) | 18860 |
| | ბენზინი პრემიუმი (Unleaded RON 95) | 495440 |
| | ბენზინი რეგულარი (Unleaded RON 91) | 580380 |
| | დიზელი (L-62) | 35720 |
| 2 | ზეთი (მინერალური) სიბლანტით 20Wx50, API კლასიფიკაციით არანეკლებ SJ/CF-4 ხარისხის | 6000 |
| 3 | ზეთი (ნახევრად სინთეთიკური) სიბლანტით 10Wx40, API კლასიფიკაციით არანეკლებ SL/CF ხარისხის | 4000 |

## ინფორმაცია

(31 იანვარი)

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. სურამში მდებარე შ.პ.ს. "ივა" ითხოვს დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.

2. ქ. ბათუმში მდებარე შ.პ.ს. "ახალგაზრდობა" ითხოვს საშუალო პროფესიული საქმიანობის ლიცენზიას.

უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას ითხოვს:

1. გარდაბანში არსებული წმინდა ნინოს სახ. მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა - თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანების საფუძველზე ინდივიდუალური საწარმოს "თამილა ხიზანიშვილის" უფლებამონაცვლეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საუნჯე", ი/ს "თამილა ხიზანიშვილის" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებას განაგრძობს, როგორც შ.პ.ს. "საუნჯის" წმინდა ნინოს სახ. მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა.

2. შ.პ.ს. ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საერო სასწავლებელი "მარჯი" - თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანების საფუძველზე, შ.პ.ს. ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საერო სასწავლებელს "მომავალს", ეწოდა შ.პ.ს. ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო საერო სასწავლებელი "მარჯი" და მისი იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 95.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზური ისტორია

# წყენა

ისტორია, რომელიც მე მინდა გიამბოთ, მაშინ გადამხდა თავს, როდესაც სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის მე-5 კლასში ვსწავლობდი.

მე ქართველი ვარ, კეკელიძე ნიზფა რევაზის ასული. მაშინ, მეხუთე კლასში სწავლისას, გავიმარჯვე "მხატვრული კითხვის" კონკურსში და უნდა წავსულიყავი რესპუბლიკურ კონკურსზე, როგორც გამარჯვებული.

რესპუბლიკური კონკურსი თბილისში ტარდებოდა. სოხუმში ჩატარებული შესარჩევი კონკურსის შემდეგ თავისთან გამომიძახა ჩვენი სკოლის დირექტორმა, რათა ჩემი მიღწევები ჩაეწერა.

როდესაც დირექტორმა ჩემი სახელი და გვარი გაიგო, ძალიან გაუკვირდა და მითხრა: "ნიზფიკო, შენ არ გეწყინოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში შენ გაიმარჯვე, თბილისში მაინც ვერ გაგაგზავნი. რა გამოდის, იცი, რომ მთელ აფხაზეთში ერთი აფხაზი ბავშვი არ მოიძებნა, რესპუბლიკურ კონკურსზე გასაგზავნად? არა, შენ ვერ წახვალ. არ შემიძლია, აფხაზეთიდან ქართველი გავაგზავნო!"

ამის შემდეგ ჩემი კლასელი, ზესულან ხაჯიმბა გამოიძახეს, რომელმაც ამ კონკურსზე მეორე ადგილი აიღო და სწორედ ის გააგზავნეს ჩემს ნაცვლად თბილისში.

ეს ისეთი მძიმე "დარტყმა" იყო ჩემთვის, ისეთი წყენა... ძალიან განცდილი ვიყავი. ამ ამბის შემდეგ თვენახევარი გულრიფშის საავადმყოფოში ვიწექი. არაფერი არ მანუგეშებდა, აქამდე არ ვიცოდი და იმედგაცრუებული, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, არაფერი აღარ მაინტერესებდა. მოკლედ, საშინელ დღეებს ვატარებდი.

ამის შემდეგ ძალიან დიდხანს არც ერთ კონკურსში აღარ მიმიღია მონაწილეობა, აღარც მხატვრული კითხვის წრეზე დავდიოდი.

კარგა ხნის შემდეგ დიდი თხოვნით მიმართა ჩემმა გამზრდელმა ბებიამ, რომ ეს მეორედ "გადაწყვეტილიყო".

ამ ამბის წლისთავზე ჩემი სახელი მივიღე - ახალი "მეტრიკა" აგილ, რომელიც მე უკვე ვერ როგორც "არმინ ნიზფა დირინაბის ასული".

ჩემმა ნამდვილმა გვარმა და ეროვნებამ შემიშალა ხელი...ბავშვური, ეს ჩემთვის ძალიან მძიმე გადასატანი წყენა აღმოჩნდა...

პრინციპში, ის "წყენა" დღემდე გულში ჩამრჩა და ყოველთვის, როდესაც ჩემი სკოლის დირექტორს შემთხვევით ვხედავ, არ შემიძლია არ გავიხსენო ის "წყენა", რომლის გამოც მე ერთხელ და სამუდამოდ შევიცვალე.

*რუბრიკას უძღვება ლელა მარგანი.*

*პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მომზადებულია ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.*

## მოკლედ

### ეთნიკური წმენდის გაგრძელება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთში ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მათი სახლების მასობრივად ნგრევა მიმდინარეობს. გამოთავისუფლებულ მიწის ნაკვეთებს სეპარატისტები ღობავენ და აუქციონის წესით უცხოელ ინვესტორებზე ასხვისებენ. ინვესტორების აბსოლუტური უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეები წარმოადგენენ. "ბოლო პერიოდში გახშირდა აფხაზეთში ქართული ეროვნების მოსახლეობის ქონების უკანონო გასხვისების ფაქტები, რაც ამ რეგიონში ქართველი მოსახლეობის დაბრუნების ნინააღმდეგ მიმართული ქმედებებია და სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდის პოლიტიკის აშკარა გაგრძელებას წარმოადგენს", - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

მასშივე მოყვანილია ქართული მოსახლეობის ქონების გასხვისების კონკრეტული ფაქტები. კერძოდ გაგრაში, რუსთაველის ქუჩაზე ეროვნებით ქართველი ნუკრი ქაქუჩაიას ყოფილი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე ამჟამად სასტუმრო. იმავე რუსთაველის ქუჩაზე ქართველი ეროვნების სერგო და ვარლამ ფიფიას ყოფილ საცხოვრებელ სახლების ტერიტორიაზე აშენდა მაღაზიები. ...

"სოხუმის რეჟიმის ლიდერების ამგვარი მოქმედებები სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს არა მარტო რეგიონში დარჩენილ ქართულ მოსახლეობაში და ადგილობრივ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის, არამედ თვით ხელისუფლების აქტიურ მხარდამჭერ რიგებშიც", - ნათქვამია განცხადებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ აფრთხილებს უცხოურ ბიზნესწრეებს, რომ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით შეძენილი ქონება მათ აუცილებლად ჩამოერთმევა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ სოხუმის რეჟიმის მიერ ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას და კიდევ ერთხელ მიმართავს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს - გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს და სხვა ქვეყნებს დაიცვან აფხაზეთში მცხოვრები ქართველები და ხელი შეუშალონ მათი საკუთრების გასხვისებას. **მედიანიუსი**

### გაეროს ოფისის ნაცვლად

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა, გალის რაიონში "ადამიანის უფლებათა ცენტრი" გახსნან. სეპარატისტული სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება შზად არის, დაეხმაროს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს ასეთი ცენტრის გახსნაში. "ჩვენ ვიცით, რომ თბილისი ითხოვს გალში გაეროს ოფისის გახსნას, ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ მსგავსი ცენტრი გალში არასამთავრობო სექტორმა გახსნას", - აცხადებს შამბა. მისი თქმით, გალის რაიონში ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრის გახსნას აფხაზეთის ხელისუფლება არ ეწინააღმდეგება. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით აფხაზეთის მხარეს ეთანხმება", - აცხადებს შამბა. აფხაზური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას და აცხადებს, რომ მსგავსი ოფისი უკვე ფუნქციონირებს სოხუმში. სერგეი შამბა აცხადებს, რომ აფხაზური მხარე შეეცდება, რომ ეს ცენტრი გალში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთაც გაეროს სოხუმის ადამიანის უფლებათა ოფისი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან. **მედიანიუსი**

## გადარჩენილი ფოტოები



*გასეირნება რიწის ტბაზე, 2003 წლის აგვისტო. "შერიგების რესურსების" მიერ დაფინანსებული საერთაშორისო ურთიერთობების საზაფხულო უნივერსიტეტის მონაწილეები (მარცხნიდან): გალაქტიონ ჩავლეიშვილი, ნატალია მაქაძე და არსოუ ხაშბა.*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას გამოსვლა გაეროს უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 2006 წლის 26 იანვარი

ბ-ნო თავმჯდომარევ,
თქვენო აღმატებულებავ,
პატივცემულო კოლეგებო,

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა წარვსდგე გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე და ვისაუბრო იმაზე, თუ როგორ აფასებს საქართველო აფხაზეთში (საქართველო) გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის მთავარი მონაწილეების საქმიანობას. მინდა მადლობა გადავუხადო გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს, ქ-ნ ჰეიდი ტალიავინს სამშვიდობო პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით გაწეული დაუღალავი მუშაობისთვის.

ბ-ნო თავმჯდომარევ, საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას მის მიერ შემუშავებული პრო-აქტიური მონაწილეობის პოლიტიკის შესაბამისად. ამ ინიციატივის პრინციპული მნიშვნელობის ელემენტი კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ გადაწყვეტას ეფუძნება, რაც როგორც აფხაზების, ისე ქართველების კანონიერი ინტერესების აღიარების გზით უნდა განხორციელდეს.

მე მინდა მოკლედ მოგახსენოთ ამ მიმართულებით საქართველოს მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ცხადყოფს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაცია სრულად უჭერს მხარს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას:

გასული წლის დეკემბერში პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა კეთილი ნება და დაადასტურა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა მხარს უჭერს იმ ახლებურ აზროვნებასა და მიდგომებს, რომლებიც მიზნად ისახავს სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ჩვენს აფხაზ პარტნიორებთან პირდაპირი კავშირების დამყარებას. მან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე შესთავაზა აფხაზ ლიდერს შეხვედრის გამართვა შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერის მიზნით, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნებოდა ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენების მუქარაზე უარის თქმის ძირითადი პრინციპები და ასევე კანონიერი და ხელსაყრელი პირობები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე ბოლო დროს გარკვეული პოზიტიური ძვრები აღინიშნა, კერძოდ, საუბარი მაქვს ეკონომიკური კავშირების აღდგენის მიზნით გაწეულ ძალისხმევასა და იმ თანამშრომლობაზე, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისაკენ იყო მიმართული. მინდა რუსეთის მხარეს მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ტექნიკური შეფასების წარმატებით დასრულება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რკინიგზის წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფის ბოლოდროინდელი სხდომა, რომელიც მოსკოვში გაიმართა, ხელს შეუწყობს ამ ორმხრივად ხელსაყრელი პროექტის პრაქტიკულ განხორციელებას.

ჩვენს მიერ შემუშავებულ პრო-აქტიური მონაწილეობის პოლიტიკას ხანგრძლივი მიზნები გააჩნია, რაც გულისხმობს იზოლაციიდან აფხაზი საზოგადოების გამოყვანას, მათ შორის დემოკრატიული ღირებულებებისა და მრწამსის დანერგვას, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ძირითადი უფლებების, პირველ რიგში, საცხოვრებელ სახლებში მათი დაბრუნების უფლების აღიარებას, მიუხედავად ამ პირთა ეთნიკური წარმომავლობისა, ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს დამყარებას.

მიუხედავად საქართველოს მხარის მცდელობისა, შეენელებინა დაძაბულობა და გარკვეული პროგრესისთვის მიეღწია მხარეთა შორის არსებული მწვავე ურთიერთობების განმუხტვის თვალსაზრისით, ჩვენ შემაშფოთებელ ტენდენციებს ვაწყდებით აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებებსა თუ ქმედებებში.

კონფლიქტის ზონაში, კერძოდ - გალის რაიონში, უსაფრთხოებისა და უშიშროების მინიმალური ნორმებიც კი არ არის დაცული. ყოველდღიურად უხეშად ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები, საფრთხის ქვეშაა თავიანთ სახლებში სტიქიურად დაბრუნებული ადამიანების სიცოცხლე. სამწუხაროდ, გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომაზე ჩემი მონაწილეობის შემდეგ, ძალზედ მცირე რამ შეიცვალა, თუ საერთოდ შეიძლება იყოს საუბარი რაიმე ცვლილებაზე. კვლავაც გრძელდება ქართული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურებისაკენ მიმართული ქმედებები. კვლავაც ინგრევა საქართველოს ისტორიული ძეგლები, ეკლესიები და მონასტრები. ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული და ბავშვებს წართმეული აქვთ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.

ჩვენ უკიდურესად შეშფოთებულნი ვართ გალის რაიონში განხორციელებული ძალადობის აქტებით, რადგან ისინი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. აფხაზეთის მხარე უნდა დათანხმდეს გალის რაიონში გაეროს სამოქალაქო პოლიციის შენაერთის შეყვანასა და ასევე გაეროს/ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ფილიალის გახსნას.

აფხაზეთის ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისაგან, რომლებიც მოსახლეობის წინააღმდეგაა მიმართული და შეუთავსებელია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად უფლებებთან. ცნობისათვის, რამდენიმე ხნის წინ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ წამოიწყო დაბრუნებული პირების იძულებითი პასპორტიზაცია, უარის შემთხვევაში ამ პირებს გასახლებით ემუქრებიან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდა კვლავაც გრძელდება.

ბ-ნო თავმჯდომარევ, მინდა კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ მიუხედავად სავალალო ვითარებისა, ჩვენ მშვიდობიანი მოლაპარაკებების ერთგულნი ვრჩებით, რამაც კონფლიქტის მოგვარების გზა უნდა გვაპოვნინოს. მაგრამ სეპარატისტული რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ძირეული საკითხია, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეტაპზეა სამშვიდობო პროცესი. ბოლო დრომდე ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობდა: უშიშროების საბჭოს თოთოეულ წევრ ქვეყანას, ისევე როგორც მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობას, ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში უნდა გადაწყდეს. ეს პოსტულატი შესაბამის ასახვას ჰპოვებს ამ უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციის ყველა რეზოლუციაში.

დღეს კი ვაწყდებით ამ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო მოვლენათა მოულოდნელ და შემაშფოთებელ განვითარებას. უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი, მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელი და სამშვიდობო პროცესში შუამავლის როლის შემსრულებელი ქვეყანა - რუსეთის ფედერაცია - მოულოდნელად იღებს გადაწყვეტილებას, უარი თქვას ისეთი ძირითადი პრინციპის მხარდაჭერაზე, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. აღნიშნული უარი ვრცელდება ე.წ. ბოდენის დოკუმენტზეც "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა განაწილების ძირითადი პრინციპები", რომელიც მთლიანი სამშვიდობო პროცესის პოლიტიკური დარეგულირების ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომების ისტორიაში პირველად ჩვენ არა გვაქვს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი.

ბ-ნო თავმჯდომარევ, მუდმივი ხუთეულის (P5) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წევრის პოზიციის შეცვლა არ წარმოადგენს მხოლოდ მცირე გადახვევას ან კორექტირების მცდელობას. საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის პრინციპზე უარის თქმა ნიშნავს შემდეგს:

* სეპარატიზმის, როგორც ფენომენის, მხარდაჭერას;
* საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქის ეთნიკური წმენდის დაკანონებას;
* თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის ძირითადი პრინციპის - ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპის ეჭვქვეშ დაყენებას.

ბ-ნო თავმჯდომარევ, მე გახლავართ იმ ადამიანების წარმომადგენელი, რომლებიც იძულებით იქნენ გამოსახლებულნი თავიანთი სახლებიდან და რომლებსაც სამშობლოში დაბრუნების უფლებას არ აძლევენ. მე გახლავართ იმ ადამიანების წარმომადგენელი, რომლებიც დევნილობაში ყოფნის თითოეულ დღეს ითვლიან და იმედის თვალით უყურებენ საბჭოს მუშაობას და მის მიერ მიღებულ რეზოლუციებს. მე წარმოვადგენ იმ საზოგადოებას, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს აფხაზეთის (საქართველო) სამშვიდობო პროცესში გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს.

როგორ შემიძლია ავუხსნა ჩემს თანამოქალაქეებს, რომ იმ ქვეყანას, რომელიც სამშვიდობო პროცესში შუამავლის როლს ასრულებს და ადგილზე ხელმძღვანელობს სამშვიდობო ოპერაციას, ასეთი საშიში პოზიცია უკავია?

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო სამშვიდობო ოპერაციას - ე.წ. დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციას, რომელსაც, ფაქტობრივად, მხოლოდ რუსეთის ფედერაცია წარმართავს. 2005 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური განცხადება, რომელშიც დსთ-ს სამშვიდობო ძალების საქმიანობა საკმაოდ უარყოფითადაა შეფასებული და სავსებით საფუძვლიანადაც. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციასა და მის საჯარისო შენაერთებს ეკისრებათ, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: ორი ათასამდე ქართველი დაიღუპა დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ზონაში, 1994 წელს ამ ძალების განლაგების დღიდან.

დღითიდღე ძლიერდება ქართული მოსახლეობის უნდობლობა სამშვიდობო ძალების მიმართ, განსაკუთრებით იმ რეგიონში, სადაც მათი მანდატი ვრცელდება. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა სამშვიდობოებში, მიუკერძოებელი საერთაშორისო შენაერთის ნაცვლად, ორი საზოგადოების გამყოფ კედელს ხედავს.

უფრო მეტიც, ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის უნდობლობას კიდევ უფრო აძლიერებს დიპლომატიური არათანმიმდევრულობის უპრეცედენტო გამოვლინება რუსეთის მხრიდან. კერძოდ, რუსეთი არ ცნობს სამშვიდობო გეგმას, რომელსაც 2005 წლის დეკემბერში მხარი დაუჭირა და ხელი მოაწერა თვითონ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთოს 54 წევრ სახელმწიფოსთან ერთად. ეს დამატებით საფუძველს გვაძლევს, ეჭვქვეშ დავაყენოთ რუსეთის უნარი და სურვილი, შეასრულოს ობიექტური და მიუკერძოებელი შუამავლის როლი კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

ბ-ნო თავმჯდომარევ, დრო არ ითმენს. ჩვენ იმ ეტაპზე ვართ, როდესაც მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდოთ. ჩვენს თვალწინ ისეთი მოვლენები ხდება, რომლებსაც შეუძლია მთლიან სამშვიდობო პროცესში არსებული მოჩვენებითი სტაბილურობის აფეთქება გამოიწვიოს. ამ ვითარებაში, უშიშროების საბჭო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რჩება იმ ინსტიტუტებად, რომლებმაც გამოსავალი უნდა იპოვონ. ჩვენ, როგორც სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, მზად ვართ ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით, დავიცვათ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, და მოვუწოდებთ თითოეულ წევრ სახელმწიფოს, ყველა ღონე იხმაროს აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. გვწამს, რომ ჩვენ - აფხაზები და ქართველები - მხოლოდ ერთობლივად შევძლებთ სამშვიდობო პროცესის არსებითად დაჩქარებას. მაგრამ ამისათვის ჩვენ გვჭირდება ქმედითი, თანმიმდევრული და გონივრულად შემუშავებული ინიციატივები, რომლებიც გაეროს მტკიცე მხარდაჭერით ისარგებლებს და შეძლებს ხელი შეუწყოს მტკიცე მშვიდობის დამყარებას და მთელ რეგიონს სტაბილური განვითარების შანსს მისცემს.

გმადლობთ.

# ომით არაფერი გამოვა

*არასამთავრობო ორგანიზაციის - "დაეხმარე საკუთარ თავს" - დამფუძნებელი ქალბატონი მარინა ფაღავა პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მონაწილეა. 10 წლის განმავლობაში იგი მუდმივადაა ჩართული სამშვიდობო პროცესში და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აქტიური მხარდამჭერია. დღეს იგი "კავკასიური დიალოგის" გამგეობის მორიგი თავმჯდომარე და "კავკასიის ქალთა ლიგის" აღმასრულებელი მდივნის მოვალეობის შემსრულებელიცაა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

მარინა ფაღავა: "მამაჩემი აფხაზურ ოჯახში იყო აღზრდილი და, ცხადია, აფხაზურ ენას სრულყოფილად ფლობდა. ვცხოვრობდით სოხუმში. სამედიცინო ინსტიტუტი თბილისში დავამთავრე და მუშაობა დავიწყე სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მეუღლე ქართველი მყავს და, შესაბამისად, შვილებიც ქართველები არიან."

**- გრძნობდით თუ არა მოსალოდნელ უბედურებას?**

- საშინელება მოხდა ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეს არის ორივე ერის ტრაგედია. ქართველები და აფხაზები ეთნიკურად ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან. ქართველებს ძალიან მოსწონდათ აფხაზების ადათწესები, აფხაზებს მოსწონდათ ქართველობის ნიშნები. ამიტომ იყო ამდენი შერეული ოჯახი და ქართველები და აფხაზები მართლა არ ვარჩევდით ერთმანეთს. 80-იან წლებში კი ვითარება დაიძაბა, მაგრამ, როცა ერთნაირად მშობლიურია ადამიანისთვის აფხაზი და ქართველი, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი უბედურებაა მოსალოდნელი. ამიტომ მე საშიშროება რეალურად ვერ შევაფასე და ეს ძალიან ბევრ ადამიანს დაემართა. მე მაინც მეგონა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის სერიოზული დაპირისპირება არ მოხდებოდა.

**- თქვენთვის როგორ განვითარდა მოვლენები?**

- როგორც ყველასთვის. გაგრის მოვლენების შემდეგ სოხუმში დიდი პანიკა ატყდა და მოითხოვეს, რომ ქართველ ბავშვებსა და ქალებს ქალაქი დაეტოვებინათ. ვაჟი მყავდა 11 წლის, გოგონა - 6 წლის. მუდმივი სროლის ხმა ისმოდა და ჩემს ქალიშვილს საშინელი სტრესი დაემართა. წამოვედით თბილისში. ერთი წელი აქ ვიყავით, შევარდნაძის მოწოდების შემდეგ კი - სწავლა იწყებაო - დავბრუნდით. ეს იყო ძალიან დიდი დანაშაული ჩემი შვილების წინაშე. ბავშვები სრულ გაურკვევლობაში წავიყვანე, სადაც კიდევ ერთი დიდი ტრავმა მიიღეს. იძულებულები გავხდით, ბავშვები თბილისში მარტო გამოგვეშვა იმიტომ, რომ გამოტენილ თვითმფრინავში ადგილები აღარ იყო. მე და ჩემი მეუღლე გემით გამოვედით.

**- რატომ დაუჯერეთ შევარდნაძეს?**

- გვეგონა, რომ სიტუაციას მართლა ფლობდა. ამასთან, არ მტოვებდა ის აზრიც, რომ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ბოლომდე არ გასწირავდნენ. იმედი მქონდა. ეს ხომ ქართველები და აფხაზები იყვნენ. ეს კი არა, აფხაზეთიდან გამოსვლის შემდეგაც კი ვფიქრობდი, რომ ერთ კვირაში სახლში დავბრუნდებოდი. ამდენი სისხლისღვრისა და სისასტიკის შემდეგ მაინც მეგონა, მოლაპარაკება მოხდებოდა, მაგრამ ბოლოს ისეთი მექანიზმები ჩართეს, რომ კონფლიქტის შეჩერება შეუძლებელი იყო.

**- როგორ დაიწყეთ მოღვაწეობა არასამთავრობო სექტორში?**

- მეგობრებმა თბილისში ჩამოსვლიდან ერთ კვირაში დამაწყებინეს მუშაობა სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე. კათედრის გამგე იყო გივი ბახტაძე, მისი მოადგილე კი - ჩემი მეგობრის მეუღლე ალეკო ქისტაური. მიმაჩნია, რომ მათ ძალიან დიდი საქმე გამიკეთეს, გადამარჩინეს. უცებ აქტიურად ჩავერთე საყვარელ საქმეში და გადატანილი სტრესი ადვილად დავძლიე. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ყველაზე კარგი წამალი ჩემთვის.

1994 წელს დევნილი ბავშვებისთვის დაიწყო საზაფხული ბანაკების პროგრამა. ეს იყო სოროსის ფონდის პირველი პროექტი. ჩემმა დეიდაშვილმა ნათელა სახოკიამ, რომელიც ფონდის საბჭოს წევრი იყო, როგორც დევნილი ექიმი და აქტიური ადამიანი, მიმიწვია ამ პროგრამაში. შემდეგ სოხუმელი ექიმებისგან შევქმენი სპეციალური ჯგუფი და დავიწყეთ სიარული დევნილების კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში. მაშინ ვნახე მათი უკიდურესი გაჭირვება და მივხვდი, რომ დევნილებთან საჭირო იყო მუშაობის დაწყება. ეს იყო 1994 წელი, როდესაც ჩამოვაყალიბე კიდეც არასამთავრობო ორგანიზაცია - "დაეხმარე საკუთარ თავს".

1995 წელს დავიწყე კავშირის ძებნა აფხაზურ მხარესთან. ერთ ცნობილ ქალბატონს წერილიც მივწერე, რომ საჭირო იყო ერთად ფიქრი, დიალოგი და გამოსავლის ძებნა, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. შემდეგ წერილობით ჩამოვაყალიბე ჩემი ხედვა იმისათვის, როგორი მნიშვნელოვანია სამოქალაქო დიალოგის დაწყება და ა.შ. პროექტი მივიტანე "კონფლიქტოლოგიის ცენტრში" და საქმე დაიძრა. "საერთაშორისო განგაშის" ორგანიზებით, 1996 წელს მოსკოვში შედგა პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრა.



*მარინა ფაღავა.*

**- როგორ წარიმართა შეხვედრა?**

- ასეთი შეხვედრების გამოცდილება არ გვქონდა და შეხვედრა დაძაბული გამოდგა, მაგრამ ორივე მხარე ძალიან კორექტულად იქცეოდა და შედეგიც გამოიღო იმ მხრივ, რომ ბევრი სასარგებლო იდეა წამოიჭრა.

ამ შეხვედრამ დასაბამი დაუდო ქართულ-აფხაზურ სამწლიან პროექტს დასახელებით - "ნდობის აღდგენა ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის". შემდეგ დაიწყო ამ პროექტის მეორე ეტაპი. ამ შეხვედრებში, აფხაზური მხარის მოთხოვნით, მონაწილეობდნენ კავკასიის სხვა რეგიონების წარმომადგენლებიც. აფხაზური მხარის სურვილი იყო თავის წარმოდგენა დამოუკიდებელ კავკასიურ სუბიექტად. ამის მიუხედავად, კავკასიურ ფორმატში ბევრი დადებითი მომენტიც იყო. მაგალითად, პირადად მე გამიჩნდა კავკასიური იდენტურობის შეგრძნება - მე ვარ აფხაზი; მიყვარს ქართველები იმიტომ, რომ დედა, შვილები და მეუღლე ქართველები მყავს და, ამასთან, ვარ კავკასიელი. ჩვენ, კავკასიელები, ერთმანეთს უკეთესად უნდა ვიცნობდეთ.

**- არასამთავრობო სექტორის მიზანი კოფლიქტის მოგვარებაა. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ქართულ-აფხაზური კოფლიქტი?**

- თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ომის გზით არაფერი გამოვა და მადლობა ღმერთს, რომ ამ აზრს ქართულ საზოგადოებაში ბევრი იზიარებს. ჩემი აზრით, იმისთვის, რომ კონფლიქტი გადაიჭრას, უნდა გაიზარდოს მხარეთა უსაფრთხოების ხარისხი. რას ნიშნავს უსაფრთხოება?

კავკასიურმა დიალოგმა აფხაზ პარტნიორებთან ერთად ჩაატარა კვლევა უსაფრთხოების საკითხებზე. კვლევის მიზანი იყო, გაგვეგო, როგორ ესმით უსაფრთხოება აფხაზეთიდან დევნილებს და აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილ მოსახლეობას. კითხვარი იყო ერთიანი. აღმოჩნდა, რომ ხალხისთვის უსაფრთხოება არის ყოველდღიური ცხოვრების მოწესრიგება, სოციალური დაცვა, განათლების მიღება, ჯანდაცვის საშუალება და ა.შ. მაგრამ ამასთან, დევნილები საკუთარ უსაფრთხოებას სასამართლო უწყების დამოუკიდებლობასა და მთავრობისადმი ნდობაშიც ხედავდნენ. ასე გაიზარდა სამოქალაქო ცნობიერება. თუმცა ესეც არ არის მთავარი. ზუგდიდში ისეთი რაღაც მოვისმინე, რომელიც ჩემთვის იყო, როგორც სხივის გამონათება ბნელში. ზუგდიდელი დევნილები სხვა რეჟიმით ცხოვრობენ, იქ უფრო რთული ვითარებაა. ერთი სიტყვით, იქ ყველაზე კარგად იციან, რა საშინელი შედეგები აქვს კონფლიქტს და რას ნიშნავს კონფლიქტურ ზონაში ცხოვრება. ამის მიუხედავად, ზუგდიდელი დევნილების სამოქალაქო ცნობიერება გაკვირვებას იწვევს. ხალხი ფიქრობს კონფლიქტზე და ნანობს იმას, რაც დაემართა. ისინი ამბობენ, - კონფლიქტზე ფიქრით ვიძინებთ და ვიღვიძებთო. მათ გვითხრეს, ჩვენ უფრო უსაფრთხოდ ვიგრძნობთ თავს, აფხაზები თუ კარგად იქნებიანო. წარმოგიდგენიათ? ეს ხდებოდა მაშინ, როცა მთავრობა აფხაზეთისთვის სანქციების გამკაცრებას ითხოვდა. ხალხი ბრძენია. ზუგდიდელი დევნილები ამბობენ, თუ აფხაზეთში წესრიგი იქნება, უფრო ადვილად შევრიგდებითო.

**- თქვენი აზრით, შერიგების რა პერსპექტივები არსებობს?**

- ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის პერსპექტივები, რა თქმა უნდა, არსებობს. ყველა სამშვიდობო რესურსი ამოწურული ნამდვილად არ არის. უბრალოდ, ძალიან კარგად უნდა გავიაზროთ, რა ვაკეთოთ ნაბიჯნაბიჯ. ძალიან ცუდად მოქმედებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან სამხედრო რიტორიკა. აფხაზეთში არიან ძალები, რომელთაც არ სურთ შერიგება და ისინი ქართველებში მტრის ხატს ეძებენ. ასეთი განცხადებები კი სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს.

ძალიან კარგია, რომ რკინიგზის გახსნაზე მუშაობა მიმდინარეობს. მეორე დადებითი მომენტია ახალი მთავრობის მიერ პარტიზანული მოძრაობის აღკვეთა. და მესამეც, მზადდება დოკუმენტი მხარეთა უსაფრთხოების გარანტიების შესახებ, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ მიხეილ სააკაშვილმა და სერგეი ბაგაფშმა. ვიმედოვნებ, რომ ეს შეხვედრა და ხელმოწერა შედგება, ვინაიდან მთავარია, აფხაზებს მოეხსნათ შიშის სინდრომი და გაუჩნდეთ ნდობის შეგრძნება. ნდობა რომ იქნება, კომპრომისებიც იქნება და საერთო ენაც აუცილებლად გამოიძებნება.

**- აფხაზი ხალხი თუ იქნება მზად კომპრომისისთვის?**

- აფხაზურ საზოგადოებაში აზრთა მრავალფეროვნებაა, მაგრამ იგი შიშის ქვეშ ცხოვრობს. შიშში მცხოვრები ხალხისთვის კი ტოტალიტარული აზროვნების თავს მოხვევა უფრო ადვილია, მაგრამ აფხაზეთში ტოტალიტარული აზროვნება ვერ დამკვიდრდა. ამის მთავარი მიზეზი მაინც ეროვნული ხასიათის თავისებურებაა. აფხაზი ხალხი თავისუფლებისმოყვარე ხალხია და იქ თავისუფალი აზრი ყოველთვის არსებობდა. ამიტომ იმედია, რომ როდესაც საქართველო რეალურად გადადგამს მშვიდობიან ნაბიჯებს, უფრო მეტი აფხაზი იფიქრებს, რომ ქართველები არცთუ ისე საშიშები არიან, როგორც წარმოუდგენიათ. ჩვენ არ უნდა ვიყოთ საშიშები.

# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია აცხადებს ტენდერს ავტოგასამართ საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

შესყიდვის ობიექტი - საავტომობილო საწვავი.
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
ტექნიკური სპეციფიკაცია - ბენზინი აი 95 (პრემიუმი).
რაოდენობა - 60 000 ლიტრი.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის რაოდენობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად გამარჯვებულის ავტოგასამართ სადგურებზე საბარათო (ტალონების) სისტემის გამოყენებით. ტენდერში გამარჯვებული პასუხისმგებელია საწვავის ხარისხზე.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას №6, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია, მე-6 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი 220101107, ანგარიში № 200122900 სახაზინო კოდი 302003000. საატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, 2006 წლის 1 თებერვლიდან 2006 წლის 21 თებერვლის 18 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას №6, მე-6 სართული, გარემოს დაცვის ინსპექცია, სატენდერო კომისიის აპარატი.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებიდან;

3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებიდან.

ფიზიკურ პირთათვის:

1. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

2. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დახურული პაკეტით, სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ, 2006 წლის 22 თებერვლიდან 2006 წლის 23 თებერვლის 15 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას №6, მე-6 სართული, გარემოს დაცვის ინსპექცია, სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადება არ განიხილება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 23 თებერვალს 15 საათზე.

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს, საკვალიფიკაციო მონაცემებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 75-23-07.

საკონტაქტო პირი გოჩა ზეინკლიშვილი. მობ. 899 98 21 20.

**სატენდერო კომისია**

# შპს "საქართველოს ფოსტის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს ფოსტა" აცხადებს ტენდერს საწვავის (ბენზინი - პრემიუმი 96 ოქტანობა - 134 400 ლიტრი, დიზელი L62 - 18 000 ლიტრი, ნავთი - 2 000 ლიტრი - სსტ 10227-86-ის მოთხოვნების შესაბამისი) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 თებერვლიდან 22 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი №2, I სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მოწოდების შესახებ.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 302003000; დანიშნულება - შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტის სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 21 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი ვაგზლის მოედანი №2, I სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მურთაზ სიჭინავა, საკონტაქტო ტელეფონი 35-62-26, 899-93-33-24, და კახა ჩუხრუკიძე, საკონტაქტო ტელეფონი 899-43-03-73.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მის: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. N30) სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2006 წლის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს საწვავისა და საპოხი მასალის (ზეთი) შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***შესყიდვისი ობიექტი:***

1. ბენზინი 98 ოქტანობის "სუპერი" - 17 600 ლიტრი;
2. ბენზინი 95 ოქტანობის "პრემიუმი" - 58 300 ლიტრი;
3. დიზელის საწვავი - 1 000 ლიტრი
4. ძრავის ზეთი - 600 ლიტრი

***მიწოდების ვადაა*** ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე, საბარათო სისტემის გამოყენებით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურებიდან.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. N30, მე-4 სართ, N417 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2006 წლის 10 თებერვლამდე. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი უნდა ჩაირიცხოს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები: - ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 30200300, მომსახურე ბანკი- ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107. *შენიშვნა: აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ მოსაკრებელი ირიცხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით..*

პრეტენდენტებმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპარად (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ერთი ასლი) უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში ქართულ ენაზე, 2006 წლის 21 თებერვალს 15 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმდგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

***იურიდიული პირისათვის:***

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

***ფიზიკური პირისათვის:***

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

***როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:***

ა) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

დ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურების შესახებ (ადგილმდებარეობის მითითებით);

ე) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს განცხადებაში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ირმა მარგიშვილი, ზურაბ ფესვიანიძე, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. N30, ოთახი N417, ტელ: 387883, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გფა ტერრა სისტემსის წარმომადგენლობის კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი აცხადებს ტენდერს ორ ლოტად ნიადაგის ნიმუშების ზოგადი (2000 ნიადაგური ნიმუში - პირველი ლოტი) და სპეციალური (2000 ნიადაგური ნიმუში - მეორე ლოტი) ლაბორატორიული კვლევის წარმოების შესახებ.

პირველ ლოტში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ იმ ლაბორატორიებმა, რომლებსაც გააჩნიათ სერიული კვლევების გამოცდილება უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში (მინიმუმ 1000 ნიმუში) საერთაშორისო პროექტებთან ურთიერთობის გამოცდილება, ძველი მონაცემთა ბაზა საქართველოს ნიადაგურ საფართან დაკავშირებით, უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე აღჭურვილობით, კვალიფიციური კადრებით.

მეორე ლოტში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ იმ ლაბორატორიებმა, რომლებსაც აქვთ გამოცდილება სპეციალურ ნიადაგურ ანალიტიკაში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. აწარმოებენ მეცნიერულ კვლევებს, აქვთ ნიადაგების კლასიკური და თანამედროვე (EC) მეთოდების გამოყენების გამოცდილება, თანამედროვე კლასიფიკაციის (WRB) ცოდნა, მგრძნობიარე ტერიტორიების ნიადაგების და ნიადაგური საფარის კვლევის გამოცდილება, ლაბორატორიის და ტექნიკური პერსონალის მიერ მაღალხარისხოვანი კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) თვე.

3. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში, 2006 წლის 20 თებერვლიდან 21 თებერვლის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, მე-4 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი);

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ი) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 20 თებერვლამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადსტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი, მე-4 სართული.

7. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:

მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი N220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 8191.

8. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 21 თებერვალს, 12 საათზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ლიკა ჭანტურია, ანი მინდორაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: 25 15 28
ფაქსი: 25 15 27
მისამართი: ქ. თბილისი, ბულაჩაურის 10/27, კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ოფისი.

**კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის სატენდერო კომისია**

# ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" თავი 111, მუხლი მე-12-ეს მე-2-ე პუნქტის საფუძველზე



**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულება, დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

**ქ. თბილისის მერი გ. უგულავა**

**დროებითი დებულება**
**ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურში სამსახურის გავლის წესის შესახებ**

ეს დებულება განსაზღვრავს და აწესრიგებს ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის სისტემაში მოსამსახურეების მიერ სამსახურის გავლის წესს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

**თავი 1.**
**ზოგადი დებულება**

**მუხლი 1. ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურში, (შემდგომში სახანძრო დაცვის სამსახური) სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები.**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, "საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის I მარტის N 120 ბრძანებულება, "საქართველოს დედაქალაქის -ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", საქართველოს კანონები "საჯარო სამსახურის შესახებ" და "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ", ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) სამართლებრივი აქტები.

**მუხლი 2. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეების სამსახურებრივი უფლებები და მოვალეობები**

1. სახანძრო დაცვის მოსამსახურეები სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებისა და ამ დებულებით განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით.
2. სამსახურის მოსამსახურე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, არის ქალაქის მერიის წარმომადგენელი და მას კანონი იცავს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. მოსამსახურე ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს;
3. უკანონო ბრძანების ან მითითების შესრულება სამსახურის მოსამსახურე არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. აკრძალულია სამსახურის კანონიერ საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
4. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეს პროფესიული, სოციალური, და სხვა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით შეუძლია კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანდეს ან ნებაყოფლობით შევიდეს საზოგადოებრივ გაერთიანებაში;
5. სამსახურის მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას სარგებლობენ დადგენილი ფორმის ტანსაცმლით, რომელიც მათ ეძლევათ უფასოდ ნორმის ფარგლებში;
6. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონის შესაბამისად;
7. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეების სიცოცხლე და ჯამრთელობა ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას;

**მუხლი 3. სახანძრო დაცვის სამსახურის უფროს, საშუალო, უმცროს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის, მოსამსახურეთა თანამდებობანი**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის უფროს, საშუალო, უმცროს მეთაურთა, რიგითი შემადგენლობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი ჩამონათვალი მტკიცდება დადგენილი წესის შესაბამისად (თანამდებობათა ჩამონათვალი დებულებას თან ერთვის დანართი N1)

**მუხლი 4. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთა პროფესიული მომზადება**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაკომპლექტების მიზნით ხორციელდება მოსამსახურეთა მომზადება, რომელშიც შედის:
   a. უმცროს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის მომზადება (მათ შორის ახლად მიღებული მეხანძრეების სპეციალური დაწყებითი მომზადება);
   b. უფროს და საშუალო მეთაურთა სამსახურებრივი მომზადება;
2. უმცროს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის მომზადებას ახორციელებენ სახანძრო დაცვის სამსახურის რაიონული რაზმები და ნაწილები, ხოლო უფროს და საშუალო მეთაურთა გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური.

**თავი 2.**
**სახანძრო დაცვის სამსახურში**
**მიღება და გადაადგილება**

**მუხლი 5. სახანძრო დაცვის სამსახურში მიღების წესი**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში სამუშაოდ მიიღება 18 დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე (ზოგიერთი კატეგორიის გარდა) რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, პიროვნული თვისებებით, განათლებით (არანაკლებ საშუალო განათლებისა), ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი;
2. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მქონე პირთა სახანძრო დაცვის სამსახურში მიღების საკითხი განიხილება მათ მიერ სამხედრო ძალებში გასაწვევი ვადის ამოწურვის შემდეგ;
3. სახანძრო დაცვის სამსახურში უმცროს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის თანამდებობებზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი;
4. სახანძრო დაცვის სამსახურში დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობეზე მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად;
5. სახანძრო დაცვის სამსახურის უფროს მეთაურთა შემადგენლობის თანამდებობებზე მიიღებიან უმაღლესი პროფესიული, უმაღლესი განთლების მქონე მოქალაქენი, რომელთა სახანძრო დაცვის სამსახურის მეთაურთა თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი შეადგენს არანაკლებ სამ წელს;
6. სახანძრო დაცვის სამსახურის საშუალო მეთაურთა შემადგენლობის თანამდებობაზე მიიღებიან უმაღლესი პროფესიული, უმაღლესი განათლების მქონე პირები ან საშუალო პროფესიული განათლების მქონე მოქალაქეები რომელთა სახანძრო დაცვის სამსახურში მუშაობის სტაჟი შეადგენს არანაკლებ სამ წელს;
7. ქ. თბილისის მერიის სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსი, ქ. თბილისის მერიის სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილეები და რაიონული რაზმების უფროსები თანამდებობაზე ინიშნებიან ქ. თბილისის მერის განკარგულებით;
8. სახანძრო დაცვის სამსახურის, რაიონული რაზმების უფროს, საშუალო, უმცროს მეთაურებს და რიგითი შემადგენლობის სამუშაოზე
   მიღება ხდება ქ. თბილისის მერიის სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსის განკარგულებით;

**მუხლი 6. შეზღუდვები სახანძრო დაცვის სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლასთან დაკავშირებით**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში არ მიიღება პირი თუ იგი:
   a. ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლეობა;
   b. იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;
   g. სასამართლო გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;
   დ სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
   ე. სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
   ვ. თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს, ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

**მუხლი 7 სახანძრო დაცვის სამსახურის უფროს, საშუალო, უმცროს და რიგითი შემადგენლობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაადგილება;**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივი გადაადგილება ხდება:
   a. ზემდგომ თანამდებობაზე-სამსახურებრივი დაწინაურებით და დასაწინაურებელ მოსამსახურეებთან შეთანხმების საფუძველზე;
   b. თანაბარ თანამდებობაზე მოსამსახურის თანახმობით სხვა ვაკანტურ თანამდებობათა აუცილებელი დაკომლექტების ან მეთაურთა შემადგენლობის პირადი თვისებების, ცოდნის, მომზადების და გამოცდილების მიზანმიმართული გამოყენებისათვის;
   გ. დაბალ თანამდებობაზე-შტატების შემცირებისას ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად პირადი თხოვნით, დადებული სასჯელის საფუძველზე;
   დ სასწავლებელში ჩარიცხვის ან სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თანამდებობაზე დანიშვნის დროს;
2. თანამდებობრივი გადაადგილება უნდა მოხდეს მოსამსახურის ძირითადი ან მონათესავე სპეციალობის გამოცდილების გათვალისწინებით. Pპირის სხვა სპეციალობით დანიშვნას უნდა უძღოდეს როგორც წესი, მისი შესაბამისი სამსახურებრივი გადამზადება;
3. მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილება ფორმდება საქალაქო სამსახურის უფროსისის განკარგულებით შესაბამისი დანაყოფის უფროსის წარდგინებით, სადაც მითითებული უნდა იყოს გადაადგილების საფუძველი;
4. ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამსახურე შეიძლება დაინიშნოს მოვალეობის შემსრულებლად სამი თვის ვადით, ხოლო არა ვაკანტურ თანამდებობაზე(თანამდებობის პირის ავადმყოფობა, მივლინება და ა.შ)-ექვსი თვის ვადით.

**თავი 3**
**სამსახურებრივი დისციპლინა**

**მუხლი 8. სახანძრო დაცვის სამსახურში სამსახურებრივი დისციპლინა**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში სამსახურებრივი დისციპლინა ნიშნავს მოსამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, სამსახურის ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე უფლებამოსილი თანამდებობის პირების ბრძანებების, უშუალო უფროსის მითითებების, მისთვის დაკისრებული მოვალეობებისა და უფლებამოსილების შესრულებას;

**მუხლი 9. სახანძრო დაცვის სამსახურის დანაყოფების უფროსის მოვალეობა სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცების საქმეში**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის დანაყოფების უფროსი პასუხისმგებელია ხელქვეითი მოსამსახურეების სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობაზე. იგი ვალდებულია:
   a. შექმნას შრომის, დასვენების და კვალიფიკაციის ამაღლების საჭირო პირობები.
   b. ჩაუნერგოს მოსამსახურეებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პასუხისმგებლობის გრძნობა;
   გ. უზრუნველყოს საჯაროობა და ობიექტურობა სამსახურებრივი საქმიანობის შეფასებაში
   დ. პატივი სცეს სამსახურის მოსამსახურეთა პირად ღირსებას;
   ე. არ დაუშვას პირად შემადგენლობასთან მუშაობაში პროტექციონიზმი და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მოსამსახურეთა დევნა სამსახურში არსებული ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის;

**მუხლი10. წახალისება სამსახურებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის**

1. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისათვის სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთათვის გათვალისწინებულია შემდეგი სახის წახალისება;
   a. მადლობის გამოცხადება;
   b. ერთდროული ფულადი ჯილდო;
   გ. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;
   დ. თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება;
2. შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა;
3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გამბედაობისათვის სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურე შეიძლება წარდგენილი იქნეს სახელმწიფო ჯილდოზე.

**მუხლი 11 დისციპლინური სასჯელები**

1. იმ თანამდებობის პირს რომელსაც აქვს მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება დისციპლინარული გადაცდომისთვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები;
   ა. შენიშვნა;
   ბ. გაფრთხილება;
   გ. უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლით;
   დ. სახანძრო დაცვის სამსახურიდანN გათავისუფლება;
2. ერთი დისციპლინარული გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

**მუხლი 12 წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის გამოყენების წესი**

1. წახალისება და დისციპლინური სასჯელი გამოიყენება უშუალო უფროსის მიერ მისი უფლებამოსილების ფარგლებში. უშუალო უფროსად ითვლება ის უფროსი, რომელსაც სამსახურებრივად ემორჩილებიან სამსახურის თანამშრომლები თუნდაც დროებით;
2. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეები, რომლებიც სამსახურებრივად არ არიან დაქვემდებარებული ერთმანეთთან, შეიძლება იყვნენ უფროსები ან უმცროსები.უფროსობა განისაზღვრება თანამდებობის მიხედვით;
3. უფროსი რომელიც სათანადო განკარგულებით დროებით ასრულებს მოვალეობას სარგებლობს დროებით დაკავებული თანამდებობის პირის დისციპლინური უფლებამოსილებით;
4. დასჯა და წახალისება როგორც წესი ცხადდება ბრძანებით. მადლობა, შენიშვნა, საყვედური შეიძლება გამოცხადდეს ზეპირადაც. განკარგულებით გამოცხადებული საყვედური არ შეიძლება მოიხსნას ზეპირად;
5. წახალისება და დასჯა სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეს ეცნობება პირადად მწყობრის წინ ან თათბირის დროს. სამსახურის მოსამსახურეს საჯელის დადებამდე უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება;
6. დიციპლინური სასჯელი უნდა იყოს დადებული 10 დღის განმავლობაში იმ დღიდან როცა უფროსისათვის გახდა ცნობილი მომხდარი გადაცდომა,ხოლო იმ შემთხვევაში როცა ხდება სამსახურებრივი შემოწმება, აღიძრა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის საქმე, არაუგვიანესი ერთი თვისა, დამნაშავის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად;
7. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით;
8. დისციპლინური სასჯელი ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანესი ერთი თვისა იმ დღიდან, როცა დაედო. თუ ეს ვადა არ იქნა დაცული, სასჯელი ძალას კარგავს, მაგრამ ექვემდებარება აღრიცხვას;
9. დისციპლინური სასჯელი სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეების მიმართ ითვლება მოხსნილად თუ საჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მას არ დაედო ახალი სასჯელი. სიტყვიერი სასჯელი მოხსნილად ითვლება ერთი თვის გასვლის შემდეგ. ვადაზე ადრე დისციპლინური სასჯელის მოხსნა ხდება წახალისების სახით მისი უშუალო უფროსის ან ზემდგომი უფროსის მიერ;
10. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთათვის დისციპლინური სასჯელის დადება არ შეიძლება მისი ავადმყოფობის, შვებულებაში ან მივლინებაში ყოფნის დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ ჩადენილი გადაცდომის შემდეგ გავიდა ერთ წელზე მეტი ან თუ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას და საფინანსო-სამეურნეო რევიზიის ( შემოწმების) დროს აღმოჩენილი დარღვევებიდან გასულია ორი წელი;

**მუხლი 13 სახანძრო დაცვის სამსახურის დანაყოფების უფროსთა უფლება და მოვალეობა წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის დადებისას.**

1. თუ სახანძრო დაცვის სამსახურის მუშაკი უფროსის აზრით იმსახურებს დასჯას, წახალისებას და ეს არ შედის მის კომპეტენციაში, მაშინ იგი ზემდგომი უფროსის წინაშე წარადგენს შუამდგომლობას. ზემდგომ უფროსს უფლება აქვს გააუქმოს ან შეამსუბუქოს ქვემდგომი უფროსის მიერ დადებული დისციპლინური სასჯელი ან დაადოს უფრო მკაცრი
   სასჯელი თუ ადრინდელი არ შეესაბამება ჩადენილი გადაცდომის
   სიმძიმეს;
2. სახანძრო დაცვის სამსახურის დანაყოფის უფროსი, რომელიც გადაამეტებს თავის უფლებას დისციპლინური სასჯელის დადებისას, პასუხს აგებს დისციპლინური წესით;

**თავი 4**
**სახანძრო დაცვის სამსახურში სამსახურის გავლის პირობები**

**მუხლი 14. სახანძრო დაცვის სამსახურში სამუშაო დროის ხანგრძლივობა**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში მოსამსახურეებისათვის დადგენილია ორმოც საათიანი სამუშაო კვირა და ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთათვის არანორმირებული სამუშაო დღე;
2. სახანძრო დაცვის სამსახურს ცვლებში მომუშავე მოსამსახურეთათვის დგინდება ერთიანი ხანგრძლივობის სამუშაო დრო(მუშაობის დაწყება და დამთავრების დრო) ცვლიანობის განრიგის შესაბამისად.

**მუხლი 15 სახანძრო დაცვის სამსახურში მოსამსახურეთა შვებულება**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში მოსამსახურეთა შვებულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად;

**თავი 5**
**სახანძრო დაცვის სამსახურში მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლება**

**მუხლი 16. სამსახურიდან გათვისუფლების საფუძვლები**

1. სახანძრო დაცვის სამსახურში მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლება ხორციელდება საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" მოთხოვნების შესაბამისად

**მუხლი 17. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურის სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი და საპენსიო უზრუნველყოფა**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურის ზღვრული ასაკი განისაზღვრება 55 წლით, რომლის მიღწევის შემდეგ აღნიშნული მუხლით ექვემდებარებიან სამსახურის დათხოვნას. Mმოსამსახურე პენსიაში Gგადის კანონმდებლობით დადგენილი წესით
2. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ თანამდებობებზე პენსია ენიშნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 55 წლის ასაკისა და სამსახურში არა ნაკლები 20 წლის მუშაობის სტაჟის შესრულების შემდეგ.

**მუხლი 18. უმცროს და რიგით შემადგენლობის მიერ ვალდებულებების ვადის გაგრძელების წესი**

1. უმცროს და რიგით შემადგენლობის თანამდებობაზე მისაღები პირები დებენ წერილობით ხელშეკრულებას- ვალდებულებას სახანძრო დაცვის სამსახურში მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ (სამი წლით), ვალდებულება ითვლება გაგრძელებულად იმავე ვადით თუ მოსამსახურე ვალდებულებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე ორი კვირით ადრე არ მიმართავს ხელმძღვანელობას განცხადებით დათხოვნის შესახებ;

**მუხლი 19. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთა ფულადი ანაზღაურება**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსი, საშუალო, უმცროსი და რიგითი თანამდებობის მოსამსახურე იღებს ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივ დადგენილ განაკვეთს, ნამსახურეობის დანამატს, დანამატს სამსახურის რთული, დაძაბული და სპეციალური რეჟიმის პირობებისათვის, დანამატს არანორმირებული სამუშაო დღესთან დაკავშირებით(გარკვეულიკატეგორიის მოსამსახურეთათვის),ანაზღაურებას ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციას. Gგასაცემი დანამატები დაკომპენსაციები, მათი ოდენობა გამოითვლება და გაიცემა დადგენილი წესის შესაბამისად;
2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სრული მოცულობით ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
3. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთა ფულადი ანაზღაურება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 20. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეთათვის სახწელმწიფო და დამატებითი სოციალური დაზღვევა**

1. სახელმწიფო პირადი და დამატებითი სოციალური დაზღვევა, აგრეთვე სიკვდილის ან დასახიჩრების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეებისათვის ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად;

**მუხლი 21. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეების შეღავათები, გარანტიები და კომპენსაციები**

1. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეებს, რომლებიც სწავლობენ სასწავლებლებში დაუსწრებელ და საღამოს ფორმაზე, უწესდებათ შეღავათები კანონმდებლობის შესაბამისად;
2. სახანძრო დაცვის სამსახურის მოსამსახურეს, რომელიც საქმიანობაში იყენებს პირად სატრანსპორტო საშუალებას, მისი შენახვის, საწვავ-საპოხი მასალების ხარჯების ანაზღაურების მიზნით უხდიან ფულად კომპენსაციას დადგენილი წესით.

**ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი**

| | |
|---|---|
| რაზმის უფროსი | 1 |
| რაზმის უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 3 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 6 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 12 |
| მძღოლი | 8 |
| უფროსი მძღოლი | 1 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |
| მდივან-მემანქანე | 1 |
| დამლაგებელი | 1 |

**I შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლისუფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 1 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 3 |
| მძღოლი | 3 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**II შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 1 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 3 |
| მძღოლი | 3 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**III შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლისუფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 1 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 3 |
| მძღოლი | 3 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**IV შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 1 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 3 |
| მძღოლი | 3 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

სულ: 121 შტატი

**ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის რ-ნის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი**

| | |
|---|---|
| რაზმის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 3 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 13 |
| მძღოლი | 11 |
| უფროსი მძღოლი | 1 |
| მეელსმენე (დისპეჩერი) | 4 |
| მდივან-მემანქანე | 1 |
| დამლაგებელი | 1 |

**I შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსისი მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 10 |
| მძღოლი | 6 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**II შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 4 |
| მძღოლი | 6 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**III შემავალი ექსტრემალური მედიცინის ნაწილი(განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 6 |
| მძღოლი | 4 |

**IV შემავალი კავშირგაბმულობის ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| მთავარი სპეციალისტი | 1 |
| სპეციალისტი | 4 |

**სახანძრო ტექნიკური ცოდნის სახანძრო პროპაგანდის ცენტრი**

| | |
|---|---|
| უფროსი | 1 |
| მეთოდისტი | 1 |

სულ: 122 შტატი

**ქ.თბილისი მთაწმინდა-კრწანისის რ-ნის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი**

| | |
|---|---|
| რაზმის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 3 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 11 |
| მძღოლი | 8 |
| უფროსი მძღოლი | 1 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |
| მდივან-მემანქანე | 1 |
| დამლაგებელი | 1 |

**I შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 10 |
| მძღოლი | 6 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**II შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| მეხანძრე | 5 |
| მძღოლი | 3 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

**III შემავალი ნაწილი (განყოფილება) სახელურების შემკეთებელი ბაზა**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| სპეციალისტი | 3 |
| მძღოლი | 3 |

**IV შემავალი გაზკვამლდაცვის ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| სპეციალისტი | 6 |
| მძღოლი | 3 |

სულ: 109 შტატი

**ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი**

| | |
|---|---|
| რაზმის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 3 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 21 |
| მძღოლი | 7 |
| უფროსი მძღოლი | 1 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |
| მდივან-მემენქანე | 1 |
| დამლაგებელი | 1 |

**I შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსისი მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 16 |
| მძღოლი | 3 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

სულ: 84 შტატი

**ქ.თბილისის მერიის სახანძრო დაცვის საქალაქო სამსახური**

| | |
|---|---|
| სამსახურის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 2 |
| განყოფილების უფროსი | 2 |
| ზედამხედველობის უფროსი ისპექტორი | 2 |
| ზედამხედველობის ინსპექტორი | 1 |
| ხანძრის ჩაქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების და ტექნიკის ორგანიზების უფროსი ინსპექტორი | 3 |
| ოპერატიული მორიგე | 4 |
| ოპერატიული მორიგის თანაშემწე | 8 |
| კადრების ინსპექტორი | 4 |
| ბუღალტერი | 4 |
| მდივან მემანქანე | 1 |
| მძღოლი | 6 |

სულ: 38 შტატი

**ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ნის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი**

| | |
|---|---|
| რაზმის უფროსი | 1 |
| უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი | 1 |
| ინსპექტორი | 3 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 24 |
| მძღოლი | 7 |
| უფროსი მძღოლი | 1 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |
| მდივან-მემენქანე | 1 |
| დამლაგებელი | 1 |

**I შემავალი ნაწილი (განყოფილება)**

| | |
|---|---|
| ნაწილის უფროსი | 1 |
| უფროსისი მოადგილე | 1 |
| მორიგე ცვლის უფროსი | 3 |
| ათეულის მეთაური | 3 |
| უფროსი მეხანძრე | 3 |
| მეხანძრე | 19 |
| მძღოლი | 7 |
| მეელსმენე(დისპეჩერი) | 4 |

სულ: 94 შტატი

# ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

" საქართველოს დედაქალაქის- ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მე-3 "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველო დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1. მარტის N 120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის "პ" ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის "ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის სახანძრო დაცვის საქალაქო სამსახურის დებულება, დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "-ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 23 დეკემბრის N71 ბრძანებით.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

**ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა**

**პროექტი**
**ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**
**თავი I**
**ზოგადი დებულება**

**მუხლი 1**

1. ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური (შემდგომში სახანძრო დაცვის სამსახური) არის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს ხანძრის თავიდან აცილების, ჩაქრობის და დაკისრებულ საავარიო-სამაშველო სამუშაოებს.
2. სამსახური შექმნილია ორგანული კანონების"საქართველოს დედაქალაქის -თბილისის შესახებ", "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" და "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N 120 ბრძანებულების საფუძველზე.
3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით "ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის შესახებ"საქართველოს ორგანული კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით საქართველოს დედაქალაქის -ქ.თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ, "სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" საქართველიოს კანონით, ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
4. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ქ. თბილისის პრემიერის წარდგინებით ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.
5. სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხა და სათანადო ანგარიში ქ. თბილისის ხაზინაში, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისთვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.
6. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება საქალაქო ბიუჯეტის ხარჯზე.
7. სამსახურის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი ს. ცინცაძის ქ. N28. ნებადართულია სამსახურის სტრუქტურული ერთეულის განთავსება სხვა ადგილსამყოფელზე.

**თავი II**
**სამსახურის ამოცანები და ფუნქციები**

**მუხლი 2**

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება, მათი ჩაქრობა და დაკისრებული საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება.

ბ) დაქვემდებარებულ დანაყოფებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებისა და განხორციელების წესის შესრულების, ტაქტიკური და პროფესიული მომზადების ხარისხის კონტროლი;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებში, რომლებიც წარმოადგენენ ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებს;

დ) ხანძრების ალკვეთისა და მათი ჩაქრობის ხარისხის ამაღლების მიზნით მომხდარი ხანძრების ანალიზის საფუძველზე ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება;

ე) სამსახურის ფუნქციებს დაქვემდებარებულ საკითხებში სრულფასოვანი საინფორმაციო ბანკის შექმნა და მონიტორინგი;

ვ) დედაქალაქის ბიუჯეტის შედგენისას, სამსახურისა და დაქვემდებარებული დანაყოფების ხარჯთა ნუსხის შემუშავება და წარდგენა ქალაქის მთავრობაში;

ზ) სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა შესრულების თაობაზე წინადადებების მომზადება და მთავრობის სხდომაზე გატანა;

თ) სამსახური აგრეთვე ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ამოცანებს;

**მუხლი 3**

1. სამსახურს, თავისი ამოცანების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უფლება აქვს:

ა) განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულება;

ბ) შეიტანოს წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებში სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა შესრულების თაობაზე;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით, ჩაატაროს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება;

დ) მონაწილეობა მიიღოს მშენებლობა დამთავრებული (რეკონსტრუირებული) ობიექტების მიმღები კომისიის მუშაობაში:

ე) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან დასაბუთებული გადახვევის ან ასეთი მოთხოვნების არ არსებობის შემთხვევაში განიხილოს და შეათანხმოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტის მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, გაფართოვების, ტექნიკური გადაიარაღებისა და ქალაქთმშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

ვ)სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან დასაბუთებული გადახვევის ან ასეთი მოთხოვნების არ არსებობის შემთხვევაში განიხილოს და შეითანხმოს მშენებლობისა და ტექნიკური გადაიარაღების საპროექტო დოკუმენტაცია;

ზ) გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობები ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოების, ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად;

თ) მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტის ექსპლუატაცია, თუ გამოავლენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებს ან მათ შეუსრულებლობას, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ანდა ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას;

ი) კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის, მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამდებობის პირთა მითითებისა და დადგენილებების შეუსრულებლობის ან არადროულად შესრულებისათვის;

კ) ნებისმიერი პირისაგან მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, საჭირო განმარტებები და ცნობები იმ საქმეებთან და მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ხანძრებს;

ლ) დაგენილი წესის მიხედვით სათანადო ვადებში უზრუნველყოს ინფორმაციის წარდგენა ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველობის და მმართველობის ორგანოებში;

მ) საზღვარგარეთ მიავლინოს სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

ნ) თავის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ო) შეიმუშავოს და ქ. თბილისის მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს მოსამსახურეთა პირადობის დამადასტურბელი მოწმობების ნიმუშები და სამუშაო ფორმის (უნიფორმა) ესკიზები;

პ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

**თავი III**
**სამსახურის მართვა**

**მუხლი 4.**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სამსახურის უფროსი:

ა)ხელმძღვანელობს და წარმოადგენს სამსახურის საქმიანობას:

ბ)დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მოქმედებს სამსახურის სახელით, წარმოადგენს სამსახურს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას;

გ) დადგენილი წესით მართავს სამსახურს უშუალოდ, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების უფროსების მეშვეობით. წყვეტს სამსახურის საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) განსაზღვრავს თავისი მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ფუნქციებსა და კომპეტენციებს;

ე) ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს;

ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ნუსხის, მუშაობის ორგანიზაციის შესახებ;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს-ბრძანებას, ამასთან პასუხისმგებელია მის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

თ) ზედამხედველობას უწევს მოადგილეების, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და სამსახურის მოსამსახურეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას;

ი) დადენილი წესით შეაქვს წინადადებები ქ. თბილისის მერთან,
პრემიერთან, ქ. თბილისის მთავრობასა და საკრებულოში მათდამი
დაქვემდებარებულ საკითხებზე, მათ მიერ საჭირო გადაწყვეტილებებისა
და სამართლებრივი აქტების მიღების მიზნით;

კ)ქ. თბილისის მერს, პრემიერს, საკრებულოსა და მთავრობას წარუდგენს
სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

ლ) შეაქვს დასაბუთებული წინადადებები ქ. თბილისის მთავრობაში
სამსახურის წლიური ხარჯების საკითხებზე და აუცილებლობის
შემთხვევაში წარადგენს დამატებითი ხარჯების პროექტს;

მ)უზრუნველყოფს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა-განვითარებას;

ნ)საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის მიზნით განახორციელებს
ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლება-
მოსილებას;

ო)უფლებამოსილია სამსახურის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს;

პ) დადგენილი წესით მართავს სამსახურის ქონებას, ხელს აწერს სამსახურის ფინანსურ დოკუმენტაციას;

ჟ) ზრუნავს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახორციელებს მათ მატერიალურ სტიმულირებას დადგენილი წესით;

რ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

**მუხლი 5**

1 სამსახურის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე.

2. სამსახურის უფროსის დავალებით, ერთ-ერთი მოადგილე ცვლის სამსახურის უფროსს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას უფროსის არ ყოფნისას.

3)სამსახურის უფროსის თითოეული მოადგილე:

ა) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ სფეროს;

ბ) ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებებს;

გ)დაქვემდებარებულ საკითხებზე ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას.

**მუხლი 6**

1)სამსახურის უფროსის, მოადგილეების, თანამდებობებზე დანიშვნა და თანამდებობებიდან გათავისუფლება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2)სამსახურის უფროსის მოადგილეებს შორის ფუნქციებსა და კომპეტენციებს ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ანაწილებს სამსახურის უფროსი.

3)სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებს, მის მოადგილეებს და სამსახურის სხვა მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

**თავი IV**
**სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები**

**მუხლი 7**

1. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილება;

ბ) ხანძრის ჩაქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების და ტექნიკის ექსპლუატაციის ორგანიზაციის განყოფილება;

გ) მთაწმინდა-კწანისის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი, მასში შემავალი ოთხი ნაწილით;

დ) ისანი-სამგორის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი, მასში შემავალი ოთხი ნაწილით;

ე) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ხანძარსაწინალმდეგო რაზმი, მასში შემავალი ერთი ნაწილით;

ვ) ვაკე-საბურთალოს რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი, მასში შემავლი ოთხი ნაწილით და სახანძრო გამოფენა.

ზ) გლდანი-ნაძალადევის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმი, მასში შემავლი ერთი ნაწილით.

2. ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილება ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას და მოსახლეობის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების ორგანიზებას. ხანძრებისა და მათი შედეგების აღრიცხვას.
3. ხანძრის ჩაქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და ტექნიკის ექსპლუატაციის ორგანიზაციის განყოფილება ახორციელებს ხანძრების ჩაქრობის, დაკისრებული საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოების ორგანიზებას. Aაკონტროლებს ავტოტექნიკისა და ტექნიკური შეიარაღების მდგომარეობას, დანაყოფებში მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების დონეს. Aახორციელებს სამსახურის ავტოტექნიკის აღრიცხვას.

4 რაიონული ქვედანაყოფები უშუალოდ ახორციელებენ ხანძრების
პროფილაქტიკას, მათ ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების
წარმოებას.

**თავი V**

**მუხლი 8**

სამსახურის მთელი ქონება წარმოადგენს ქ.თბილსის ადგილობრივ საკუთრებას, მის მფლობელობაში და სარგებლბაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე საფინანსო რესურსები აისახება სამსახურის დამოუკიდებელ ბალანსზე.

**თავი VI**
**დასკვნითი დებულებანი**
**მუხლი 9**

1) დებულებაში ხარვეზების არსებობისას ან იმ საკითხების დარეგულირებისას, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და სათანადო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმები.

2) სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# "ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"

ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის
N62 ბრძანებით დამტკიცებულ სამსახურის
დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-12 მუხლის "ნ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. "ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის N62 ბრძანებით დამტკიცებულ სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) ქალაქის გარე იერ-სახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, კვების, სწავლების, აღზრდის, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი სანიტარიული, აგრეთვე შენობა-ნაგებობების მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ნორმების დაცვაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებაზე კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობა;"

ბ) დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ჟ) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი;"

გ) ამოღებულ იქნეს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "რ", "ტ" და "ქ" ქვეპუნქტები;

დ) ამოღებულ იქნეს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ნ" და "პ" ქვეპუნქტები;

ე) მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან (განყოფილებებისაგან):

ა) საერთო განყოფილება (აპარატი);

ბ) ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება (ინსპექცია);

გ) სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება (ინსპექცია);

დ) სპეციალურ დავალებათა ოპერატიული განყოფილება (ინსპექცია);

ე) გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური ზედამხედველობის განყოფილება (ინსპექცია);

ვ) ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება;

ზ) ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება;

თ) ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება;

ი) ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება;

კ) ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება;

განყოფილებების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად".

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს სატელიტით "საზოგადოებრივი მაუწყებელის" პროგრამების გავრცელებაზე საერთაშორისო ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

**სატენდერო პირობები სატელიტის სეგმენტზე:**
**1.სატელიტის პოზიცია ორბიტაზე - 42 Deg East**
**2.დიაპაზონი - Ku Band**
**3.ტრანსპონდერის ტიპი - ციფრული Digital Video Broadcast (DVB; MPEG-2)**
**4.მოდულაციის ტიპი - QPSK**
**5.სიხშირეების დიაპაზონი - 4 MHz**
**6.დაფარვის ზონა - ძირითადად ევროპული ნაწილი**
**7.ველის დაძაბულობა საქართველოში - 50-52 db**

**მომსახურების ვადა 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

**საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - მათი ქვეყნის შესაბამისი დაწესებულებიდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - მათი ქვეყნის შესაბამისი დაწესებულებიდან);
- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ ან არასაწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს მიერ) (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - მათი ქვეყნის შესაბამისი დაწესებულებიდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (200ლ.) გადახდის შემდეგ, 2006წ. 22 თებერვლის 11 საათიდან 24 თებერვლის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

**სატენდერო მოსაკრებელი 200.0 ლარის ოდენობით უნდა გადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:**
**მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**მიმღების ანგარიში: 200122900**
**მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი**
**მიმღების ბანკის კოდი: 220101107**
**სახაზინო კოდი: 302003000**
**გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი**

**დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)**

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადადებები დალუქულ კონვერტში, ორიგინალის სახით უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს უცხო ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2006წ. 27 თებერვლის 11 საათიდან 7 მარტის 12 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, სააქტო დარბაზი.

წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

# ნარნიაში ირლანდიური ზამთარია

თამარ ბაბუაძე

დღეიდან თბილისის კინოეკრანებზე ბავშვებისთვის, ალბათ, კიდევ უფრო დიდი მხიარულება დაიწყება, ვიდრე "მადაგასკარი" იყო. ეკრანს ჩრდილო ირლანდიელი მწერლის მიერ შექმნილი ჯადოსნური სამყარო დაიპყრობს; მიწა, რომელსაც ჰქვია ნარნია და რომელიც ბეჭდური სახით 60 მილიონზე მეტმა მკითხველმა შეიყვარა; ბოლო დროს კი კინოდ ქცეული კლასიკის ავტორებს მხოლოდ ამერიკულ ბაზარზე 273.332 დოლარი მოუტანა.



ქლაივ სთეიფლზ ლუისი ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბელფასტში 1898 წელს დაიბადა. როგორც მის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, მწერალს ნარნიას სერიის გაკეთება ნახატების გამო მოუნდა, წარმოიდგინა იმიჯები – ფავნი ქოლგით ხელში, დედოფალი ციგაზე, ჯადოქარი ლომი და სიუჟეტი შემდეგ, თითქოს, თავისით გაჩნდა. ამ მენტალურ ნახატებზე დაყრდნობით მწერალმა შექმნა "ნარნიას მიწა" – უამრავი, ერთმანეთისგან განსხვავებული, უცნაური არსებებს დასახლებული; ზოგიერთი მათგანი ზედმიწევნით დაამსგავსა ადამიანებს, რომელთაც რეალური ცხოვრებიდან იცნობდა, ზოგის შექმნაში მითების ცოდნამ უშველა, ზოგიც – იგივე ფადლგლამი – აბსოლუტურად საკუთარ წარმოსახვაზე დაყრდნობით შექმნა. სულ შვიდი წიგნი დაწერა. პირველი – "ლომი, ჯადოქარი და კარადა" 1950 წელს გამოქვეყნდა, შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით იხილა დღის შუქი: "კასპიის პრინცმა", "Voyage of the Dawn Treader-მა", "ვერცხლის სკამმა", "ცხენმა და მისმა ვაჟმა", "ჯადოქრის ძმისწულმა" და "უკანასკნელმა ბრძოლამ".

მოკლედ, აი, ამ წიგნებზე დაყრდნობით, ჰოლივუდში უახლესი სპეც-ეფექტები ლუისის მწერლურ ფანტაზიას შეუზავეს და, როგორც ამერიკელი კრიტიკოსები ამტკიცებენ, არაჩვეულებრივი ფილმი შექმნეს.

"ნარნიას ქრონიკები: ლომი, ჯადოქარი და კარადა" ოთხი დაძმის ლუსის, ედმუნდის, სიუზანის და პიტერის თავგადასავალზეა. ისინი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ინგლისში, მოხუცი პროფესორის სახლში ცხოვრობენ და ნარნიას სამყაროში ერთი ჯადოსნური კარადიდან შემთხვევით გადაძვრებიან – "დახუჭობანას" თამაშისას. და თურმე მეორე მხარეს ულამაზესი, ჰარმონიული და ჯადოსნური მიწა ელოდებათ, სადაც ერთად ბინადრობენ ცხოველები, ფავნები, ჯუჯები, კენტავრები, გიგანტური არსებები. მათი გასაჭირი ის არის, რომ ბოროტმა თეთრმა ჯადოქარმა ჯედისმა მარადიულ ზამთარში ცხოვრება მიუსაჯა. ბავშვები იწყებენ საყვარელი და კეთილი არსებების დახსნისთვის ბრძოლას. მათ ამ ბრძოლაში ჯადოქრობის ნიჭით დაჯილდოებული კეთილშობილი ლომი ასლანი ეხმარება და ყველანი ერთად ცდილობენ, ნარნიას მშვენიერი სამყარო მარადიული ყინულისგან იხსნან.

"ნარნიას ქრონიკების" შექმნაზე გადამღები ჯგუფი წლების განმავლობაში მუშაობდა. შრომამ ნაყოფი იმაზე მეტი გამოიყო, ვიდრე ელოდნენ. სურათი ამერიკის ნომერ პირველ ფილმად შერაცხეს, "ოქროს გლობუსებით" დააჯილდოეს და მისი მსოფლიო ექსპანსია დღემდე გრძელდება.

ამასობაში ჰოლივუდში უკვე გაგრძელებაზე ფიქრობენ. ლუისის შემდეგ წიგნის "კასპიის პრინცის" მიხედვით ფილმის გადაღებას შემოდგომიდან დაიწყებენ. რეჟისორის ენდრიუ ადამსონის თქმით: "თუ ეხლა არ დავიწყეთ ფილმზე მუშაობა, ველარასდროს შევძლებთ ამას, პერსონაჟები დაბერდებიან".

პარალელურად "ნარნიას" პოპულარობაზე დიდ იმედებს ამყარებენ ლუისის სამშობლოშიც. ბელფასტის ტურისტულმა საბჭომ უკვე გამოსცა მწერალთან დაკავშირებული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციული ბუკლეტი. მცირე წიგნში აღნიშნულია ის სახლი, სადაც ლუისი ბავშვობაში ცხოვრობდა, ასევე ისტორიული ადგილები ირლანდიაში, რომლებიც წიგნებშია მოხსენიებული. ბუკლეტის ავტორი იმ კავშირზეც საუბრობს, რომელიც ლუისის ნაწარმოებსა და ირლანდიურ მითოლოგიას აკავშირებს და იმასაც დასძენს, რომ ლუისის წიგნებზე დიდი გავლენა მოახდინა ირლანდიის ქრისტიანულმა ტრადიციებმაც.

ჩრდილოეთ ირლანდიის ტურისტული საბჭოს წარმომადგენელი ენთონი ქრეინი აცხადებს: "ეს ფილმი შესანიშნავი შანსია იმისთვის, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის ტურისტული პოპულარობა გაიზარდოს. მშვენიერი ნარნიას სამყაროს შექმნისთვის მწერალმა ლუისმა ხომ შთაგონება სწორედ ჩვენს ქვეყანაში ჰპოვა".

# ჯილდოები რაინდებს ჩაჰბარდათ



მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ცნობილმა ამერიკელმა კინორეჟისორმა რობერტ ოლტმენმა ოსკარის ფინალამდე ხუთჯერ მიაღწია - 1970 წელს ფილმ MASH-ით, 1975 წელს "ნეშვილით", 1992 წელს "მოთამაშით", 1993 წელს "შორტ კატსით", 2001 წელს "გოსფორდ პარკით". ხუთივე ფილმი სხვადასხვა ნომინაციებში დასახელდა.

არადა, დასანანია! კინოში ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის პერიოდში 80 წლის ოლტმენმა 86 ფილმი გადაიღო და სამუდამოდ ჩაეწერა ჰოლივუდისა და მსოფლიო კინოს ისტორიაში.

და აი, დადგა ნანატრი დღეც. როგორც იქნა, რეჟისორს კინოხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიამ მრავალწლიანი ღვაწლი დაუფასა. 2005 წლის 5 მარტს ლოს ანჯელესში "ოსკარით" დაჯილდოების ცერემონიალზე აკადემიის პრეზიდენტმა სიდნი გეინსმა განაცხადა, რომ ოლტმენს სტატუეტს - საპატიო ოსკარს გადასცემენ. როგორც იტყვიან, სულ არაფერს ნამდვილად სჯობს. "აკადემია მოიხიბლა ოლტმენის ნოვაციებით, კინოჟანრების გამრავალფეროვნებაში შეტანილი წვლილითა და ძველი ჟანრების აღორძინებით," - ითქვა ცერემონიალზე.

ამავდროულად, ატლანტის ოკეანეს გადაღმა, პარსანში, კინოვარსკვლავ პენელოპა კრუსსაც აჯილდოებდნენ. მას ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის რაინდობა მიანიჭეს. საფრანგეთის კულტურის მინისტრმა რენო დე ვაბრემ პენელოპას "დიდი ევროპელი მსახიობი" უწოდა და აღნიშნა: "საფრანგეთი ყოველთვის იყო და არის კულტურული მრავალფეროვნების დამცველი. ამიტომ ის აღიარებს მათ, ვინც თავისი ტალანტით საკუთარი ქვეყნის კულტურას პოპულარიზაციას უწევს" (სხვათა შორის, ამით მინისტრი ფარულად თავს დაესხა ჰოლივუდს...).

თუმცა, პენელოპამ ქება ნამდვილად დაიმსახურა. მან ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და მშობლიურ ესპანურ კინოშიც ითამაშა. მისი დიდება ვერც ტომ კრუზის დაკარგვამ შელახა. ცერემონიალს ესწრებოდა კინომსახიობი სელმა ჰაიეკი. ისინი ერთად გადაიღეს ახლახან "გაპიარებულ" ფილმ "ბონდიდასში".

გულითადად ვულოცავთ ჭაღარა ოლტმენსა და ცეცხლოვან პენელოპას ამ უდავო წარმატებას!




## ყურადღება!

დაიკარგა ლაიკა "ხასკი", ცისფერი თვალებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. შეტყობინებისთვის გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონზე 899 14 02 77


# ეკა და ანა

FM ცნობი 98.0

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" სტუმარია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ანა დოლიძე. მთავარი თემა კი ის ინციდენტია, რომელიც რუსთავის პირველ საპყრობილეში მოხდა. ანა, თუ იცით კონკრეტულად რა მოხდა და თუ იყავით საპყრობილეში?

**ანა დოლიძე**: მიუხედავად იმისა, რომ მე საქართველოს პრეზიდენტისგან მაქვს მონიჭებული უფლებამოსილება ნებისმიერ დროს შევიდე საპყრობილეებში, რუსთავის პირველ საპყრობილეში არ შემიშვეს. როცა ახსნა-განმარტება მოვითხოვე ციხის ხელმძღვანელისგან, პასუხად უარი მივიღე. ციხეში არ შეუშვეს არც პატიმართა ადვოკატები. რატომ არ მიშვებენ და რა ხდება საერთოდ, ამაზე ძალიან მიჭირს გიპასუხოთ. არ შემიძლია, მივუთითო რომელიმე სისხლის სამართლის ნორმა, რადგან ეს არ არის სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა. უბრალოდ, ვალდებული ვარ, შევატყობინო პრეზიდენტს, რომ მისი უფლებამოსილება ზოგიერთი ჩინოვნიკისთვის არაფერს ნიშნავს. რას მოიმოქმედებს ამის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი თუ იუსტიციის პრეზიდენტი, ეს უკვე მათი ნებაა.

**ეკა კვესიტაძე**: გასაგებია, რომ არ შეგიშვეს და პირველწყაროდან ინფორმაციას არ ფლობთ, მაგრამ რა იცით და რა გაიგეთ გარედან?

**ანა დოლიძე**: მე ადგილზე ვესაუბრე ძირითადად ადვოკატებს, რომლებიც ელოდნენ პატიმრებთან შეხვედრას, მაგრამ ეს პროცესი შეჩერებული იყო, რაც ჩვენი კანონმდებლობის დარღვევაა. არ არსებობს საფუძველი, რომლის მიხედვითაც ამის გაკეთება შეიძლება. გარდა ამისა, შევხვდი პატიმრების მშობლებს, რომლებიც პატიმრების მიერ გამთენიისას განხორციელებული ზარების შედეგად იყვნენ შეკრებილნი. როგორც მითხრეს, ე.წ. ოპერაცია ჩაატარა სასჯელაღსრულებითმა დეპარტამენტმა. ბაჩო ახალაია მისულა შამპანურით ხელში რაღაც ჯგუფთან ერთად, რომელთა შორის მანდილოსნებიც იყვნენ. მან პატიმრებისგან გამოაცალკევა ე.წ. მაყურებლები, ლანძღვაგინებით მოიხსენია ისინი. შემდეგ კი დაანგრია მათი სადგომები, რომლებიც რიგითი პატიმრების სადგომებისგან განსხვავდება.

**ეკა კვესიტაძე**: იქნებ განმარტოთ, რას ნიშნავს მაყურებლები?

**ანა დოლიძე**: მე ნამდვილად არ ვარ ქურდული სამყაროს ექსპერტი, მაგრამ, როგორც ვიცი, ისინი არიან ადამიანები, ვისაც ქურდები ავალებენ, კონკრეტული ადგილებიდან თვალი ადევნონ იმას, თუ რა ხდება კორპუსში ან კამერებში. ბუნებრივია, მსგავსი ინსტიტუტები უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ არა ისე, რომ ადამიანთა ღირსება შეილახოს. ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენ ადამიანს აქვს ღირსება, რომლის შელახვა არ შეიძლება. მით უფრო არ შეიძლება, თუ ამას რომელიმე თანამდებობის პირი აკეთებს. ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტია ჩემი ინფორმაცია, მაგრამ ამაზე საუბრობს საზოგადოება, ესე იგი, ნამდვილად ვერ არის ყველაფერი კარგად. ვფიქრობ, უნდა გამოიძიონ, მართლა იყო ახალაია მისული ციხეში და შეურაცხყოფდა პატიმრებს თუ არა. შემდეგ კი ადეკვატური რეაქცია მოყვეს.

**ეკა კვესიტაძე**: ჩვენ ვსაუბრობთ ამ არაფორმალური ინსტიტუტების წინააღმდეგ არსებული ბრძოლის ფორმებზე. რა არის კონკრეტულად მასში შენთვის მიუღებელი? შენი აზრით, როგორ უნდა მოეპყრო პატიმარს, კანონიერ ქურდს, რომელიც წლების განმავლობაში თავის კანონებსა და თამაშის წესებს ამყარებდა ციხეში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს?

**ანა დოლიძე**: ეს ინსტიტუტი ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს. თუ ეს არ მოხდება, საქართველოს არაფერი ეშველება. მე ამ პათოსს ვიზიარებ. განსხვავება მხოლოდ ტაქტიკაშია. როგორც შეუძლებელია ტერორიზმის განადგურება ტერორისტების ლიკვიდაციით, ასევე შეუძლებელია კანონიერი და ძალადობრივი გზით მოისპოს კანონიერ ქურდთა ეს ინსტიტუტი.

**ეკა კვესიტაძე**: მაგრამ ბევრი იზიარებს იმ აზრს, რომ ტერორისტებთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მათი ლიკვიდაციით, რადგან მათთან მოლაპარაკებები უშედეგო და უაზროა. თუმცა, ცხადია, მე კანონიერ ქურდებს ტერორისტებს არ ვადარებ...

**ანა დოლიძე**: სხვადასხვა საკითხია, გეთანხმებით. მაშინ, როცა ტერორისტები ჩანაფიქრს ახორციელებენ, მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს. მაგრამ მეორეა, როგორ სპობ შენ ტერორიზმს, როგორც ინსტიტუტს და, რა თქმა უნდა, ამას აკეთებ პირველ რიგში მიზეზის მოსპობით. კანონიერი ქურდობა – ეს არ არის ერთი რომელიმე სახელი და გვარი, ამას იდეოლოგიაში აქვს საფუძველი. თუ არ მოვსპეთ საფუძველი ქუთაისში, ხონში, რომელიც ასაზრდოებს კანონიერ ქურდებს, ვერაფერს გავხდებით. მეორე საკითხი შედარებით გძელვადიანია, მაგრამ დღესვეა დასაწყები. ის, რომ კანონიერი ქურდები ციხეში პრივილეგირებულ პირობებში არ უნდა იყვნენ, ეს ცალსახაა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ისევე უნდა შეურაცხვყოთ, როგორც სხვა დანარჩენები. ყველა უნდა იყოს თანაბარ, მაგრამ კანონიერ და ნორმალურ პირობებში. ისევ სოციალურ საკითხს უნდა დავუბრუნდე. კანონიერი ქურდების ინსტიტუტს ვერ მოვსპობთ, სანამ ახალგაზრდებს არ შევუქმნით ალტერნატივას. ალტერნატივას იმ თვალსაზრისით, რომ ახალგაზრდებს არ უნდა ჰქონდეთ შანსი, დრო და საშუალება იდგნენ ქუჩაში მხოლოდ იმიტომ, რომ არ არის სამუშაო, გასართობი დაწესებულებები და ა.შ. დაბოლოს, რაც აუცილებელია. ამერიკის იურისტთა ასოციაციამ გამოსცა კვლევა სასამართლოსთან დაკავშირებით. გამოკითხულია ორი ათასამდე ადამიანი. მათი უმრავლესობა აღიარებს, რომ ყველა საშუალებით შეეცდება თავი აარიდოს სასამართლოსთან საქმის დაჭერას. ეს პოტენციურად ის მასაა, რომელიც საქმის გადასაწყვეტად მიდის არა სასამართლოში, არამედ ქურდებთან. ეს კი იმიტომ ხდება, რომ სასამართლოს არ ენდობა, რომ სასამართლო არაეფექტურია.

**ეკა კვესიტაძე**: როგორ უნდა შეიცვალოს მენტალიტეტი? ამ საკითხის ირგვლივ ხელისუფლება რამდენჯერმე გამოვიდა ტელევიზიით, თითქოს რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა ამ მიმართულებით, მაგრამ რამდენად ეფექტურია ასეთი პოლიტიკა?

**ანა დოლიძე**: ყველაფერი, რაც გაკეთდა, საზოგადოებამ ვერ აღიქვა როგორც ფართომასშტაბიანი გრაძელვადიანი პროცესი. არ ვიცი, საერთოდ ფიქრობდნენ კი, ციხის გარეთ როგორ უნდა ებრძოლათ ამ წრეებთან, ამ მენტალიტეტთან? არც სკოლებისა და ეკლესიის მხრიდან არანაირი ინიციატივა არ ჩანს ამ მიმართულებით. გარდა იმისა, რომ ხმამაღლა ამბობდნენ, ქურდები ცუდები არიანო, არაფერი მომხდარა.

**ეკა კვესიტაძე**: ამ კონტექსტში, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელსაც ხელისუფლების ყველაზე ძლიერი გუნდი ლობირებდა. იდეა ასეთია: თუ ქურდი ხარ, ავტომატურად ხდები გამოძიების ობიექტი, ისე როგორც შენი ახლობლები და შენი ქონება...

**ანა დოლიძე**: პრინციპული შეცდომა იყო ამ კანონში "კანონიერი ქურდის" ცნების ხსენება. თუ ვინმეს უკითხავს აზრი კრიმინოლოგებისთვის, გაიგებდნენ, რატომ ამოვიღეთ თავის დროზე სისხლის სამართლის კოდექსიდან რეციდივისტი. იმიტომ, რომ სტიგმა, სახელის დანგრევა ხელს უწყობს ამ ინსტიტუტის გაძლიერებას. იგივე არგუმენტებზე დაყრდნობით, სწორი არ იყო კანონში "კანონიერი ქურდის" ჩაწერა. ამით სახელმწიფომ კანონის დონეზე აღიარა მათი არსებობა, მეტიც, ნამდვილი შარავანდედით შემოსა ისინი.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge






# ახალი ფავორიტი

ამერიკის რეჟისორთა გილდიის მთავარი პრიზი გადაეცა ტაივანელი რეჟისორის ანგ ლის ფილმს Brokeback Mountain-ს. სურათი ჰომოსექსუალი კოვბოების სიყვარულის შესახებ კიდევ ბევრ სხვა პრიზს ფლობს. ამჯერად მან უკან მოიტოვა ჯორჯ ქლუნის ფილმი "ღამე მშვიდობისა და წარმატებებს გისურვებ", პოლ ჰაგისის "ავარია", ბენეტ მილერის "კაპოტე" და სტივენ სპილბერგის "მიუნხენი".

რეჟისორთა გილდიის პრიზის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბოლო 57 წლის განმავლობაში 51-ჯერ ამ პრიზის მფლობელებმა შემდეგ "ოსკარიც" მიიღეს საუკეთესო რეჟისურისთვის. ასე იყო შარშანაც, როცა კლინტ ისტვუდის "მილიონდოლარიან გოგონას" ჯერ გილდიის ჯილდო გადაეცა, შემდეგ კი – "ოსკარიც".

რაც შეეხება ანგ ლის, "ოსკარს" მას 2001 წელსაც უწინასწარმეტყველებდნენ ფილმისთვის "მძვინვარე ვეფხვი, უჩინარი დრაკონი", მაგრამ იმ წელს ლი სტივენ სოდერბერგის "ტრეფიკმა" დაჩაგრა.

კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალი წელს 5 მარტს გაიმართება. ნომინანტების ნუსხა კი სამშაბათს გამოვლინდება.

"ოსკარის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეტენდენტი Brokeback Mountain იქნება. ფილმი, რომელშიც შეყვარებული კოვბოების როლებს ჯეიკ გილენჰაალი და ჰით ლეჯერი ასრულებენ, "ოქროს გლობუსის" ცერემონიალზე ოთხი პრიზით დააჯილდოეს. მასვე გადასცეს ამერიკელი პროდიუსერების გილდიის პრიზი.

# თექის პანოები „მეტეხში"

25 იანვარს "შერატონ მეტეხი პალასში" პირველად გაიხსნა თექის გამოფენა. ნამუშევრების ავტორი ირმა ბითაძეა. წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის ხალიჩის ტიპის პანოები, სხვადასხვაგვარი კომპოზიციური მონახაზებით.



ირმა ბითაძე პროფესიით არქიტექტორია. პირველი პერსონალური გამოფენა მშობლიური ხაშურისთვის მიუძღვნია და გასული წლის ნოემბერში საკუთარი ნამუშევრები იქ წაუღია. მეორე ექსპოზიცია კი სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" საგამოფენო კედლებმა დაიმშვენეს.

"ჩემი ჰობი ჩემივე პროფესიული ცოდნით საზრდოობს. გატაცება ყველაზე საყვარელ საქმედ მექცა", - გვითხრა ქალბატონმა ირმამ, რომლისთვისაც ყველაზე სასიამოვნო მატყლზე მუშაობა ყოფილა. მისი თექა მისივე ემოციების გამოხატულებაა, რომლებიც ძირითადად მშვიდი ფერადოვანი გადაწყვეტითა და ხალხური ორნამენტის მოტივებით გვხიბლავს. გამოფენა 25 თებერვლამდე გაგრძელდება.




## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**